StopCoV.ge

კორონავირუსის საქართველოში
გავრცელების პრევენცია

# COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში

საქართველოს მთავრობა

# სარჩევი


*აბრევიატურები ..... 4*
*შესავალი ..... 5*
*1. პანდემიასთან ბრძოლა ..... 6*
1.1 პირველი ეტაპი - ვირუსის გავრცელების „შეკავება“ ..... 6
1.2 მეორე ეტაპი - ვირუსის გავრცელების „შენელება“ ..... 8
1.3 მესამე ეტაპი - ვირუსის გავრცელების „მართვა“ ..... 10
1.4 მეოთხე ეტაპი - ეტაპობრივი შემსუბუქება და ადაპტაცია ..... 13
1.5. ჯანდაცვის სისტემის შეფასება ..... 17
*2. საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდვები ..... 19*
**2.1 მიზნობრიობა** ..... 19
2.1.1 სამართლებრივი ასპექტი ..... 20
**2.2 შეზღუდვები** ..... 22
2.2.1 საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის შეზღუდვა ..... 22
2.2.2 სასწავლო პროცესის შეჩერება და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა ..... 24
2.2.3 ავტომობილით გადაადგილების აკრძალვა ..... 24
2.2.4 მკაცრი კარანტინი ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ..... 25
2.2.5 საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვა ..... 26
2.2.6 შეზღუდვები პენიტენციურ დაწესებულებებში ..... 27
2.2.7 კომენდანტის საათი ..... 27
2.2.8 10/3-ზე მეტი ადამიანის თავშეყრის შეზღუდვა ..... 28
2.2.9 დიდ ქალაქებში შესვლა-გასვლის შეზღუდვა ..... 29
2.2.10 ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა ..... 30
**2.3 საგანგებო მდგომარეობის მართვა** ..... 31
2.3.1 საგანგებო მდგომარეობის მართვის ოპერაციული შტაბი ..... 31
2.3.2 მთავრობის ცხელი ხაზი 144 ..... 33
2.3.3 საკარანტინო ზონების მართვა ..... 33
2.3.4. ჯანდაცვის სისტემის მართვა ..... 34
2.3.5 სასურსათო მარაგების მართვა, ლოჯისტიკა და ფასების მონიტორინგი ..... 38
2.3.6 საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და უსაფრთხოების კონტროლი ..... 39
2.3.7 საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დახმარება და სამშობლოში დაბრუნება ..... 40
2.3.8 ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა დახმარება ..... 41
**2.4. სახელმწიფო სისტემის ადაპტაცია საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში** ..... 42
2.4.1 დისტანციური სწავლება ..... 42
2.4.2 პენიტენციური დაწესებულებების ადაპტირება ..... 43
2.4.3 ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების მონიტორინგი ..... 43
2.4.4 პირბადეების და სადეზინფექციო ხსნარების წარმოება ..... 44
2.4.5 სახელმწიფო სერვისების უწვეტი მიწოდება ..... 44
2.4.7 STOPCOV ფონდი ..... 48
**2.5 საგანგებო მდგომარეობა და ანგარიშვალდებულება** ..... 49
2.5.1 საზოგადოების ინფორმირებულობა ..... 49
2.5.2 სახელმწიფო შესყიდვები ..... 50
**2.6 საგანგებო მდგომარეობა და ადამიანის უფლებები** ..... 51
*3. პანდემიის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ..... 52*
**3.1 მთავრობის ანტიკრიზისული პოლიტიკა** ..... 54
3.1.1 ზრუნვა მოქალაქეებზე ..... 55
3.1.2 ზრუნვა ბიზნესზე ..... 57
*4. შეზღუდვების მოხსნა და ეკონომიკის ამოქმედება ..... 58*

*5. დანართები ..... 59*
დანართი 1: მიმდინარე სტატისტიკა ..... 59
დანართი 2: შედარებითი მონაცემები ავტომანქანების ნაკადების შესახებ შეზღუდვამდე და შემდეგ პერიოდში ..... 63
დანართი 3: ქალაქებში ავტომობილების შესვლა/გასვლის სტატისტიკა ..... 69
დანართი 4: ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა ..... 70
დანართი 5: სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა ..... 71
დანართი 6: განათლების ანტიკრიზისული გეგმა ..... 74
დანართი 7: დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის გეგმა ..... 77
დანართი 8: დროებითი საზედამხედველო გეგმა და ფულად-საკრედიტო ღონისძიებები ..... 78

# აბრევიატურები

| | |
|---|---|
| COVID-19 | კორონავირუსული დაავადება - 19 |
| SARS-CoV-2 | მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსი - 2 (ახალი კორონავირუსი) |
| პჯრ/RT-PCR | უკუტრანსკრიპციის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (Real Time Polymerase Chain Reaction) |
| ჯანმო | ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია |
| CDC | დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ამერიკული ცენტრები |
| ECDC | დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპის ცენტრი |
| NCDC | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| ADB | აზიის განვითარების ბანკი |
| AFD | საფრანგეთის განვითარების სააგენტო |
| AIIB | აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი |
| EU | ევროკავშირი |
| IMF | საერთაშორისო სავალუტო ფონდი |
| KfW | გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი |
| OECD | ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია |
| ENQA | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაცია |
| UNICEF | გაეროს ბავშვთა ფონდი |
| WB | მსოფლიო ბანკი |
| დღგ | დამატებითი ღირებულების გადასახადი |
| მშპ | მთლიანი შიდა პროდუქტი |

# შესავალი

2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (შემდეგში - ჩინეთი), ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. 2020 წლის მარტის დასაწყისიდან, ახალი კორონავირუსით დაზარალებული ქვეყნების რაოდენობამ **190-ს გადააჭარბა.** ჯანმო-მ **2020 წლის 30 იანვარს** ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა,[1] ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა.

ვირუსის დაწყებიდან დღემდე, მსოფლიოში 213 ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულია 6 452 391-ზე მეტი ინფიცირების და 382 479-ზე მეტი გარდაცვალების შემთხვევა, ხოლო გამოჯანმრთელებულია 306 6698-ზე მეტი პირი. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ს ახასიათებს გადაცემის მაღალი სიხშირე, გამოვლენილ შემთხვევებში დაავადების მიმდინარეობა სიმძიმის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია - უსიმპტომოდან ფატალურ შედეგამდე.

საქართველოს მთავრობას **2020 წლის 6 იანვარს** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარედგინა ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის ჩინეთში მიმდინარე ეპიდაფეთქების შესახებ ინფორმაცია, რასაც საქართველოს მთავრობის მხრიდან მოჰყვა მყისიერი და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, აგრეთვე, სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის დაწყება და მათ გამოცდილებაზე უწყვეტი დაკვირვება.

მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად. ამიტომ, ყველა ის ნაბიჯი, რომელსაც მთავრობა დგამს, განპირობებულია უპირველესად ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისა და ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის.

საქართველოში ინფიცირების პირველი შემთხვევის დადასტურების მომენტიდან მიმდინარეობს ვირუსის რეპროდუქციის მაჩვენებლისა და სხვა ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მუდმივი კონტროლი. სულ, ჯამში, **30.01.2020-დან 03.06.2020-მდე** დადასტურებულია **800 შემთხვევა,** აქედან აქტიური შემთხვევა - **147**, გამოჯანმრთელდა - **640**, გარდაიცვალა - **13,** ლეტალობის მაჩვენებელი - **1.63%,** პჯრ/RT-PCR-ით გამოკვლეულია **60 273** შესაძლო შემთხვევის პირველადი ნიმუში. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, COVID-19-ის რეპროდუქციის მაჩვენებელი საქართველოში 1-ზე

[1] Public Health Emergency International Concern

ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაცემის ინტენსივობა შემცირებულია.[1] **(იხ. დანართი 1: მიმდინარე სტატისტიკა)**.

საქართველოს მთავრობა მადლობას უხდის საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თანამშრომლობისთვის, იმ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისათვის და მითითებებისა და რეკომენდაციების შესრულებისათვის, რომელმაც ქვეყანას მისცა შესაძლებლობა ამ ეტაპამდე ეფექტიანად მოეხდინა ვირუსის გავრცელების შეკავება. საქართველო დღეს, COVID-19-თან ბრძოლის კუთხით, ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია, რასაც მრავალი საერთაშორისო შეფასებაც ადასტურებს.[2]

დღეს არსებული ცოდნითა და დარგის ექსპერტების შეხედულებით, მაღალია ვირუსის შემოტევის, ე.წ. მეორე ტალღის ალბათობა. ინფექციას ტალღოვანი მიმდინარეობა ახასიათებს, კერძოდ, პერიოდულად ხდება ინფიცირების შემთხვევების მატება და შემდეგ კვლავ კლება და ამ ფაქტს სხვა ქვეყნების მაგალითებიც აჩვენებს. დღეს საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ვირუსის შეკავების პოზიტიური შედეგის შენარჩუნება, რათა შეზღუდვების შემსუბუქებას ქვეყანაში ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა არ მოჰყვეს. ამ პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოების მხრიდან რეკომენდაციების შესრულება და წესების ზედმიწევნით დაცვა.

# 1. პანდემიასთან ბრძოლა[3]

## 1.1 პირველი ეტაპი - ვირუსის გავრცელების „შეკავება“

**საქართველოში პანდემიასთან ბრძოლის პირველი ეტაპი ქვეყანაში ვირუსის პირველი შემთხვევის დადასტურებამდე 1 თვით ადრე დაიწყო.** აღნიშნული ფაზა ვირუსის შემოსვლისა და გავრცელების მაქსიმალური პრევენციისთვის, მულტისექტორული თანამშრომლობით შესაბამისი კოორდინირებული ღონისძიებების გატარებას გულისხმობდა.

კერძოდ, ახალ კორონავირუსთან ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის მიზნით, 28 იანვარს შეიქმნა **უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო** (შემდეგში - საბჭო). საბჭო ჩამოყალიბდა როგორც კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი პლატფორმა, რომელიც შედგება მთავრობის წევრების, პარლამენტის

[1] საქართველოში ახალი კორონავირუსის მიმდინარეობა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ანალიზი https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=4c07b687-7268-4ae8-9978-821e5e5ac4b6

[2] „ტელეგრაფი“ საქართველოს გამოცდილების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ; Fox News საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია აქ; The Washington Times, საქართველოს წარმატებული ისტორია, ხელმისაწვდომია აქ; The Foreign Policy, ქვეყნები, რომლებიც წარმატებით უმკლავდებიან პანდემიას, ხელმისაწვდომია აქ; The Intelli news საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია აქ; The EURACTIV's Reporting, საქართველოს წარმატებული ბრძოლა COVID-19-თან, ხელმისაწვდომია აქ; The Energing Europe - საქართველოს წარმატება ვირუსთან ბრძოლაში, ხელმისაწვდომია აქ; The Daily Signal, საქართველო - ამერიკის ერთგული პარტნიორი საერთო გამოწვევებთან ბრძოლაში, ხელმისაწვდომია აქ; ამერიკის წამყვანი ეპიდემიოლოგის შეფასება საქართველოს შესახებ, ხელმისწვდომია აქ; WHO-ს ხელმძღვანელის შეფასება საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია აქ; WHO-ს შეფასება - საქართველო, ხელმისაწვდომია აქ. დამატებით - აქ; „ვაშინგტონ პოსტი“ პატარა ქვეყნების წარმატებული გამოცდილების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ

[3] წარმოდგენილი დოკუმენტის მიზნებისთვის საანგარიშო პერიოდად განსაზღვრულია 2020 წლის იანვარი - 22 მაისი. შესაბამისად, დოკუმენტში ყველა მაჩვენებელი წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

წევრების, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისგან.

საბჭოს პირველივე სხდომის შემდეგ, მთავრობამ საზოგადოებას COVID-19-თან ბრძოლის პროცესში **4 პრიორიტეტული მიმართულება და თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირი** წარუდგინა:

1. **ჯანდაცვა** - მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა;
2. **ეკონომიკა** - გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკის მართვა და აღდგენა;
3. **უსაფრთხოება** - მოქალაქეთა დაცვა;
4. **მარაგები და ლოჯისტიკა** - მოსახლეობის სურსათით უწყვეტი უზრუნველყოფის მართვა.

პანდემიასთან ბრძოლის პირველი ეტაპის ფარგლებში, საქართველოში COVID-19-ის პირველი შემთხვევის დადასტურებამდე, ვირუსის იმპორტირების მაქსიმალური პრევენციის მიზნით, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის:

- **28 იანვარი:**
  - დაწესდა სავალდებულო იზოლაციის ნორმების დაცვა **ჩინეთიდან**, შემდეგ კი მაღალი რისკის სხვა ქვეყნებიდან (**იტალიის რესპუბლიკა; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; ირანის ისლამური რესპუბლიკა; დანიის სამეფო; ნორვეგიის სამეფო; შვეიცარიის კონფედერაცია; ავსტრიის რესპუბლიკა; საფრანგეთის რესპუბლიკა; ესპანეთის სამეფო; კორეის რესპუბლიკა**) დაბრუნებულ პირებზე.
  - საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე **ოპერატიული რეაგირების გეგმა,**[4] რომლითაც განისაზღვრა ეროვნულ დონეზე რეაგირების ღონისძიებები, შესაბამისი სტრუქტურების პასუხისმგებლობები და მოვალეობები.
- **29 იანვარი**:
  - აეროპორტებში დაიწყო თერმოსკრინინგი. ეტაპობრივად, ყველა სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აღიჭურვა თერმოსკრინინგისთვის საჭირო ინვენტარით. მგზავრთა ინფორმირებისთვის მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები.
  - შეჩერდა ავიარეისები ჩინეთთან.
- **30 იანვარი** - NCDC-ის ლუგარის ლაბორატორიაში (შემდეგ - ლუგარის ლაბორატორია) შესაძლებელი გახდა COVID-19-ზე ლაბორატორიული კვლევის ჩატარება. გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების შეგროვებული ნიმუშების ეპიდზედამხედველობის მონიტორინგის ბაზებში დაიწყო რეტროსპექტულად ნოემბრიდან არსებული მასალების შემოწმება ახალ კორონავირუსზე, რაც დღესაც მიმდინარეობს.
- **31 იანვარი** - დამტკიცდა და რამდენჯერმე გაფართოვდა COVID-19-ის შემთხვევების განსაზღვრება ჯანმო-ს განმარტების შესაბამისად. ასევე, მომზადდა COVID-19-ის შემთხვევებისა და კონტაქტების მართვის ალგორითმი და ქვეყანა გადავიდა

[4] https://matsne.gov.ge/document/view/4821121?publication=31

აქტიური ზედამხედველობის რეჟიმზე - NCDC-ში შეიქმნა საგანგებო საოპერაციო ცენტრი.

- **6-14 თებერვალი** - შემუშავდა და დამტკიცდა COVID-19-თან დაკავშირებული სხვადასხვა მეთოდური რეკომენდაციები და პროტოკოლები, დაიწყო ვიდეო ლექციები და საგანმანათლებლო მასალების ტირაჟირება.
- **12 თებერვალი** - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემუშავდა სხვადასხვა მეთოდური რეკომენდაცია და პროტოკოლი, რომელთა განახლება, საჭიროების მიხედვით, ამ დრომდე მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.
- **21 თებერვალი** - დაიწყო სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ეტაპობრივი დაბრუნება **(პირველი სპეცრეისი განხორციელდა ჩინეთიდან).**
- **24 თებერვალი** - ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე შეჩერდა მიმოსვლა **ირანთან.**

## 1.2 მეორე ეტაპი - ვირუსის გავრცელების „შენელება“

**2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა.** საქართველოს მოქალაქე ქვეყნის ტერიტორიაზე შემოვიდა ირანიდან აზერბაიჯანის გავლით, წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან. ოპერატიული და კოორდინირებული რეაგირების შედეგად, აღნიშნული მოქალაქე საზღვრიდანვე გადაყვანილი იქნა „სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“ (შემდეგში - ინფექციური საავადმყოფო).

ამ დროისთვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას უკვე გამოცხადებული ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობა. ვირუსის გავრცელების კუთხით ვითარება რთულდებოდა მსოფლიოში, მათ შორის უშუალოდ საქართველოს მეზობელ ქვეყნებსა და ევროპის ქვეყნებში. დაზიანებით მსოფლიოში ყველაზე მაღალი ციფრებითა და სიკვდილიანობით გამოირჩეოდა **ევროპის რეგიონი (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია და სხვ.).** [5]

აღნიშნულ პერიოდში ჯანმო-ს, CDC-ის, ECDC-ისა და სხვა საერთაშორისო წამყვანი ორგანიზაციების მიერ შემუშავდა რეკომენდაციების ნაკრები, რომლის მიხედვითაც სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება მიჩნეული იქნა, როგორც ჯერ ბოლომდე შეუსწავლელი ვირუსის შეკავებისა და მართვის ეფექტიანი საშუალება.[6]

წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და ამ დროისთვის არსებული გამოცდილების საფუძველზე, COVID-19-ის გავრცელების საპასუხოდ, ქვეყნებმა დაიწყეს მთელი რიგი **არაფარმაცევტული ღონისძიებების** განხორციელება, როგორიცაა: სასწავლო

---

[5] ჯანმო, ქვეყნების COVID-19-ის მდგომარეობის საერთაშორისო ანგარიშები https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/situation-reports

[6] https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/advice-for-public
https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/prevent-getting-sick/social-distancing.html
https://www.hopkinsmedicine.org/health/conditions-and-diseases/coronavirus/coronavirus-social-distancing-and-self-quarantine
https://www.health.harvard.edu/diseases-and-conditions/preventing-the-spread-of-the-coronavirus
https://www.ecdc.europa.eu/sites/default/files/documents/novel-coronavirus-guidelines-non-pharmaceutical-measures_0.pdf

დაწესებულებების დახურვა და დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, მასობრივი და საჯარო თავყრილობების აკრძალვა, ცალკეული ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა, ფიზიკური დისტანცირება და ქვეყნების დონეზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, მათ შორის მკაცრი კარანტინი და კომენდანტის საათი.

საქართველოში პირველი შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ მიმდინარეობდა ახალი შემთხვევების, კლასტერებისა და მათთან ასოცირებული კონტაქტების მოძიება, ეპიდზედამხედველობა, იზოლირება, კარანტინი, დიაგნოსტირება და მკურნალობა. პარალელურად მოსახლეობას სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაცია საერთაშორისო დონეზე შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების ინტენსივობა მზარდი ტემპით პროგრესირებდა. **პირველი დადასტურებული შემთხვევიდან (26 თებერვალი) 16 მარტამდე** საქართველოში უკვე **33** დადასტურებული შემთხვევა იყო, აქედან **2 - ირანში, 1 - ესპანეთში და 12 - იტალიაში მოგზაურობასთან დაკავშირებული. 10 შემთხვევა დაკავშირებული იყო დადასტურებული შემთხვევის კონტაქტებთან,** ხოლო **2 შემთხვევა** დადასტურდა **კარანტინიდან**, სადაც ამ დროისთვის **637 პირი** იმყოფებოდა.

ქვეყანამ დაიწყო პანდემიასთან ბრძოლის **მეორე ეტაპი**, რაც გულისხმობდა **ვირუსის გავრცელების შენელების მიზნით,** აქტიური ზომების მიღებასა და გამკაცრებულ ეპიდზედამხედველობას, რათა არ მომხდარიყო ჯანდაცვის სისტემის გადატვირთვა და კოლაფსი. ქვეყნის მასშტაბით, ვირუსის გავრცელების შენელების უზრუნველსაყოფად გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, **მათ შორის**:

- **2 - 4 მარტი**
  - საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეჩერდა სასწავლო პროცესი;
  - კულტურის დაწესებულებებში შეჩერდა შემოქმედებითი საქმიანობა და გაუქმდა ყველა დაგეგმილი ღონისძიება;
  - საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ გადავიდნენ მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე;
  - საქართველოს სახმელეთო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებსა და სამივე აეროპორტში დამონტაჟდა საველე კარვები შემოსულ მგზავრთა სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანამდე სამედიცინო შემოწმების მიზნით;
  - შეიქმნა სპეციალური საინფორმაციო ვებგვერდი - **www.StopCov.ge**, რომელზეც განთავსდა კორონავირუსთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. ვებგვერდი ჩამოყალიბდა კორონავირუსით ინფიცირებულთა შესახებ სტატისტიკის პირველწყაროდ;
  - ადამიანების სკრინინგისა და დაავადების შემთხვევების ადრეული გამოვლენის მიზნით დაიწყო საკარანტინო ზონების მომზადება კორონავირუსზე საეჭვო ან მაღალი რისკის მატარებელი პირების განსათავსებლად;
  - შეჩერდა ხალხმრავლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
  - დაიწყო სადეზინფექციო სამუშაოები.

- **5 მარტი** - პენიტენციურ დაწესებულებებში ამოქმედდა განსაკუთრებული პირობები.
- **6 მარტი** - შეწყდა ავიამიმოსვლა იტალიის რესპუბლიკასთან.

- **12 მარტი** - სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულთა ნაწილი გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. ასევე, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის რეკომენდაცია გაიცა კერძო სექტორისთვისაც.
- **13 მარტი** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა შტაბი მარაგების მართვასთან და სურსათით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოფდა პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასებისა და მარაგების მონიტორინგს.
- **14-16 მარტი** - ეტაპობრივად შეჩერდა მიმოსვლა მეზობელ ქვეყნებთან.

აღსანიშნავია, რომ პანდემიასთან ბრძოლის მეორე ეტაპზე **მთავრობა უპირატესად სარეკომენდაციო ხასიათის ღონისძიებებით შემოიფარგლებოდა.** ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანიები, რომელთა მიზანი იყო მოსახლეობისთვის ვირუსის საფრთხეების, პრევენციული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობის ახსნა.

## 1.3 მესამე ეტაპი - ვირუსის გავრცელების „მართვა“

საქართველოში ახალი კორონავირუსის პირველი შემთხვევის დადასტურებიდან **თითქმის 1 თვის შემდეგ** ქვეყანა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. ინტენსიურად დაწყებული ინფექციის კლასტერული გავრცელების პარალელურად წარმოიშვა ახალი საშიშროება - ვირუსის უკონტროლო შიდა გავრცელების საფრთხე, რომლის დროსაც შეუძლებელია ინფიცირების პირველწყაროს მიკვლევა და შესაბამისად, საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარება იზოლირების, არსებული და პოტენციური კონტაქტების მაქსიმალურად მოძიებისა და მიდევნების მიზნით.

ვირუსის უკვე შესწავლილი ბუნებიდან გამომდინარე, შიდა გავრცელების შემთხვევებში ვირუსის რეპროდუქციის ინდექსი საშუალოდ **2.5-3**-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო არსებული შეთხვევების გაორმაგება ხდება **მე-4, მე-5 დღეს,** რაც 30 დღეში ნიშნავს დაახლოებით **ინფიცირების 400 შემთხვევას.** ამ პერიოდისათვის, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაკვირვებით და შესაბამისი გათვლის მიხედვით, საქართველო სერიოზული რისკის წინაშე იდგა. ამაზე მიუთითებდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, NCDC-ის, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ამ დროისათვის განხორციელებული სხვადასხვა **მოდელირება/სცენარი**, რომლებიც მომზადდა წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტების მათემატიკური მიდგომების[7] ანალიზის საფუძველზე (დეტალური ინფორმაცია იხ.: თავი 1.5-ში). ანალოგიურ მაჩვენებლებს მოიცავდა ასევე სხვადასხვა დამოუკიდებელი კვლევა.

სამეცნიერო თვალსაზრისით, COVID-19-ის პანდემიის ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი, ასევე, იმ მასშტაბური ზიანის გათვალისწინებით, რაც მრავალ სახელმწიფოს მიადგა, მთავრობამ დაიწყო მზადყოფნა **მაქსიმალური გავრცელებისა და ფართომასშტაბიანი ეპიდემიის სცენარისთვის**[8].

---

[7] ოქსფორდის, ლონდონის იმპერიული კოლეჯის, ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტის, ბრისტოლის და სხვ.

[8] მოდელირების მიხედვით, 21 მარტისთვის ქვეყანაში რეგისტრირებული რეალური აქტიური შემთხვევების რაოდენობა, დაახლოებით 2.5-ჯერ აღემატებოდა იმ რაოდენობას, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა, ჰქონოდა ქვეყანას საშუალო სიმძლავრის შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელებისას და 2.7-ჯერ - მკაცრი შემაკავებელი ღონისძიებების არსებობისას.

ამასთან, დაკვირვებამ აჩვენა, რომ იმ ეტაპისთვის არსებული არასავალდებულო რეკომენდაციების შესრულების ხარისხი იყო დაბალი. ეპიდემიოლოგების მიერ წარმოდგენილი პროგნოზების მიხედვით, მძიმე სცენარის განვითარების შემთხვევაში, არსებობდა რისკი ქვეყანა დამდგარიყო ათასობით ინფიცირებულის და ჯანდაცვის სისტემის კოლაფსის წინაშე.

**16 და 19 მარტს** გამართულ **საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომებზე** განხილული იქნა ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელების ფონზე ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში შექმნილი ვითარება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესაძლებლობა. ამავდროულად, მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი და მასში არსებული კრიზისების მართვის ეროვნული სიტუაციური ოთახი.

ერთდროულად საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი სფეროს შეზღუდვის აუცილებლობის გამო, **21 მარტს ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა** (საგანგებო მდგომარეობა შემდგომში გახანგრძლივდა 22 მაისამდე) და დაიწყო პანდემიასთან ბრძოლის **მესამე ეტაპი**, რაც **ვირუსის გავრცელების მართვას** გულისხმობდა.

საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულების ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, შეიქმნა **საგანგებო მდგომარეობის მართვის ოპერაციული შტაბი,** რომელშიც მონაწილეობდა ყველა შესაბამისი უწყების წარმომადგენელი. ოპერაციული შტაბის ფარგლებში, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატს დაევალა საგანგებო მდგომარეობის ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე მართვის სქემის შემუშავება. შემუშავებული სქემის შედეგად, საქართველოს 10 რეგიონში ჩამოყალიბდა ადგილობრივ დონეზე ოპერირებადი შტაბები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულები (გუბერნატორები).

აღსანიშნავია, რომ ვირუსის **უკონტროლო გავრცელების საშიშროება რეალური გახდა 22 მარტს,** როდესაც საქართველოში გამოვლინდა შიდა გადაცემის პირველი ფაქტი, ხოლო კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევათა დღიურმა მაჩვენებელმა 10-ს გადააჭარბა. ყველა ქმედება, რომელიც საგანგებო მდგომარეობის მართვის ფარგლებში გატარდა, ეფუძნებოდა საერთაშორისო დონეზე რეკომენდებულ არაფარმაცევტულ ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნებს ვირუსის გავრცელების ეფექტიანად მართვის მიზნით ამ დროისთვის უნდა განეხორციელებინათ. ამგვარად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მთავრობამ მიიღო შემდეგი ზომები:

- **21 მარტი** - სრულად შეჩერდა საერთაშორისო სამგზავრო მიმოსვლა.
- **23 მარტი:**
  - მარნეულსა და ბოლნისში, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, ვირუსის გავრცელების მაქსიმალურად შესაკავებლად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესდა მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები;
  - შეჩერდა საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა სამარშრუტო ტაქსებითა და ავტობუსებით;
  - შეჩერდა თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა გადაყვანა.
- **26 მარტი** - ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის შესაძლო შემთხვევების გავრცელების პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის მობილიზდა სამედიცინო დაწესებულებები (ე.წ. კოვიდ კლინიკები).
- **30 მარტი** - დაიწყო „ცხელების კლინიკების“ შექმნა.

- **31 მარტი**
  - დაწესდა კომენდანტის საათი და აიკრძალა ქვეითად ან სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება **21:00 საათიდან 06:00 საათამდე;**
  - საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრის დასაშვები რაოდენობა შემცირდა 10-დან 3 პირამდე;
  - დაწესდა გადაადგილების ასაკობრივი შეზღუდვა, კერძოდ, 70 წლისა და მეტი ასაკის პირებს აეკრძალათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება (გამონაკლისების გარდა);
  - შეჩერდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მათ შორის, მეტროპოლიტენით;
  - აიკრძალა სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. ამასთან, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, დაწესდა მგზავრთა განთავსების ვალდებულება მძღოლის უკან, უკანა სავარძელზე;
  - ეტაპობრივად შეჩერდა სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური საქმიანობა, გარდა გამონაკლისებისა (მანამდე შეზღუდული იყო მხოლოდ ვაჭრობა).
  - შეიქმნა მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზი - 144.
- **10 აპრილი** - ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაწესდა მკაცრი საკარანტინო რეჟიმი.
- **12 აპრილი** - ქობულეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში (გვარაში, მუხაესტატეში, ლეღვაში და წყავროკაში) დაწესდა მკაცრი საკარანტინო რეჟიმი.
- **13 აპრილი** - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურში დაწესდა მკაცრი საკარანტინო რეჟიმი.
- **15 აპრილი** - აიკრძალა ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლა და ამ მუნიციპალიტეტებიდან გასვლა.
- **17 აპრილი** - აიკრძალა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (გარდა მოტოციკლისა) გადაადგილება და სასაფლაოების ტერიტორიაზე შესვლა. ასევე, დახურულ საჯარო სივრცეში თავშეყრისას დაწესდა პირბადის ტარების ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში შესაბამისი სავალდებულო წესების დაცვით შეუფერხებლად ხორციელდებოდა შემდეგი საქმიანობა:

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მათ შორის მკაცრ საკარანტინო რეჟიმში მოქცეულ მუნიციპალიტეტებში;
- სარეალიზაციოდ აგრარული პროდუქტის გამოტანა;
- სატვირთო გადაზიდვები (სატრანზიტოს ჩათვლით);
- სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონლისა და მომსახურების წარმოება-რეალიზაცია (საკვები პროდუქტები, მედიკამენტები, დენი, გაზი, წყალი, კომუნიკაციები, საწვავი);
- კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და საწარმოების მუშაობა (სამაცივრე და სასათბურე მეურნეობები; საირიგაციო/სამელიორაციო სისტემების მშენებლობა; სისტემური საწარმოების ფუნქციონირება).

აღნიშნული ობიექტებისთვის მოკლე ვადაში შემუშავდა სამუშაოს უსაფრთხოდ უზრუნველყოფისთვის აუცილებელი წესები, ასევე თანამშრომელთა უსაფრთხოდ ტრანსპორტირების წესები. შესაბამისად, ბიზნესსუბიექტებს ჰქონდათ შესაძლებლობა,

ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით, შეზღუდვების მიუხედავად, თანამშრომლები გადაეყვანათ სამარშრუტო ტაქსებითა და ავტობუსებით.

ჯამში, საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეუფერხებლად მუშაობდა **63 ათასზე მეტი ეკონომიკური სუბიექტი** და შედეგად, შენარჩუნდა **ათობით ათასი სამუშაო ადგილი.**

## 1.4 მეოთხე ეტაპი - ეტაპობრივი შემსუბუქება და ადაპტაცია

როგორც კი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კონტროლს დაექვემდებარა და დაიწყო ყოველდღიური შემთხვევების კლება, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნისა და ცალკეული ეკონომიკური საქმიანობების დაშვების შესახებ. 20-26 აპრილს, ინფიცირების დღიური მაჩვენებელი 30-ს, ხოლო კვირის ჯამური მაჩვენებელი 100-ს ჩამოსცდა. ასევე, **მაისის პირველი ნახევრიდან** ვირუსის რეპროდუქციის მაჩვენებელი **1-ს ქვემოთ ჩამოვიდა** და დინამიკაში უკვე აღინიშნებოდა დასტაბილურების ტენდენცია. დაავადებათა კონტროლის ეპიდემიოლოგიური ანალიზი, შეჯერებული სხვა მონაცემებთან, ერთმნიშვნელოვნად აჩვენებდა გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას, **რომლის შედეგად შემცირდა მობილობა და გაიზარდა სოციალური დისტანცირება.** ამაზე მიუთითებს კომპანია **Google-ის** გეოლოკაციაზე დაყრდნობით შედგენილი სოციალური დისტანცირების შეფასებაც.

*ცხრილი 1: Google მონაცემები - COVID-19 Community Mobility Report*

| თარიღი | სახლში ყოფნა | სამუშაო ადგილებზე ყოფნა | ტრანსპორტით გადაადგილება | სარეკრეაციო ზონები (პარკები) | სასურსათო და ფარმაცევტული ობიექტები | საჯარო სივრცეები, გართობა/დასვენება |
|---|---|---|---|---|---|---|
| **16.05.2020** | **+8%** | **-32%** | **-44%** | **-7%** | **-27%** | **-52%** |
| **26.04.2020** | **+18%** | **-51%** | **-70%** | **-33%** | **-59%** | **-78%** |
| **20.04.2020** | **+31%** | **-81%** | **-78%** | **-37%** | **-72%** | **-85%** |
| **29.03.2020** | **+12%** | **-38%** | **-53%** | **-24%** | **-36%** | **-67%** |

NCDC-ის COVID-19-ის რეაგირების ანალიტიკური ჯგუფის მიერ **შვეიცარიის ბაზელის ინსტიტუტის შექმნილი მოდელის** საქართველოს ეპიდსიტუაციასთან ადაპტირებით მიღებული ციფრები, თავის მხრივ, ადასტურებს გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას და იძლევა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ერთიან ჭრილში გაანალიზების საშუალებას.

წარმოდგენილი მოდელირება ითვალისწინებს შეზღუდვების სხვადასხვა სიძლიერის შესაბამისად პროგნოზულ აბსოლუტურ რიცხვებზე დაფუძნებულ დღიურ მატებას. მოდელში ასახულია რეალური ციფრების შესაბამისი მრუდი (წითელი) და შეკავების სამი დონე:

- შუალედური (ყვითელი მრუდი);
- გასაშუალოებული პირველ და მეორე დონეს შორის (მწვანე მრუდი);
- მკაცრი (ლურჯი მრუდი).

**წარმოდგენილი მოდელით ქვეყანაში არსებული COVID-19-ის ეპიდემიის გავრცელება ემორჩილება გატარებულ ღონისძიებებს და არის კონტროლირებადი.**

*დიაგრამა 1: 2020 წლის მარტი-მაისის პერიოდის მოდელირება, NCDC-ის COVID-19-ის რეგირების ანალიტიკური ჯგუფი*



გარდა მოდელირებაში ასახული **რეალური** და **სცენარით გათვალისწინებული შედეგების** თანხვედრისა, **ახალი შემთხვევების გამოვლენისა** და **გამოჯანმრთელებულ პაციენტთა** რაოდენობის თანაფარდობა მიუთითებს ქვეყანაში ეპიდემიის მართვის დადებით შედეგებზე. კერძოდ, საგულისხმოა, რომ გამოჯანმრთელების პირველი შემთხვევა **16 მარტს** დაფიქსირდა, ხოლო უკვე **1 მაისიდან აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის ყოველთვის** (გარდა 14 და 26 მაისისა) აჭარბებდა ინფიცირების ახალი შემთხვევების დღიურ რაოდენობას, მათ შორის ყველაზე დიდი სხვაობით - **11 მაისს** - **21**, ხოლო **15 მაისს** - **20 გამოჯანმრთელებულით (იხ. დიაგრამა 2).**

*დიაგრამა 2: ახალი შემთხვევების და გამოჯანმრთელებული პაციენტების თანაფარდობა*




**შეზღუდვების შემსუბუქების ეტაპზე მნიშვნელოვანია ქვეყნის COVID-19-ის ლაბორატორიული კვლევის შესაძლებლობების გაძლიერება.** ამ მხრივ, საქართველოს მთავრობის გადაწვეტილებაა უზრუნველყოს სისტემური ტესტირება და სქრინინგი, რაც ადაპტაციის ფაზის მართვის აუცილებელი პირობაა. მიზნობრივი ტესტირება და გამოვლენა უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების სწორად მართვას და შეზღუდვების ხელახლა გამკაცრების მაქსიმალურ პრევენციას.

საწყის ეტაპზე COVID-19-ის შემთხვევის გამოსავლენად მიღებული „ოქროს სტანდარტის" შესაბამისად, პჯრ/RT-PCR კვლევას ახორციელებდა მხოლოდ ლუგარის ლაბორატორია, ეტაპობრივად კი ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული კვლევის წარმოება შესაძლებელი გახდა სხვა, მათ შორის კერძო ლაბორატორიებში. COVID-19-ზე კვლევის აღრიცხვის **ელექტრონული მოდული,** რომელშიც ინტერაქტიულად გროვდება **ინფორმაცია ტესტირებების შესახებ, ტესტირებების მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს.** კერძოდ, აპრილის თვიდან ტესტირებულთა რაოდენობა დღიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო **მაისის მონაცემებით ტესტირების საშუალო დღიური მაჩვენებელი 1 500-ია. 22 მაისის** მდგომარეობით, საქართველოში პჯრ/RT-PCR ტესტირებულთა საერთო რაოდენობა **47 569-ს შეადგენდა (იხ. დიაგრამა 3).**

*დიაგრამა 3: COVID-19-ზე პჯრ/RT -PCR ტესტირებულთა რაოდენობა საქართველოში, 22.05.2020*




ამდენად, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და ამ მხრივ ტენდენციების გათვალისწინებით, აპრილის ბოლოდან ქვეყანამ დაიწყო შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნა და ეკონომიკის ამოქმედება. ასევე, გასათვალისწინებელია საერთაშორისო პრაქტიკაც. ამ პერიოდში ბევრმა ქვეყანამ უკვე დაიწყო შემსუბუქების გზისკენ სვლა **(საფრანგეთი, ალბანეთი, გერმანია, ავსტრია, ნორვეგია, დანია, ჩეხეთი, იტალია, ესპანეთი, ფინეთი, ხორვატია)**. შესაბამისად, **2020 წლის 24 აპრილს,** საქართველოს მთავრობამ საზოგადოებას წარუდგინა **დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის და ეკონომიკის ამოქმედების გეგმა** (დეტალური ინფორმაცია ეკონომიკური გეგმის შემუშავების მიდგომის შესახებ წარმოდგენილია ანგარიშის მე-4 თავში).

შესაბამისად, კონტროლირებადი ვითარების ფონზე, თუმცა იმ დაშვებით, რომ ვირუსი არ გამქრალა, ქვეყანა გადავიდა პანდემიისთან ბრძოლის **მე-4, ეტაპობრივი შემსუბუქებისა და ადაპტაციის ეტაპზე,** რომლის ფარგლებშიც ეტაპობრივად მოიხსნა შემდეგი შეზღუდვები:

- **27 აპრილი - დაშვებულ იქნა:**
  - მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება;
  - ღია ტიპის აგრარული ბაზრების/ბაზრობების საქმიანობა;
  - მიტანის მომსახურება (ე. წ. „დელივერი სერვისი“) ყველა სახის პროდუქტზე;
  - დისტანციური (ე.წ. „ონლაინ“) ვაჭრობა (სამუშაო ადგილზე/საწყობში არა უმეტეს 5 ადამიანის ყოფნის პირობით).
- **28 აპრილი** - მოიხსნა მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები ლენტეხსა და სოფელ ხიდისყურში.
- **5 მაისი:**
  - გაიხსნა ქ. ბათუმისა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტები;
  - დაშვებულ იქნა - ავტომობილების, მოტოციკლეტების, მოპედებისა და ველოსიპედების ტექნიკური მომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობა, მათ შორის ავტოსამრეცხაოების საქმიანობა, ასევე, ამავე სუბიექტების მიერ ტექნიკური მომსახურების გასაწევად აუცილებელი ნაწილების/აქსესუარების/მასალის ადგილზე რეალიზაცია; სამშენებლო-სარემონტო საქმიანობა, ასევე, სამშენებლო ზედამხედველობასთან დაკავშირებული საქმიანობა; სამშენებლო მასალებისა და ხისა და მინის ნაწარმის წარმოება, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობასთან.
- **8 მაისი** - მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები მოიხსნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (გვარა, ლეღვა, მუხაესტატე, წყავროკა).

- **11 მაისი**
  - გაიხსნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი;
  - დაშვებულ იქნა - ნებისმიერი სახის წარმოება და მოპოვება; სესხის გამცემი სუბიექტების საქმიანობა; საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერებისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტის მომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობა; ღია მოსასვენებელი და სარეკრეაციო ზონების ფუნქციონირება; იმ საცალო და საბითუმო სარეალიზაციო ობიექტების (მაღაზიების) ფუნქციონირება, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან, გარდა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობისა და სავაჭრო ცენტრებისა (შეზღუდული დარჩა ე. წ. მოლები და ყველა სხვა ტიპის ბაზრობები).
- **14 მაისი** - გაიხსნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი.
- **18 მაისი:**
  - დაშვებულ იქნა სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების საქმიანობა;
  - საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრის დასაშვები რაოდენობა გაიზარდა 10 პირამდე.
- **23 მაისი:**
  დასრულდა საგანგებო მდგომარეობა და:
  - მოიხსნა ავტომობილით 3-ზე მეტი ადამიანის გადაადგილების შეზღუდვა, გარდა ტაქსით გადაადგილებისას;
  - გაუქმდა ე.წ. კომენდანტის საათი;
  - დაშვებული გახდა ყველა ეკონომიკური საქმიანობა, გარდა:
    - ✓ რესტორანში, ბარში, კაფესა და ნებისმიერი სახის სასადილოში მომხმარებლის ადგილზე კვების მომსახურებისა;
    - ✓ ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობისა (დასაშვებია „ონლაინ“);
    - ✓ სავაჭრო ცენტრებისა (ე. წ. მოლები) და ბაზრობების ფუნქციონირებისა (გარდა ღია ტიპის აგრარული ბაზრობებისა);
    - ✓ სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარებისა;
    - ✓ სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცედურა/აქტივობებისა;
    - ✓ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობისა.
  - დასაშვები გახდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შეკრება და მანიფესტაცია;
  - დასაშვები გახდა უნივერსიტეტში პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოებისა და გამოცდების ჩატარება არადისტანციურად (ფიზიკურად), ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად;
  - გადაადგილების ასაკობრივი შეზღუდვა 70 წლისა და მეტი ასაკის ადამიანებისთვის გახდა სარეკომენდაციო ხასიათის;
  - მოიხსნა სასაფლაოების ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა.

## 1.5. ჯანდაცვის სისტემის შეფასება

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ პანდემიის პირობებში განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებიც კი უდიდესი გამოწვევის წინაშე აღმოჩდნენ. შესაბამისად, საქართველოს **ჯანდაცვის სისტემის მომზადება და მისი გადატვირთვით გამოწვეული შესაძლო კოლაფსის თავიდან აცილება** ადრეულ ეტაპზე მთავრობის კრიტიკული მნიშვნელობის პრიორიტეტად განისაზღვრა. აღნიშნულის მისაღწევად კი აუცილებელი იყო **ჯანდაცვის სისტემის პანდემიის წინააღმდეგ მიმართულ რეჟიმზე გადაყვანა.**

აღნიშნული ამოცანის შესრულება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მთელი მსოფლიოსათვის. მისი მიღწევის პროცესში რთულ დაბრკოლებებს გადააწყდნენ ეკონომიკურად და რესურსებით კარგად უზრუნველყოფილი სახელმწიფოებიც. საყოველთაო გამოწვევას წარმოადგენდა შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების დროული და სწორი მობილიზება.

COVID-19-ის საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის სისტემის არსებული სიმძლავრეებისა და ეპიდემიის გავრცელების მოდელირების ინსტრუმენტით მომზადებული სცენარების ანალიზი.

ზემოხსენებული სცენარები ცალსახად მიუთითებდა, რომ სოციალური დისტანცირების ზომების გარეშე საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ვერ გაუმკლავდებოდა ერთდროულად სისტემაში 2000 ან 3000 ინფიცირებულის დღიურ ნაკადს, ისევე, როგორც ეს ვერ შეძლეს ევროპის მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა.

სამინისტრომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ცენტრთან და ექსპერტების ჯგუფთან თანამშრომლობით გააანალიზა სამი სხვადასხვა მეთოდით გაკეთებული პროგნოზული გათვლები, რომლების მიხედვითაც სოციალური დისტანცირებისა და შემაკავებელი ღონისძიებების გარეშე: 1) პენსილვანიის COVID-19 Hospital Impact Model for Epidemics-ის მეთოდით ეპიდემიის პიკი დადგებოდა პირველი შემთხვევის დაფიქსირებიდან 12-13 კვირაში ჰოსპიტალიზაციის დაახლოებით 5950 შემთხვევით პიკის ფაზაში; 2) ბაზელის უნივერსიტეტის (შვეიცარია) მიერ შემუშავებული მათემატიკური მოდელირების ტენდენციის სცენარით 13-14 კვირას ჰოსპიტალიზაციის 5100 შემთხვევით; ხოლო 3) გრიპების პანდემიისთვის აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების FluSurge 2.0 მეთოდოლოგიით, პანდემიის პიკი დადგებოდა მე-5-7 კვირას ჰოსპიტალიზაციის 2 381 შემთხვევით. სამივე მოდელში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი მოიცავს **მხოლოდ მძიმე პაციენტების ჰოსპიტალიზაციას,** რაც იმას ნიშნავს, რომ **ინფიცირებულთა ჯამური რაოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა.**

მოდელირებამ ასევე აჩვენა, რომ სოციალური დისტანცირებისა და შეზღუდვების 20%-იან გამკაცრებას მოჰყვებოდა პიკის მე-17 კვირაზე გადანაცვლება და ჰოსპიტალური შემთხვევების რაოდენობის **4 174-დან 2 656-მდე შემცირება, ხოლო 30%-იან გამკაცრებისას კი ეპიდემია მოსალოდნელი იყო 22-ე კვირას ჰოსპიტალიზაციის 1 418 შემთხვევით.**

რაც შეეხება ჯანდაცვის სისტემას, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ანალიზის მიხედვით, ქვეყანაში სულ ფუნქციონირებს **297** სტაციონალური დაწესებულება (86% კერძო) **17 514 საწოლით.** ამასთან, ონკოლოგიის, ფსიქიატრიული, სამშობიარო და სხვა ვიწრო სპეციალიზირებული კლინიკების საწოლების გამოკლებით, რჩება **10 000-ზე** ოდნავ მეტი საწოლი. აქედან, ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი სერვისებისთვის განკუთვნილია **2 290 საწოლი,** ხოლო რესპირატორული დისტრეს სინდრომის მართვისთვის შესაფერისია **1 749 სასუნთქი აპარატი.** საწოლები და აპარატები განკუთვნილია ყველა დიაგნოზით საავადმყოფოში მოთავსებული პაციენტებისთვის, შესაბამისად, მათი ნახევარი მუდმივად დაკავებულია.

გარდა ამისა, საქართველოს კლინიკებში სულ დასაქმებულია **488 რეანიმატოლოგი და 256 ინფექციონისტი.** აღნიშნულ პერსონალს ერთდროულად დღეში მხოლოდ **1200 და 853 პაციენტის მომსახურება შეუძლია** და ამასთან, აღნიშნულ რაოდენობაში შედის ყველა ტიპის პაციენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **მაქსიმალური სოციალური დისტანცირება და მობილობის შეზღუდვა განისაზღვრა** როგორც ერთადერთი ქმედითი გამოსავალი კოვიდ-19-ზე სათანადო რეაგირებისთვის.

სწორედ აღნიშნული მტკიცებულებები და პროგნოზები დაედო საფუძვლად ქვეყნის მიერ კოვიდის შემთხვევებთან ბრძოლის პოლიტიკას, რამაც მოიტანა ვირუსის უპრეცენდენტოდ დაბალი გავრცელება და ნაკლები ადამიანური დანაკარგები.

## 2. საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდვები

### 2.1 მიზნობრიობა

დღეს მსოფლიო მასშტაბით დაგროვილი გამოცდილება აჩვენებს, რომ პირდაპირი სამკურნალო საშუალებებისა და ვაქცინის არარსებობის პირობებში, **ახალ კორონავირუსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი და რეალური მექანიზმი სოციალური დისტანცირებაა. სოციალური დისტანცირების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ხდება შეზღუდვების დაწესება და მათი ზედმიწევნით აღსრულება.** რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათმა და შეზღუდვების დაგვიანებით დაწესებამ არა ერთ ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის კოლაფსი და ათასობით ლეტალური შედეგი გამოიწვია[9].

შეზღუდვების საჭიროების ანალიზისას საყურადღებოა, რომ **ქვეყნებს, რომლებმაც პასიური საპასუხო ღონისძიებები აირჩიეს, პირველი 100 შემთხვევის შემდეგ 500 შემთხვევა 5-8 დღეში დაუდგათ.**[10] მეორე მხრივ, აზიის ქვეყნებში, რომელთაც ეპიდემიასთან ბრძოლის **მკაცრი და დროული ღონისძიებები გაატარეს** (სამხრეთ კორეა, ჰონგ-კონგი), **პირველი 100 შემთხვევა 20-36 დღის შემდეგ** დაფიქსირდა.[11] მსოფლიო სტატისტიკა ნათლად აჩვენებს **საქართველოს წარმატებას, რადგან გატარებული ღონისძიებების შედეგად, პირველი 100 შემთხვევის გამოვლენა ეპიდემიის დაწყებიდან 30-35 დღეზე მოხდა.**[12]

ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურის ანალიზი. ბოლო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) მოსახლეობა **3 716 858** ადამიანს შეადგენს, აქედან საპენსიო ასაკისაა **762 621 პირი (მთლიანი მოსახლეობის 20.5%)**. შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედი კოვიდ-19-ის პანდემიის მიმართ მაღალი ან საშუალო რისკის მატარებელად შეიძლება ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ COVID-19-ის მთავარი რისკ-ფაქტორების **ოთხი ძირითადი ქრონიკული დაავადებით გამოწვეული ავადობის ტვირთი** ქვეყანაში საკმაოდ მაღალია - **80%**, აქედან: 1) გულსისხლძარღვთა დაავადებებისთვის - **40%**, 2) ქრონიკული რესპირაციული დაავადებებისთვის -**22%**, 3) სიმსივნეებისთვის - **15%** და 4) დიაბეტისთვის - **3%**.[13]

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის შეზღუდვების დაწესების პრობლემურობიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე საქართველოს მთავრობამ აირჩია **უპირატესად რეკომენდაციებისა და საინფორმაციო კამპანიების გზა.** სავალდებულო მკაცრი შეზღუდვების დაწესება კი ამ ეტაპზე მაქსიმალურად იქნა თავიდან არიდებული. შესაბამისად, ახალი კორონავირუსის დაფიქსირებიდან **(26 თებერვლიდან) თითქმის 1 თვის განმავლობაში (21 მარტამდე)**, მთავრობა აწარმოებდა აქტიურ საინფორმაციო კამპანიებს და გასცემდა რეკომენდაციებს, რომლებიც მოიცავდა „დარჩი სახლში“ საყოველთაო სარეკომენდაციო პოლიტიკას და სოციალური დისტანციის დაცვას; პირადი და საზოგადოებრივი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; საჯარო და კერძო დაწესებულებების თანამშრომლების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანას; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, კაფე-რესტორნებში, გასართობ სივრცეებში, სპორტულ დარბაზებში, აუზებზე, სლოტკლუბებსა და კაზინოებში წასვლისგან თავის შეკავებას, ხოლო

---

9 https://cpb-ap se2.wpmucdn.com/blogs.auckland.ac.nz/dist/d/75/files/2020/04/InternationalReffReview_FullReport_21Apr_FINAL2.pdf

10 დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია: იტალია; საფრანგეთი; გერმანია; დიდი ბრიტანეთი; შვეიცარია; ესპანეთი; აშშ.

11 COVID-19 ეპიდემია საქართველოში პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები, „საერთაშორისო ფონდი კურაციო“, 27 მარტი, 2020, გვ. 6.

12 დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია აქ.

13 https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/16.08.2019.pdf

მოგვიანებით კი მოწოდებას კაფე-რესტორნების, გასართობი სივრცეების, სპორტული დარბაზების, აუზების, სლოტკლუბებისა და კაზინოების დახურვასთან დაკავშირებით.

თუმცა, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე დეტალურმა დაკვირვებამ და შედეგად მიღებულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ აჩვენა, რომ რეკომენდაციები არასაკმარისი აღმოჩნდა, ვინაიდან საზოგადოების დიდმა ნაწილმა, უმეტესწილად, უცვლელ რეჟიმში განაგრძო ცხოვრება (იხ. დანართი 2: შედარებითი მონაცემები ავტომანქანების ნაკადების შესახებ შეზღუდვამდე და შემდეგ პერიოდში), რაც ზრდიდა ვირუსის გავრცელების, მოქალაქეთა უმრავლესობის დაინფიცირებისა და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ჩამოშლის რისკებს. შესაბამისად, **როდესაც 2020 წლის მარტის მეორე ნახევარში** ქვეყანა COVID-19-ის გავრცელების უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა და არსებობდა ვირუსის შიდა უკონტროლო გადაცემის მაღალი რისკები, ამასთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული იყვნენ უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელების შესაძლებლობას, დღის წესრიგში დადგა უფრო მკაცრი/სავალდებულო ზომების გატარების და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, **სავალდებულო შეზღუდვების შემოღება განპირობებული იყო 3 ძირითადი ფაქტორით:**

1. **ვირუსის გადამდებობის ხარისხი და ჯანდაცვის სისტემის მზაობა** - ვირუსის მაღალი გადამდებობისა და სწრაფად გავრცელების გათვალისწინებით, ამოცანა იყო, არ დაგვეშვა ადამიანების მასობრივი დაინფიცირება, რაც ჯანდაცვის სისტემის გადატვირთვას და შემდგომ კოლაფსს გამოიწვევდა.
2. **სოციუმის სოციალურ-კულტურული თავისებურებები** - ქვეყანაში სოციუმის სპეციფიკის გათვალისწინებით (რაც თაობების ერთად ცხოვრების ტრადიციას ეფუძნება), ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო რისკჯგუფების (ასაკოვანი, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები) ცალკე გამოყოფა და იზოლირება.
3. **სოციუმის მხრიდან რეკომენდაციების მიმღებლობის ხარისხი** - პანდემიასთან ბრძოლის საწყის ეტაპზე დაწესებული რეკომენდაციების აღსრულების ანალიზმა გამოავლინა ამ მეთოდის ფაქტობრივი სისუსტე. შესაბამისად, სასურველი შედეგის მისაღწევად, აუცილებელი გახდა სავალდებულოდ შესასრულებელი შეზღუდვების დაწესება.

აღსანიშნავია, რომ ყველა დაწესებული შეზღუდვა მიზნად ისახავდა მოქალაქეთა მობილობის შეზღუდვას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სოციალური დისტანცირების წესების დაცვას, რაც უზრუნველყოფდა ვირუსის სწრაფად გავრცელების პრეცენციას, მის შენელებასა და კონტროლს.

### 2.1.1 სამართლებრივი ასპექტი

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2020 წლის 21 მარტს გამოცემული დეკრეტის საფუძველზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები და თავისუფლებები. ამასთან, დეკრეტმა მოიცვა მხოლოდ ის უფლებები და თავისუფლებები, რომელთა შეზღუდვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვისთვის. დეკრეტითვე მოხდა გარკვეული საკითხების რეგულირების უფლებამოსილების საქართველოს მთავრობაზე დელეგირება, **თუმცა, მთავრობისთვის დელეგირებული უფლებამოსილების მასშტაბი, მიზნები და ფარგლები დეკრეტითვე იყო განსაზღვრული.**

ვინაიდან კონკრეტული შეზღუდვისა თუ განსხვავებული რეგულაციის დაწესების აუცილებლობა დამოკიდებული იყო ქვეყანაში ან მის კონკრეტულ ნაწილში ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც, ფაქტობრივად ცვალებადი იყო (ზოგიერთ შემთხვევაში - ყოველდღიურად), მნიშვნელოვანი იყო მთავრობას ჰქონოდა კონკრეტული შეზღუდვ(ებ)ის დაწესების შესაძლებლობის მოქნილობა, რათა დროულად და ეფექტიანად ეპასუხა ყოველდღიურად ცვალებადი ეპიდემიოლოგიური სიტუაციით შექმნილი გამოწვევებისთვის.

ხაზგასასმელია, რომ კონკრეტული შეზღუდვის დაწესებისას გათვალისწინებული იყო, ერთი მხრივ, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე არსებული ლეგიტიმური მიზანი, ხოლო მეორე მხრივ - ლეგიტიმურ მიზანსა და მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის პროპორციულობა.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდვების ძირითადი ნაწილი (განსაკუთრებით, შეზღუდვების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდებოდა ადამიანთა პირველად საჭიროებებსა და შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობების განხორციელებას) ითვალისწინებდა აუცილებელ გამონაკლისებს. მაგალითისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში გამოყენებულ იქნა მკაცრი საკარანტინო ღონისძიებები, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, ყველა სხვა მუნიციპალიტეტის მსგავსად, დაშვებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება და მეცხოველეობა/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება (ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით), ვინაიდან ეს საქმიანობები მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

**პრეზიდენტის დეკრეტით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული შემდეგი უფლებები:**

- **ადამიანის თავისუფლება** (საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი), რითაც შესაბამის ორგანოებს მიეცათ უფლება, მთავრობის მიერ დადგენილი იზოლაციის ან კარანტინის წესების დარღვევისათვის პირი იძულებით გადაეყვანათ შესაბამის დაწესებულებაში.
- **მიმოსვლის თავისუფლება,** (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი), რითაც:
  - მთავრობას მიეცა უფლება, დაედგინა იზოლაციისა და კარანტინის წესები;
  - შეჩერდა საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა, გარდა მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;
  - მთავრობას მიეცა უფლება, მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესით, დაერეგულირებინა საქართველოს ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა.
- **პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები** (საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი), რითაც შეჩერდა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული პაემნის უფლების მოქმედება.
- **სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები** (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი), რითაც მთავრობას მიეცა უფლება, დადგენილებით განესაზღვრა საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები.
- **საკუთრების უფლება** (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი), რითაც მთავრობას მიეცა უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისათვის შეეზღუდა საკუთრების უფლება და გამოეყენებინა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები.
- **შეკრების თავისუფლება** (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი), რითაც შეიზღუდა ნებისმიერი სახის შეკრება, მანიფესტაცია და ადამიანების თავშეყრა, გარდა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.
- **შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება** (საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი), რითაც:

- მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ კერძო სამართლის სუბიექტებს აეკრძალათ, შეეზღუდათ ან დაევალათ ცალკეული საქმიანობის განხორციელება ამავე დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ფიზიკური და იურიდიული პირების და საჯარო დაწესებულებების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის სპეციალური წესები;
- მთავრობას მიეცა უფლება, დაედგინა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესები და პირობები;
- მთავრობას მიეცა უფლება, მოეხდინა შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და უფლებამოსილების მქონე პირების მობილიზაცია.

**გარდა ამისა, დეკრეტითვე:**

- საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიეცა უფლება, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმის დაცვის ვალდებულება, ასევე პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას გამოცხადება, დაერეგულირებინა მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესით.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების გამართვა შესაძლებელი გახდა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამ წესით სხდომის გამართვის შემთხვევაში, მასში მონაწილე ყველა პირს შეეზღუდა უფლება, უარი ეთქვა დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.

## 2.2 შეზღუდვები

როგორც უკვე აღინიშნა, შეზღუდვების მართვა (შემოღება-გაუქმება) ხორციელდებოდა მსოფლიო ტენდენციებზე დაკვირვებით, საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით, ქვეყანაში არსებული ეპიდმდგომარეობის ანალიზისა და შესაძლო რისკების გათვალისწინებით. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია **მნიშვნელოვანი შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ,** აგრეთვე, **განხილულია თითოეული მათგანის დაწესების მიზნობრიობა** და **შედეგები.**

### 2.2.1 საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის შეზღუდვა

| | |
|---|---|
| **29 იანვარი** | შეწყდა პირდაპირი ავიამიმოსვლა საქართველოსა და ჩინეთს სახალხო რესპუბლიკას შორის |
| **24 თებერვალი** | შეწყდა პირდაპირი ავიამიმოსვლა საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის |
| **26 თებერვალი** | შეიზღუდა ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის საქართველოს სახმელეთო საზღვრებზე გადაადგილება |
| **6 მარტი** | შეწყდა პირდაპირი ავიამიმოსვლა საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას შორის |
| **14 მარტი** | შეჩერდა მოქალაქეთა გადაადგილება საქართველო-სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებზე |

| | |
|---|---|
| **15 მარტი** | შეჩერდა მოქალაქეთა გადაადგილება საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის საზღვარზე |
| **16 მარტი** | შეჩერდა მოქალაქეთა გადაადგილება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის |
| **21 მარტი** | საქართველოში აიკრძალა უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლა, ეტაპობრივად შეიზღუდა სახმელეთო მიმოსვლაც |

## შეზღუდვის მიზანი

მსოფლიოში შექმნილი ეპიდსიტუაციის შესაბამისად, მთავრობამ მყისიერი ზომები გაატარა და დროულად აკრძალა ფრენები იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც დაფიქსირდა ვირუსის სწრაფი გავრცელების ტენდენცია. **ვირუსთან ბრძოლის კონტექსტში, აღნიშნული შეზღუდვა მსოფლიოში ყველაზე აპრობირებული მეთოდია,** რაც ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, შეამცირონ ქვეყანაში ვირუსის შემოტანის საფრთხე, მეორე მხრივ - მოიგონ გარკვეული დრო ჯანდაცვის სისტემის სათანადოდ მომზადებისთვის და მოახდინონ ეპიდემიის კონტროლირებადი მართვა.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, **საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ჩინეთიდან პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა შეაჩერა.** ჩინეთიდან საქართველოში კვირაში 3 საჰაერო რეისი სრულდებოდა, საკმაოდ მაღალი იყო ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა, რაც ვირუსის სწრაფი გავრცელების რისკს მნიშვნელოვნად ზრდიდა.

**2020 წლის 20 თებერვალს**, იტალიაში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ, ეპიდემიამ სწრაფი შიდა გავრცელება დაიწყო და შედეგად იტალია ევროპაში ყველაზე მაღალი რისკის შემცველი ქვეყანა გახდა. საქართველოს მთავრობამ მყისიერად იმოქმედა და საზღვრების სრულ ჩაკეტვამდე, ქვეყნის ყველა საერთაშორისო აეროპორტში პრევენციული ზომები მიიღო.[14] აღნიშნული ზომები, ეპიდსიტუაციის მიხედვით, ეტაპობრივად გამკაცრდა და საზღვრების სრულად ჩაკეტვამდე, მაღალი რისკის ქვეყნებიდან ჩამოსულ მოქალაქეებზე 14 დღიანი სავალდებულო კარანტინი დაწესდა.

ამასთან, იტალიასთან საზღვრების ნაადრევი ჩაკეტვა ეპიდემიის მენეჯმენტს უფრო გაართულებდა, ვინაიდან, შესაძლოა, იტალიაში მყოფი საქართველოს მოქალაქეები ქვეყანაში დაბალი რისკის ქვეყნების გავლით დაბრუნებულიყვნენ და კარანტინის თავიდან არიდების მიზნით, საკუთარი მოგზაურობის ისტორია დაემალათ. აღნიშნული, ვირუსის შიდა გავრცელების რისკს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

ირანში შექმნილი მძიმე ეპიდსიტუაციის გამო, საქართველოს მთავრობამ საჰაერო მიმოსვლის შეჩერების შესახებ დროული გადაწყვეტილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა 26 თებერვალს დაფიქსირდა, ვირუსი დაუდგინდა აზერბაიჯანის გავლით ირანიდან შემოსულ საქართველოს მოქალაქეს. **2020 წლის იანვრის სტატისტიკური მონაცემებით, ირანიდან საქართველოში შემოსული ვიზიტორების რიცხვი 12%-ით გაიზარდა.** ირანში ეპიდსიტუაციის დამძიმების პარალელურად საქართველომ გაამკაცრა ზომები და ირანის მოქალაქეებისთვის სახმელეთო საზღვრებზე გადაადგილების შეზღუდვის გადაწყვეტილება მიიღო.

მეზობელ ქვეყნებთან საჰაერო და სახმელეთო საზღვრების ჩაკეტვის შესახებ გადაწყვეტილება ეპიდემიოლოგიებისა და ჯანდაცვის ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით იქნა მიღებული, რაც აღნიშნულ ქვეყნებში პანდემიის სწრაფ გავრცელებასა და შიდა გავრცელების შემთხვევების მატებასთან იყო დაკავშირებული.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის პანდემიად გამოცხადებისა და სხვადასხვა კონტინენტზე ეპიდსიტუაციის მნიშვნელოვნად დამძიმების შემდეგ, საქართველომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საზღვრის კვეთის დროებითი შეზღუდვა დააწესა. პარალელურად, ქვეყანამ

[14] ქვეყანაში შემოსვლისას ყველა მგზავრს მედიკოსები ადგილზე ამოწმებდნენ და, ვირუსის სიმპტომური მახასიათებლის გამოვლენის შემთხვევაში, მგზავრები გადაჰყავდათ კარანტინში, ხოლო დანარჩენ მოქალაქეებს ეძლეოდათ თვითიზოლაციაში დარჩენის რეკომენდაცია.

ორგანიზება გაუწია მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოდან საქართველოს მოქალაქეების სპეცრეისებით ეტაპობრივი დაბრუნების პროცესს.

### შეზღუდვის შედეგი

საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის ეტაპობრივი შეზღუდვებით საქართველომ აირიდა კორონავირუსის ინფექციის ქვეყანაში სწრაფი და მასობრივი შემოტანა. გარდა ამისა, უზრუნველყოფილ იქნა ვირუსის იმპორტირებული შემთხვევების დროული გამოვლენა და 14-დღიანი სავალდებულო კარანტინის დაწესების შედეგად, პრევენციული ზომების ეფექტიანად გატარება.

## 2.2.2 სასწავლო პროცესის შეჩერება და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, **4 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით გამოცხადდა არდადეგები, რომელიც 16 მარტიდან 1 აპრილამდე გახანგრძლივდა.** შემდგომ, ახალი კორონავირუსის პანდემიით შექმნილი საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სკოლები დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ.

### შეზღუდვის მიზანი

სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებები **მაღალი სოციალური ინტერაქციით ხასიათდება და ზოგადად, მოსახლეობის მობილობას მნიშვნელოვნად ზრდის,** რაც ვირუსის სწრაფ გავრცელებას უწყობს ხელს.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევების დაფიქსირების შემდეგ, ხელისუფლებამ მყისიერად მიიღო პრევენციული ზომები და ქვეყნის მასშტაბით სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი შეწყვიტა. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებთან და ეპიდემიოლოგებთან კონსულტაციების შედეგად, თავდაპირველად დაწესებული ორკვირიანი არდადაგები გახანგრძლივდა.

შეზღუდვების პარალელურად, ქვეყნის **საგანმანათლებლო სისტემა საკმაოდ მცირე დროში გადაეწყო დისტანციური სწავლების მოდელზე.**

დისტანციურ სასწავლო პროცესში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფის, ასევე ინტერნეტთან შეზღუდული წვდომის მქონე მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მცირე დროში შემუშავდა ინოვაციური პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) დისტანციური განათლების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად დაასახელა.[15]

სასწავლო პროცესის დროებით შეწყვეტა და დისტანციურ მოდელზე გადასვლა ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული პრევენციული მეთოდია. საქართველოს შემთხვევაში დამატებით გასათვალისწინებელი იყო სოციუმის სპეციფიკა, კერძოდ, ოჯახებში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა თანაცხოვრების ტრადიცია, რაც, ამ კონკრეტული დაავადების მახასიათებლების გათვალისწინებით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ დააყენებდა ხანდაზმულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

### შეზღუდვის შედეგი

დროული პრევენციული ზომების გატარების შედეგად ქვეყანაში არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები, ხოლო დისტანციური სწავლების მეშვეობით კი სასწავლო სემესტრი აკადემიურად არ გამოცხადებულა.

## 2.2.3 ავტომობილით გადაადგილების აკრძალვა

17 აპრილიდან 27 აპრილამდე აკრძალული იყო ავტომობილით გადაადგილება.

[15] A framework to guide an education response to the covid-19 pandemic of 2020, Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), ხელმისაწვდომია აქ.

### შეზღუდვის მიზანი

აღდგომის დღესასწაულის დღეებში დაფიქსირდა ვირუსის გამოვლენილი შემთხვევების მზარდი დინამიკა. მაგალითად:

- 13-19 აპრილის კვირას დაფიქსირდა **133 შეთხვევა,** რაც **კვირაში გამოვლენილი შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.** ამასთან,
- 17 აპრილს ინფიცირების დადასტურებული შემთხვევების **ყველაზე მაღალი დღიური მაჩვენებელი - 34 შემთხვევა დაფიქსირდა.**

ვინაიდან, დღესასწაულებს თან ახლავს მოსახლეობის მაღალი მობილობისა და შესაბამისად, ასევე, მაღალი სოციალური ინტერაქციის ტრადიცია, სოციალური დისტანცირების წესების მაქსიმალური დაცვისა და ვირუსის გავრცელების რისკის შემცირების მიზნით, განხორციელდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების დამატებითი შეზღუდვა.

ამავე მიზნებით, 17 აპრილსვე აიკრძალა სასაფლაოების ტერიტორიაზე შესვლა, რომელიც ასევე უკავშირდებოდა ამავე პერიოდში სასაფლაოზე გასვლის ტრადიციას.

დღესასწაულების დროს მოქალაქეების გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვის გადაწყვეტილება ევროპულმა ქვეყნებმაც მიიღეს.

### შეზღუდვის შედეგი

აღდგომის დღესასწაულის შემდგომი სამკვირიანი მაჩვენებლების ანალიზით აშკარაა, რომ ინფიცირების შემთხვევების ზრდა არ დაფიქსირებულა. უფრო მეტიც, 4 მაისის კვირაში, კლების დინამიკა აღინიშნა.[16] ასევე, ქვეყანაში არ დაფიქსირდა „დღესასწაულების“ კლასტერი. შესაბამისად, **გატარებული ზომები მნიშვნელოვანი და ეფექტიანი იყო. მობილობის შემცირებას აჩვენებს ავტომანქანების ნაკადების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, 3 დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, შემოღებული შეზღუდვის შედეგად, სატრანსპორტო ნაკადები შემცირდა საშუალოდ 10-ჯერ და მეტჯერ** (იხ. დანართი 2: შედარებითი მონაცემები ავტომანქანების ნაკადების შესახებ შეზღუდვამდე და შემდეგ პერიოდში).

### 2.2.4 მკაცრი კარანტინი ცალკეულ მუნიციპალიტეტებში

მკაცრი კარანტინი ამოქმედდა:

| | |
|---|---|
| **23 მარტი** | მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში |
| **10 აპრილი** | ლენტეხის მუნიციპალიტეტში |
| **12 აპრილი** | ქობულეთის მუნიციპალიტეტის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში |
| **13 აპრილი** | ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურში |
| **26 აპრილი** | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში |

### შეზღუდვის მიზანი

ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან, როგორც ეპიდემიურ კერასთან მიმართებით, საკარანტინო შეზღუდვის დაწესება ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე, კონკრეტული მოცემულობის

[16] 20 აპრილის კვირა - ინფიცირების 97 შემთხვევა დაფიქსირდა; 27 აპრილის კვირა - 97 შემთხვევა, 4 მაისის კვირა - დღიური შემთხვევების კლება.

მიხედვით. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, დაიკეტა მთლიანი მუნიციპალიტეტი, ხოლო რიგ შემთხვევებში - კონკრეტული სოფელი ან ქალაქი.

**ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ჩაკეტვა** განხორციელდა შემდეგი მიზეზების გამო:

- მარნეულში ახალი კორონავირუსის შიდა გადაცემა მოხდა სარიტუალო ღონისძიების დროს, რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანი ესწრებოდა (მათ შორის, ბოლნისის მაცხოვრებლებიც). შესაბამისად, ეპიდემიოლოგების მიერ ამ ჯაჭვში **90-მდე პირდაპირი კონტაქტი გამოვლინდა**, რაც ვირუსის გავრცელების რისკს ზრდიდა;
- აღნიშნული მუნიციპალიტეტები ეკონომიკურად საკმაოდ აქტიურია. მათი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველდღიურ შიდა მიგრაციას ახორციელებს როგორც დედაქალაქის, ისე სხვა მუნიციპალიტეტების მიმართულებით. შესაბამისად, **მაღალი იყო მარნეულისა და ბოლნისის ე.წ. კლასტერების სწრაფი გავრცელების რისკი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე;**
- მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე (შიდა მეურნეობა, სიმჭიდროვე, ოჯახის წევრების რაოდენობა), აღნიშნული მუნიციპალიტეტები ვირუსის შესაძლო მასობრივი გავრცელების მაღალი რისკის მატარებელ შემთხვევად შეფასდა.

მსგავს შემთხვევასთან გვქონდა საქმე ლენტეხის მუნიციპალიტეტში, როდესაც თბილისიდან ჩასულ დაინფიცირებულს ადამიანების დიდ რაოდენობასთან ჰქონდა კონტაქტი (დაახლოებით 50). დაინფიცირებულთან პირდაპირი კონტაქტების სიმრავლის გამო, მდგომარეობა კრიტიკულად შეფასდა და ვირუსის მასიური გავრცელების აღსაკვეთად, ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტები ჩაიკეტა.

### შეზღუდვის შედეგი

მთავრობამ შეძლო მუნიციპალიტეტებში გაჩენილი კლასტერების ლოკალიზება. 22 მაისისთვის, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ფიქსირდებოდა დაახლოებით 118 შემთხვევა (მათ შორის მარნეული - 22 და ლენტეხი - 5 შემთხვევა). მთავრობის მოქმედების შედეგად მუნიციპალიტეტების გარეთ არც ერთი კლასტერი არ გაფართოებულა. **არ ყოფილა დაინფიცირების ახალი შემთხვევები.**

### 2.2.5 საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვა

| | |
|---|---|
| **18 მარტი** | შეიზღუდა მიკროავტობუსებით მოძრაობა მუნიციპალიტეტის საზღვრებში |
| **23 მარტი** | შეჩერდა სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა და საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა მიკროავტობუსებითა და ავტობუსებით |
| **31 მარტი** | აიკრძალა ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის - მეტროთი) გადაადგილება, როგორც ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების შიგნით, ისე მათ შორის |

### შეზღუდვის მიზანი

**საზოგადოებრივი ტრანსპორტი ვირუსის მასობრივი და სწრაფი გადაცემის წყაროს წარმოადგენს.** შესაბამისად, **შიდა გადაცემის დაწყებამდე (22 მარტამდე)** შეიზღუდა სამარშრუტო ტაქსებით მოძრაობა, ვინაიდან მიკროავტობუსი როგორც მცირე სივრცის მქონე სატრანსპორტო საშუალება, ვირუსის გავრცელების მაღალი საფრთხის შემცველი ტრანსპორტია.

ასევე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ინფიცირების შემთხვევაში, არსებითად რთულდება ინფიცირების წყაროსა და მასთან შემხებლობაში მყოფ პირთა დადგენა.

შიდა მეოთხეული გადაცემის ფაქტების დაფიქსირების შემდეგ **(22 მარტი)** აიკრძალა სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებით მოძრაობაც, რათა მაქსიმალურად შეზღუდულიყო მოსახლეობის საქალაქთაშორისო, მუნიციპალური, ადგილობრივი მობილობა და ინტერაქცია.

### შეზღუდვის შედეგი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის (როგორც საქალაქთაშორისო, ისე მუნიციპალური) გადაადგილების შეზღუდვის მიზანი იყო მოსახლეობის მობილობის შემცირება და იმის უზრუნველყოფა, რომ **არ მომხდარიყო ვირუსის მასობრივი (დაუდგენელი წყაროდან) გავრცელება დროის მცირე მონაკვეთში.** გატარებული ღონისძიების ეფექტიანობაზე მიუთითებს რამდენიმე ინდიკატორი:

- **არ მომხდარა ეპიდემიის სწრაფი გავრცელება** - 26 თებერვლიდან დღიურად ოცზე მეტი შემთხვევა **პირველად დაფიქსირდა 13 აპრილს (30 შემთხვევა)**. ერთ დღეში გამოვლენილი შემთხვევების ყველაზე დიდი რაოდენობა **(34 შემთხვევა) დაფიქსირდა 16 აპრილს**;
- მობილობის შემცირების შედეგად, მუნიციპალიტეტების გარეთ **არ მომხდარა წყაროების ე.წ. „კლასტერების“ გაფართოება.**

### 2.2.6 შეზღუდვები პენიტენციურ დაწესებულებებში

| | |
|---|---|
| **21 მარტიდან** | შეჩერდა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული პაემნის უფლების მოქმედება |
| **30 მარტიდან** | საქართველოს მასშტაბით, პენიტენციურ დაწესებულებებში ამოქმედდა მკაცრი საკარანტინო რეჟიმი (780 თანამშრომელი საპატიმროების ტერიტორიას არ ტოვებდა) |

### შეზღუდვის მიზანი

ქვეყანაში ვირუსის შიდა გადაცემის დაწყების ფონზე, აღნიშნული შეზღუდვის გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა პენიტენციურ დაწესებულებებში კორონავირუსის ინფექციის გარედან შეტანის პრევენციას, რადგან ვირუსის დახურულ სივრცეში მოხვედრის შემთხვევაში, დგებოდა მისი სწრაფი გავრცელების უდიდესი რისკი.

### შეზღუდვის შედეგი

პენიტენციური დაწესებულებები დღემდე თავისუფალია კორონავირუსის ინფექციისგან.

### 2.2.7 კომენდანტის საათი

**31 მარტიდან** ამოქმედდა კომენდანტის საათი **(21:00 – 06:00 საათი)** და გამკაცრდა საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული ზომები.

### შეზღუდვის მიზანი

საქართველოში 22 მარტიდან, კორონავირუსის შიდა გადაცემის დაწყებასთან ერთად, როდესაც წარმოიქმნა ინფექციის უკონტროლო, მაქსიმალური გავრცელების საშიშროება და ქვეყნის შიგნით ეპიდემიას შესაძლოა მიეღო ფართომასშტაბიანი სახე ჯანდაცვის სისტემის კოლაფსითა და რღვევით, საჭირო გახდა დამატებითი შეზღუდვების დაწესება. მსოფლიოში კორონავირუსთან ბრძოლის მექანიზმები ითვალისწინებს ე.წ. კომენდანტის საათის შემოღებას **(მაგ.: ესპანეთი, სერბეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი),** რაც მოსახლეობას გადაადგილების შესაძლებლობას მხოლოდ განსაზღვრული დროის შუალედში აძლევს.

კომენდანტის საათის დაწესებით, ანუ მოსახლეობის მობილობისა და სოციალური ინტერაქციის დროში შეზღუდვით განსაკუთრებით შემცირდა ადამიანების სოციალური მიზნით თავშეყრები, რაც, როგორც წესი, საღამოს საათებს უკავშირდება.

COVID-19-ის მართვისას აღნიშნულ ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყანამ მიმართა. მაგალითად, **ესპანეთში** სახლიდან გასვლა ნებადართული იყო 1 საათით, დილის 6-დან 10 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ხანდაზმული მოსახლეობისთვის - დილის 10-დან 12 საათამდე, ხოლო საღამოს - 7-დან 8 საათამდე. გარდა ამისა, მოძრაობა ნებადართული იყო  საცხოვრებელი ადგილებიდან მხოლოდ 1 კმ-ის მანძილზე. **იტალიასა და საფრანგეთში** გადაადგილება შესაძლებელი იყო წინასწარ შევსებული ანკეტით/საბუთით. იგივე პრაქტიკა ჰქონდა **სომხეთს**, ხოლო **აზერბაიჯანს** ჰქონდა მოკლეტექსტური შეტყობინების წინასწარ გაგზავნის პრაქტიკა.

### შეზღუდვის შედეგი

კომენდანტის საათის შემოღებით **შემცირდა მოსახლეობის მობილობა და ხანგრძლივი სოციალური ინტერაქცია**. თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ცენტრალური ქუჩების სატრანსპორტო ნაკადების ანალიზით ნათლად გამოჩნდა ამ ღონისძიების ეფექტიანობა. კერძოდ, აღნიშნულ ლოკაციებზე სატრანსპორტო ნაკადები 24 საათიან პერიოდში საშუალოდ შემცირდა 3-ჯერ და მეტჯერ (იხ. დანართი 2: შედარებითი მონაცემები ავტომანქანების ნაკადების შესახებ შეზღუდვამდე და შემდეგ პერიოდში).

## 2.2.8 10/3-ზე მეტი ადამიანის თავშეყრის შეზღუდვა

| | |
|---|---|
| **23 მარტი** | აიკრძალა საჯარო სივრცეში 10 ადამიანზე მეტის თავშეყრა |
| **31 მარტი** | საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრის მაქსიმალური რაოდენობა შემცირდა 3 პირამდე |
| **31 მარტი** | სატრანსპორტო საშუალებაში მგზავრთა დასაშვებ რაოდენობად განისაზღვრა 3 ადამიანი (მძღოლი და უკან ორი მგზავრი) |

### შეზღუდვის მიზანი

ინფექციის გავრცელების შეკავების ერთადერთ ეფექტიან მეთოდად, ჯერ-ჯერობით, სოციალური დისტანცირება რჩება. შესაბამისად, აუცილებელი იყო ადამიანთა თავშეყრის მაქსიმალურად შეზღუდვა.

შეზღუდვა არსებული ვითარების შესაბამისად ადაპტირდა. პირველ ეტაპზე დაშვებული იყო **10 ადამიანის თავშეყრა.** მოგვიანებით, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე **(მარტის ბოლოს ქვეყანაში ვირუსის შიდა გადაცემა დაიწყო**), შეზღუდვა გამკაცრდა და აიკრძალა **3 ადამიანზე** მეტის თავშეყრა.

რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალებაში მგზავრთა გადანაწილებას, აღნიშნული საერთაშორისო რეკომენდაციაა, რომლის მიზანია დახურულ სივრცეში ვირუსის გავრცელების რისკის შემცირება.[17]

საქართველოში ამ შეზღუდვის დაწესება პირველ რიგში მიზნად ისახავდა მობილობის შემცირებას, ვინაიდან შეზღუდვა ოჯახებისთვის ტრანსპორტით არამიზნობრივი გადაადგილების ერთგვარ შემაკავებელ გარემოებად იქცა. ამავდროულად, შეზღუდვის მიზანი არაოჯახის წევრ მძღოლსა და

[17] მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) - Coronavirus disease (COVID-19) advice for the public, ხელმისაწვდომია აქ; ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი - Limiting face-to-face contact with others is the best way to reduce the spread of coronavirus disease 2019 (COVID-19), ხელმისაწვდომია აქ. ინგლისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური (PHE) - Working safely during coronavirus (COVID-19), ხელმისაწვდომია აქ.

მგზავრს შორის დისტანციის დაცვა იყო, რაც ვირუსის გავრცელების პრევენციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, განსაკუთრებით დახურულ სივრცეში.

ავტომობილით გადაადგილებისას გარკვეული შეზღუდვების (მაგ.: მგზავრთა რაოდენობა, წინა სავარძელზე დაჯდომის აკრძალვა და სხვ.) დაწესების პრაქტიკას მიმართეს სხვა ქვეყნებმაც, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა[18], ავსტრალიამ[19], ესპანეთმა[20], კანადამ[21], არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა[22]. მაგალითად, ესპანეთში საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში პირადი ავტომანქანით გადაადგილებისას შეზღუდული იყო მგზავრთა რაოდენობა, კერძოდ, ავტომობილით დაიშვებოდა მხოლოდ ერთი ადამიანის გადაადგილება.[23]

ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული შეზღუდვა უფრო მკაცრი იყო. მაგალითად, პოლონეთსა და ისრაელში საჯარო სივრცეში არ შეიძლებოდა 2-ზე მეტი პირის შეკრება. შესაბამისად, ისრაელში მსუბუქი ავტომანქანით 2 ადამიანზე მეტის მგზავრობა აკრძალული იყო.

### შეზღუდვის შედეგი

ამ და სხვა შეზღუდვების დროული და კომპლექსური მოქმედების შედეგად, საქართველოში შესაძლებელი გახდა კორონავირუსის მასობრივი გავრცელების პრევენცია. საქართველოში 22 მაისისთვის ინფიცირების მაჩვენებელი იყო - 183/1 000 000 მოსახლეზე, ხოლო გარდაცვალების 1.65% ან 3/1 000 000-ზე, რაც გაცილებით ნაკლებია როგორც მსოფლიო მონაცემებთან (722/45), ისე მეზობელ ქვეყნებთან შედარებით (თურქეთი -1873/52, უკრაინა - 493/15, აზერბაიჯანი - 422/5, სომხეთი - 2498/31)[24].

## 2.2.9 დიდ ქალაქებში შესვლა-გასვლის შეზღუდვა

**15 აპრილს** აიკრძალა **ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის** მუნიციპალიტეტებში შესვლა და ამ მუნიციპალიტეტებიდან გასვლა.

### შეზღუდვის მიზანი

თბილისში საქართველოს მოსახლეობის 34%[25] ცხოვრობს, ხოლო ზემოაღნიშნულ 4 ქალაქში (თბილისი - 1,184,800, ქუთაისი - 135,200, ბათუმი - 169,100, რუსთავი - 128,700)[26] კი, მოსახლეობის 43.5% ნაწილდება. შესაბამისად, მოსახლეობის მობილობის შესამცირებლად, მნიშვნელოვანი იყო აქცენტის სწორედ ამ ქალაქებზე გაკეთება. ქალაქებიდან სოფლებში და პირიქით მოსახლეობის გადაადგილების იმდროინდელი მაჩვენებლების შენარჩუნება ზრდიდა ვირუსის გავრცელების რისკებს და ართულებდა კონტაქტების დადგენას. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გადაადგილების ინტენსივობა ზრდიდა მცირე დროში ვირუსის გეოგრაფიული გავრცელების რისკებსაც.

შეზღუდვის დაწესებას წინ უსწრებდა ინფიცირების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა **(ერთი დღის განმავლობაში 30 ახალი შემთხვევა)**.[27] ამასთან, მნიშვნელოვანი იყო აღდგომის კვირის პერიოდში, რა

---

[18] What Rideshare, Taxi, Limo, and other Passenger Drivers-for-Hire Need to Know about COVID-19, Centers for Disease Control and Prevention, ხელმისაწვდომია აქ.
[19] Coronavirus (COVID-19) FAQs for CPV passengers and drivers, ხელმისაწვდომია აქ.
[20] Orden TMA/384/2020, de 3 de mayo, por la que se dictan instrucciones sobre la utilización de mascarillas en los distintos medios de transporte y se fijan requisitos para garantizar una movilidad segura de conformidad con el plan para la transición hacia una nueva normalidad, ხელმისაწვდომია აქ.
[21] New COVID-19 rules limit Edmonton taxis, ride-hailing vehicles to 1 passenger or household group, ხელმისაწვდომია აქ.
[22] Coronavirus: Three persons to a car still in Dubai, ხელმისაწვდომია აქ.
[23] What you need to know about driving during Spain's coronavirus lockdown, ხელმისაწვდომია აქ.
[24] https://www.worldometers.info/coronavirus/
[25] დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია აქ.
[26] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მონაცემი ხელმისაწვდომია აქ.
[27] https://ourworldindata.org/covid-cases

დროსაც, ტრადიციულად, მოსახლეობა მასობრივად გადაადგილდება ქალაქებიდან სოფლებში და შემდეგ უკან, მოსახლეობის მობილობის არსებითად შემცირება.

### შეზღუდვის შედეგი

სატრანსპორტო ნაკადების ანალიზით იკვეთება, რომ აღნიშნულ ქალაქებში შესვლა-გასვლა შემცირდა საშუალოდ 4-ჯერ (იხ. დანართი 3 - ჩაკეტილ ქალაქებში ავტოტრანსპორტის შესვლა-გასვლის სტატისტიკა). ამასთანავე, ქვეყანაში არ ფიქსირდება დღესასწაულების დღეებთან დაკავშირებული შემთხვევები/კლასტერები.

კონკრეტული ქალაქების/რეგიონების დაკეტვის პრაქტიკა გამოყენებული იყო სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, გერმანიაში (ბავარიისა[28] და ზაარლანდის[29] რეგიონები), ისრაელსა[30] და ბრაზილიაში (სანტა-კატარინა[31] და სან-პაულუ[32]), ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში[33].

## 2.2.10 ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა

| | |
|---|---|
| **23 მარტი** | დაიკეტა, ფაქტობრივად, ყველა სავაჭრო ობიექტი, გარდა სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქებისა |
| **23 მარტი** | ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობისთვის დაწესდა ვალდებულება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციებით ოპერირებაზე |
| **31 მარტი** | შეჩერებულ იქნა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა, გარდა გამონაკლისის სახით განსაზღვრული აუცილებელი საქმიანობების, საწარმოების და ობიექტებისა |

### შეზღუდვის მიზანი

ნებისმიერი ტიპის ეკონომიკური საქმიანობა სოციალური ინტერაქციისა და მოსახლეობის მობილობასთანაა დაკავშირებული და ვირუსის გავრცელების რისკს პროპორციულად ზრდის. ვირუსის შიდა გავრცელების ეტაპზე გადასვლასთან ერთად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორების გარდა, ეკონომიკური საქმიანობის დროებით შეზღუდვის შესახებ.

პირველ ეტაპზე დაშვებული იქნა ე.წ. „ონლაინ“ ვაჭრობისა და მიტანის სერვისი სურსათის, საკვებისა და მედიკამენტების ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის აღნიშნული ფორმა ნაკლებ სოციალურ ინტერაქციას გულისხმობს, „ონლაინ“ ვაჭრობასა და მიტანის სერვისს ღირებულებათა ჯაჭვი ქმნის. შესაბამისად, მისი სრულად, ყველა სექტორზე დაშვება ადამიანების მობილობასა და ე.წ. „ბექში“ სოციალურ ინტერაქციას მნიშვნელოვნად გაზრდიდა, რაც პირველ ეტაპზე, ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იყო.

ეპიდსიტუაციის დასტაბილურებასთან ერთად, პირველ ეტაპზე, სრულად დაშვებულ იქნა ონლაინ ვაჭრობა (სამუშაო ადგილზე/საწყობში არა უმეტეს 5 ადამიანის შეზღუდვით), ასევე, მიტანის სერვისი ყველა სახის პროდუქტზე, ხოლო 11 მაისიდან გაიხსნა ყველა წარმოება და მაღაზია (კონკრეტული გამონაკლისების გარდა).

[28] German state of Bavaria heads for full coronavirus lockdown, ხელმისაწვდომია აქ.
[29] Bavaria and Saarland become first German states to impose lockdowns, ხელმისაწვდომია აქ.
[30] Cabinet declares Bnei Brak 'restricted zone,' will do same for other epicenters, ხელმისაწვდომია აქ.
[31] Governo de SC decreta situação de emergência por causa do coronavirus, ხელმისაწვდომია აქ.
[32] Quarentena começa a valer nesta terça-feira em todo o estado de SP, ხელმისაწვდომია აქ.
[33] Lockdowns, closures: How is each US state handling coronavirus?, ხელმისაწვდომია აქ.

### შეზღუდვის შედეგი

მობილობის შემცირებისა და სოციალური დისტანცირების ზომების დროულად გატარების შედეგად, ქვეყანაში ინფექციის მასობრივი გავრცელება არ ფიქსირდება. შესაბამისად, მთავრობა აგრძელებს ეკონომიკური შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნას.

## 2.3 საგანგებო მდგომარეობის მართვა

### 2.3.1 საგანგებო მდგომარეობის მართვის ოპერაციული შტაბი

2020 წლის 30 მარტს შეიქმნა საგანგებო მდგომარეობის მართვის ოპერაციული შტაბი, რომელიც პასუხისმგებელი იყო საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების აღსრულების კოორდინაციასა და უწყებათაშორისი საბჭოს დავალებების შესრულება-მონიტორინგზე. აღნიშნულ ფუნქციას შტაბი რეგიონულ დონეზე ახორციელებდა ადგილობრივი ოპერაციული შტაბების მეშვეობით.

ოპერაციული შტაბის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში უწყებების ეფექტიანი და კოორდინირებული მუშაობისა და ინფორმირების, ხოლო, მეორე მხრივ, ამ პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროების/მიმართულებების შეუფერხებელი ოპერირების უზრუნველყოფა.

ოპერაციული შტაბი ჩართული იყო დარგობრივი უწყებების კოორდინირების პროცესში და აღნიშნულის ფარგლებში უზრუნველყოფდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების ოპერატიულ რეჟიმში გადაჭრას. სახელმწიფო უწყებების უშუალო მონაწილეობით, ოპერაციული შტაბი უწყებათაშორისი საბჭოსთვის ამზადებდა წინადადებებს/რეკომენდაციებს, მათ შორის ისეთ საკითხებზე როგორიცაა გადაადგილების საკითხის დარეგულირება, ცხელ ხაზებზე გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და ეკონომიკური მიმართულებების მხარდაჭერა, საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებში ჩართული მძღოლების მონიტორინგი და რეგიონული შტაბების კოორდინირება.

საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, ოპერაციული შტაბი, სახელმწიფო უწყებებთან სრული კოორდინაციით, რეკომენდაციებით მიმართავდა უწყებათაშორის საბჭოს, როგორც შეზღუდვების გამკაცრებასთან, ისე შემსუბუქებასთან დაკავშირებით.

შტაბის ფარგლებში შეიქმნა დარგობრივი მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტდა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისგან. მათ შორის ფუნქციონირებდა ჯანდაცვის, ეკონომიკის, გადაადგილების, სატვირთო გადაზიდვებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებები, რომლებიც აანალიზებდნენ საგანგებო მდგომარეობის დროს წარმოქმნილ პრობლემებს და შტაბის მანდატის შესაბამისად, გასცემდნენ რეკომენდაციებს. ასევე, რეგიონალური შტაბების მეშვეობით და ცენტრალურ შტაბთან კოორდინირებით ხდებოდა ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გადაჭრა.

### გადაადგილების საკითხის რეგულირება

- ე.წ. კომენდანტის საათის **(21:00-06:00),** ოთხი დიდი ქალაქის **(თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი)** ჩაკეტვის და მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილების აკრძალვის პერიოდებში ოპერაციული შტაბი აქტიურად მონაწილეობდა გადაადგილების საკითხის დარეგულირების პროცესში.
- შტაბში, სხვა უწყებებთან აქტიური კოორდინაციით, განიხილებოდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჯარო დაწესებულებებისა და ნებადართული ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების თანამშრომლების დაუბრკოლებლად გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხები.

- ამ მიმართულებით გაიცა რეკომენდაციები და შემუშავდა არაერთი რეგულაციის პროექტი.

## სოფლის მეურნეობის მიმართულება

- შტაბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში სოფლის მეურნეობის დარგში წარმოშობილი პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიმართულებით მუშაობა/რეკომენდაციების მომზადება. ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკარანტინო ზონაში არსებული სასოფლო-სამურნეო პროდუქციის რეალიზება, რომელსაც შესაძლოა, ნეგატიური გავლენა ჰქონოდა ადგილობრივების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ქვეყანაში გარკვეული ტიპის სურსათის დეფიციტი გამოეწვია.

- შტაბისა და სხვა უწყებების ეფექტიანი კოორდინაციის შედეგად, მოხდა პროდუქტის სხვადასხვა ბაზრებზე გადანაწილება და რეალიზება. მაგ.: მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან, რეალიზებულია დაახლოებით 6000 ტონა ხილ-ბოსტნეული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე, შესაბამისი წესების დაცვით, შეუფერხებლად მიმდინარეობდა სადისტრიბუციო ავტომობილების გადაადგილება. ერთობლივი კოორდინირებული მუშაობის შედეგად საკარანტინო ზონებში არ შექმნილა სურსათის დეფიციტი.

- აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა აგრარული ბაზრების მიერ ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების რეკომენდაციების შესრულების კუთხით. რეგიონებში აგრარული ბაზრების დახურვისა და შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, რეგიონული შტაბები შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს ბაზრების გახსნასთან დაკავშირებით.

## რეგიონული შტაბების კოორდინირება

- საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში, ათ რეგიონსა[34] და დედაქალაქში შეიქმნა ადგილობრივი (რეგიონული) ოპერაციული შტაბები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულები (გუბერნატორები).

- რეგიონული შტაბები ანგარიშვალდებული იყვნენ ოპერაციული შტაბის წინაშე და უზრუნველყოფდნენ ადგილობრივ დონეზე საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების/ღონისძიებების აღსრულების კოორდინაციას. ოპერაციულ და რეგიონულ შტაბებს შორის 24/7 არსებული კომუნიკაციის შედეგად, სწრაფ რეჟიმში მუშავდებოდა პრობლემურ საკითხებზე რეაგირების გზები.

- რეგიონული შტაბების მიერ ადგილზე არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების საფუძველზე, მათი რეკომენდაციებით და ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით, მთავრობა ოპერატიულ რეჟიმში იღებდა გადაწვეტილებებს სოფლებისა და რაიონული ცენტრების ჩაკეტვასა და შემდგომ გახსნასთან დაკავშირებით. შტაბების ორგანიზებით, ჩაკეტილ სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში, როგორც მაღალი რისკის ზონებში, ტარდებოდა მოსახლეობის თერმოსკრინინგი და საყურადღებო შემთხვევებზე - ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.

- მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების მოქმედების პერიოდში **(17-26 აპრილი)**, რეგიონულ შტაბებთან შეთანხმებით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები

[34] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, კახეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივი ოპერაციული შტაბები

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის (მათ შორის ინდ. მეწარმეებსა და ფერმერებზე) გადაადგილების მიზნით გასცემდნენ ნებართვებს.

- რეგიონული შტაბების გადაწყვეტილებით, სოფლებში[35] მოსახლეობისთვის სურსათის მიწოდება განხორციელდა ე.წ. „მოძრავი ბაზრებით".

### 2.3.2 მთავრობის ცხელი ხაზი 144

ეპიდემიოლოგიური ვითარების სწორად მართვისა და საზოგადოების ინფორმირებულობის კუთხით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში ამოქმედებულმა ცხელი ხაზის რამდენიმე საშუალებამ.

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112 (შემდეგში - 112) ინფრასტრუქტურაზე რეკორდულად მოკლე ვადაში მოეწყო და 2020 წლის 30 მარტს ექსპლუატაციაში ჩაეშვა **სამთავრობო ცხელი ხაზი - 144.**

**17 აპრილიდან ამოქმედდა დამატებითი მიმართულება 144-1-ის სახით**, რომელიც უზრუნველყოფდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ავტოტრანსპორტით გადაადგილების ნებართვის გაცემას, ხოლო **25 აპრილიდან ასევე ამოქმედდა რეგიონალური ცხელი ხაზი 144-2.**

144-ის ცხელი ხაზის მიერ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ფარგლებში გადაადგილებისთვის გაიცა **15 527** ერთდროული ნებართვა. ამგვარი ნებართვები, ინფორმაციის დამუშავებისა და გადამოწმების შემდგომ, გაიცემოდა მხოლოდ მთავრობის მიერ დაშვებული აქტივობის განხორციელების და დაშვებული მიზნით გადაადგილებისთვის. მაგალითად, გადაუდებელ შემთხვევაში აფთიაქში წამლის შესაძენად, ექიმთან ვიზიტისთვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ხანდაზმულ მშობელთან აუცილებელი ვიზიტისთვის, გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის და ა.შ.

### 2.3.3 საკარანტინო ზონების მართვა

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და ინფექციის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, მთავრობამ დაიწყო საკარანტინო სივრცეების შექმნა, რომლებითაც დღემდე უზრუნველყოფს რისკ ჯგუფებს მიკუთვნებული პირების დროებით იზოლირებას.

საკარანტინო ზონების პროექტის დაწყებიდან, მთავრობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა მცირე, საშუალო და დიდი ზომის სასტუმროებთან. **ჯამში, მოლაპარაკებები წარიმართა დედაქალაქისა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მდებარე 300-ზე მეტ სასტუმროსთან.** საკარანტინო სივრცედ სასტუმროს შეჩევის პროცესში საქართველოს მთავრობა ეყრდნობოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კრიტერიუმებს, მათ შორისაა:

- **სასტუმროს მზაობა** პროექტში ჩართვისა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობისათვის. სამუშაო პროცესში სასტუმროების ნაწილმა განაცხადა უარი;
- **სასტუმროს ადგილმდებარეობა** - პრიორიტეტი ენიჭებოდა აეროპორტებსა და სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებთან ახლოს მდებარე განთავსების ობიექტებს; ასევე, მჭიდროდ დასახლებული ადგილებისაგან მოშორებით მდებარე ობიექტებს. თუმცა, მოგვიანებით, განსათავსებელი ნაკადის ზრდასთან ერთად, საკარანტინო სივრცეებად გამოსაყენებელ სასტუმროთა მდებარეობა გასცდა ზემოხსენებული პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრულ არეალს;

[35] საუბარია იმ სოფლებზე, სადაც არ ფუნქციონირებს მაღაზიები

- **სავენტილაციო სისტემა** - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით, სასტუმროს ნომრებს უნდა ჰქონოდა ცენტრალური ან/და ინდივიდუალური გათბობა/გაგრილების ისეთი სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებს ოთახებს შორის ჰაერის ცირკულაციას.
- **საჭირო ინფრასტრუქტურა და მომსახურება** (მათ შორის სამჯერადი კვება);
- **ადამიანური რესურსის ადგილზე მობილიზება** საკარანტინო სივრცეებისთვის საჭირო სერვისის უზრუნველსაყოფად.

**სასტუმროების საკარანტინო სივრცეებად დაჯავშნა დაიწყო 2020 წლის 10 მარტიდან, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე.** საზღვრებიდან სასტუმრომდე მოქალაქეების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდა მთავრობა. გრძელი მანძილების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტში საკვების მიწოდება. ასევე, უზრუნველყოფილი იყო სასტუმროების პერსონალის სპეციალური სამედიცინო აღჭურვილობით მომარაგება და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე სასტუმროების საკარანტინო სივრცეებად დაჯავშნისას სასტუმროს ნომრის ღირებულება ყოველ ჯერზე წარმოადგენდა მოლაპარაკების საგანს. 2020 წლის 21 მარტიდან ახალი სასტუმროების საკარანტინო სივრცეებად დაჯავშნისას პროექტში ჩართული ყველა სასტუმროსათვის ამოქმედდა ერთიანი ტარიფი, რომელიც ითვალისწინებს სასტუმროს ნომრის ღირებულებას - 59 ლარს (დღგ-ს ჩათვლით), საიდანაც სამჯერად კვებით მომსახურებაზე ფიქსირებული ტარიფი ყოველი სასტუმროსათვის შეადგენს 25 ლარს.

**22 მაისის მდგომარეობით,** საკარანტინო ზონაში შედიოდა ქვეყნის მასშტაბით 84 სასტუმრო, რაც ჯამში აერთიანებდა 6 500-ზე მეტ ოთახს, რომლებშიც **სავალდებულო კარანტინი 19 002 ადამიანმა დაასრულა. ამასთან, 2 თვის განმავლობაში მუდმივად დაკავებული იყო საშუალოდ 4 500-5 000 ოთახი.** პროექტის განხორციელებით ხელი შეეწყო 23 მცირე ზომის (5-დან 40 ნომრამდე), 42 საშუალო (41-დან 100 ნომრის ჩათვლით) და 18 დიდი ზომის სასტუმროს (101 ნომერი და ზემოთ) ოპერირებას, რამაც უზრუნველყო როგორც სექტორის წარმომადგენლებისათვის, ისე სექტორში დასაქმებული ადამიანებისთვის სამსახურისა და შემოსავლების შენარჩუნება.

უნდა აღინიშნოს, რომ საკარანტინო ზონების პროექტის არსებობით ხელი შეეწყო არა მხოლოდ COVID-19-თან ეფექტიან ბრძოლას, არამედ ისეთი სფეროების წარმომადგენლების ფინანსურ მხარდაჭერას, როგორიცაა: სატრანსპორტო სერვისი, ქეითერინგი და საკვები პროდუქტების დისტრიბუცია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სხვ.

საკარანტინო ზონებისთვის დახარჯული სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს **32.5 მლნ ლარს.**

### 2.3.4. ჯანდაცვის სისტემის მართვა

როგორც უკვე აღინიშნა, ვირუსის შესახებ მსოფლიოში პირველი ცნობების გავრცელების პარალელურად, საქართველომ დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა, განსაკუთრებით ჯანდაცვის სისტემის მზაობის უზრუნველსაყოფად.

საწყის ეტაპზევე მოხდა ჯანდაცვის სისტემის, ჰოსპიტალური სექტორის, საწოლფონდის და სხვა აუცილებელი პარამეტრების შეფასება. გარდა ამისა, შემუშავდა და დამტკიცდა კოვიდ-19-თან დაკავშირებული შესაბამისი პროტოკოლები, რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები, რომლებიც არსებული ეპიდვითარებიდან გამომდინარე, პერიოდულად ახლდება.

რესურსების ოპტიმალურად განაწილებისა და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის, **2020 წლის თებერვლიდან** დაიწყო ე.წ. ცხელებისა და კოვიდის მართვის კლინიკების იდენტიფიცირება თბილისსა და რეგიონებში (კოვიდ კლინიკები). კორონავირუსის შემთხვევების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მართვის მიზნით, **16 მარტს** შეიქმნა COVID-19-ის **კლინიკური მართვის ჯგუფი**, რომელმაც შეიმუშავა **COVID-19-ის მკურნალობის ეროვნული გაიდლაინი**.

**26 მარტიდან** განხორციელდა საქართველოს მასშტაბით ჰოსპიტალების შერჩევა და მათი სრული დაცლა, ასევე, საჭიროების შესაბამისად, ზოგიერთ მათგანში საწოლფონდის (მათ შორის რეანიმაციული) გაზრდა. აღნიშნული კლინიკები მომზადდა როგორც COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების სამედიცინო მეთვალყურეობისთვის, ისე კორონავირუსის საეჭვო და/ან დადასტურებული შემთხვევების სამართავად.

პირველ ეტაპზე შერჩეულ იქნა ინფექციური პროფილის კლინიკები, მათ შორის ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში. ასევე, შემთხვევათა მატების მზადყოფნისთვის მობილიზდა დამატებითი საწოლები თბილისსა და გორში. სულ შერჩეულია **29 კოვიდ კლინიკა** თბილისსა და რეგიონებში (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო), რომელთა ჩართვა პროცესში განხორციელდება დაავადების შემთხვევების მატებასთან ერთად, ეტაპობრივად. ამასთან, კლინიკების დაცლისთვის, მათი მოცულობის მიხედვით, გათვალისწინებულია **24, 48, 72 და 96 საათიანი პერიოდები.** სულ, ქვეყნის მასშტაბით მობილიზებულია **3 279 საწოლი კოვიდ 19-ის** და **1 050 საწოლი (განაწილებული 16 ცხელების კლინიკაში)** ცხელებიანი პაციენტების მართვისთვის. **ასევე, ბაზისური საჭიროებების შესაბამისად აღიჭურვა და მაისის დასაწყისიდან ფუნქციონირება დაიწყო რუხისა და ბათუმის ახალმა კლინიკებმა.**

| შერჩეული ცხელება/კოვიდის საწოლები | საწოლების რაოდენობა | ინტენსიური მოვლის საწოლები | ხელოვნური სუნთქვის აპარატები |
|---|---|---|---|
| ცხელების კლინიკებში | 1050 | 162 | 61 |
| COVID-19-ის კლინიკებში | 3279 | 878 | 525 |

„COVID კლინიკებისა“ და ე.წ. „ცხელების კლინიკების“ მობილიზება განხორციელდა ეტაპობრივად, საჭიროებიდან გამომდინარე: მობილიზაციის I ეტაპზე ეპიდემიის დაწყების პირველი დღიდან განხორციელდა 9 კლინიკის მობილიზაცია 826 საწოლით. მობილიზაციის II ეტაპზე 12 კლინიკიდან (1247 საწოლი), პაციენტთა რაოდენობრივი ზრდის გათვალისწინებით, ეტაპობრივად დაიცალა: პირველ მარტს - 4 კლინიკა, 18 აპრილს - 3 კლინიკა, ხოლო 29 აპრილს - 1 კლინიკა. თავდაპირველად, დამატებით კლინიკების მობილიზაცია დაგეგმილი იყო ინფიცირების შემთხვევების 800-ამდე და მეტად მომატების შემთხვევაში, საჭიროების შესაბამისად. მიმდინარე წლის მაისში, ჰოსპიტალების დატვირთვის დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ახალი კლინიკების პროგრამაში ჩართვის ზღურბლი გაიზარდა 1600 აქტიურ შემთხვევამდე. ამასთან, კლინიკებს ეძლევათ შესაძლებლობა „ცხელების ზონების“ განსაზღვრის პირობებში, უსაფრთხოდ გააგრძელონ სხვა სერვისების მიწოდება.

ჰოსპიტალური სექტორის მომზადების პარალელურად, სიცხიანი პაციენტების მიერ სასწრაფო-გადაუდებელი სამსახურის ჭარბი მოხმარების პრევენციისა და პირველადი ჯანდაცვის ქსელის COVID-19-ის მართვაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით, შეიქმნა 112-დან ოჯახის ექიმებთან ცხელებისა და რესპირატორული სიმპტომების მქონე პირებისგან შემოსული ზარების გადამისამართების სერვისი. ამ მოდელის გამოყენების პრაქტიკა ქვეყანას უკვე ჰქონდა 2018 წელს გრიპის ვირუსის და 2019-2020 წლებში გრიპის მაღალი შემთხვევების მართვის დროს. პროგრამაში ჩაერთო პირველადი ჯანდაცვის 25 დაწესებულება თბილისსა და რეგიონებში, ქვეყნის მოსახლეობის სრულად მოცვის მიზნით. **2 აპრილიდან 22 მაისის ჩათვლით** 112-ზე ცხელებისა და რესპირატორული სიმპტომების გამო შემოსული **16 176 ზარიდან** 112-ს რეაგირებისთვის დაუბრუნდა ზარების მხოლოდ **7%**, რაც, სასწრაფო დახმარების ბრიგადის გადაწყვეტილებით, ჰოსპიტალიზაციით დასრულდა. „ონლაინ კონსულტაციით“ სერვისის ფარგლებში მიმდინარე მეთვალყურეობა გაეწია **15 089** მოქალაქეს.

## კონტაქტების დადგენა და კლასტერები

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) ეპიდემიის შემთხვევაში კონტაქტების დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს დაავადების გავრცელების შესაჩერებლად.

კონტაქტების დადგენის პროცესი ეფუძნება იმ პირთა გამოვლენას, რომელთაც ჰქონდათ კონტაქტი დადასტურებულ შემთხვევასთან.

NCDC-ის და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების კონტაქტების დადგენის ჯგუფში შედიან გადამდები დაავადებებისა და ეპიდემიოლოგიის სფეროს სპეციალისტები. ჯგუფის მიზანია პაციენტის „კონტაქტების ისტორიის რუკის“ შედგენა კორონავირუსის დიაგნოზის დასმიდან 24 საათის განმავლობაში და ყველა იმ ადამიანის მოძიება, ვინც ითვლება დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებულ პირად.

კონტაქტები, რომლებსაც აღენიშნებათ კორონავირუსის სიმპტომები, განიხილებიან როგორც შესაძლო შემთხვევები, რომლებიც გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მათ უტარდებათ დიაგნოსტირება კორონავირუსზე. კონტაქტებს, რომლებსაც არ უვლინდებათ სიმპტომები ეძლევათ არჩევანი: დადასტურებულ შემთხვევასთან ბოლო კონტაქტიდან 14 დღის განმავლობაში დარჩნენ თვითიზოლაციაში შინ (თუ დაცულია იზოლაციისთვის მოთხოვნილი წესები) ან გადაყვანილი იქნენ საკარანტინო დაწესებულებაში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ. პირის მიმართ იზოლაციის გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები.

**დადასტურებული შემთხვევების ეპიდკვლევით მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ იქნა 3 500-მდე კონტაქტის მოძიება. კონტაქტების მიდევნების მიზნით ხდებოდა მათი თვითიზოლაცია ან სპეციალურ საკარანტინო სივრცეში გადაყვანა და შემდგომი დაკვირვება.**

***ინფორმაცია კლასტერების შესახებ:*** საანგარიშო პერიოდში სულ იდენტიფიცირებული იყო, დაახლოებით, **15 კლასტერი.** შემთხვევების მაქსიმალური რაოდენობა ერთ კლასტერში იყო **40.** შემთხვევების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, **გამოიყოფა თეთრიწყაროს, ბოლნისის და ქობულეთის კლასტერები.**

საქართველოში 2020 წლის 16 აპრილიდან ხელმისაწვდომია ავსტრიული არასამთავრობო ორგანიზაცია NOVID20-სა და ავსტრიულ კომპანია Dolphin Technologies-ის მიერ ერთობლივად შეიმუშავებული ***აპლიკაცია***, რომელიც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კორონავირუსით ინფიცირებულთა კონტაქტების დადგენისა და ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიმართულებით და რომელიც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს, გაიგონ, იმყოფებოდნენ თუ არა კონტაქტში COVID 19-ით ინფიცირებულ პირთან.

## COVID-19-ზე ტესტირება

**2020 წლის 30 იანვრიდან,** NCDC-ის ლუგარის ლაბორატორიაში შესაძლებელი გახდა COVID-19-ის ტესტირება პჯრ/RT–PCR მეთოდით, რომელიც განიხილება როგორც ოქროს სტანდარტი COVID-19-ის დიაგნოსტიკაში. მისი დადებითი მხარეა მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიკურობა, კვლევის დაწყებიდან 5 საათის შემდეგ, 99.9%-იანი სიზუსტით პაციენტები უკვე ინფორმირებული არიან საკუთარი იმუნური პასუხის შესახებ.

ანტისხეულებზე და ანტიგენებზე სწრაფი ტესტები გამოიყენება მხოლოდ დამხმარე მიზნებისთვის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ალგორითმის შესაბამისად. ამ დრომდე მიღებული ტესტების რაოდენობა: პჯრ/RT-PCR - 122 548; ექსტრაქცია - 76 532; ანტიგენის სწრაფი - 54 000; ანტისხეულების სწრაფი - 26 000. სულ, ჯამში **საანგარიშო პერიოდში** გამოკვლეულია **47 569** შესაძლო შემთხვევის პირველადი ნიმუში. ლაბორატორიის დატვირთვა ამ პერიოდში შეადგენს **50 253 ნიმუშს** (შესაძლო და განმეორებითი ნიმუშები). ტესტირების ე.წ. დადებითობის შედეგის სიხშირე (positivity rate) 2%-ზე ნაკლებია.

2020 წლის 30 იანვრიდან 1 მარტამდე პჯრ/RT-PCR კვლევას ახორციელებდა მხოლოდ NCDC-ის ლუგარის ლაბორატორია. 1 მარტიდან ტესტირებაში ეტაპობრივად ჩაერთო სხვა ლაბორატორიებიც. **22 მაისისთვის ქვეყნის მასშტაბით პჯრ/RT -PCR კვლევას აწარმოებს 12 ლაბორატორია.**

## სამედიცინო პერსონალის მობილიზება, გადამზადება და დაინფიცირების პრევენცია

ჯანდაცვის სისტემისთვის მთავარი გამოწვევა კოვიდ 19-ზე რეაგირების პირველი დღეებიდან სათანადო კვალიფიკაციისა და რაოდენობის სამედიცინო პერსონალის მობილიზება იყო. კოვიდ 19-ზე რეაგირების მიზნით, სამინისტრომ თებერვლიდან აპრილამდე განახორციელა სამედიცინო პერსონალის ტრენინგის პროგრამები ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა ინფექციის პრევენცია და კონტროლი, ცხელების შემთხვევაში ონლაინ კონსულტაცია, კოვიდის მძიმე და კრიტიკული შემთხვევების მართვა, ტესტირების შესაძლებლობების გაფართოებისთვის ნაცხის აღების ტექნიკის სწავლება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ჩეხეთის მთავრობის (ჩეხეთის კარიტასი), ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს, აივ/შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ხელშეწყობით მიმდინარე წლის თებერვლიდან აპრილამდე პერიოდში ინფექციის კონტროლის ტრენინგი გაიარა პროგრამაში ჩართულმა ყველა კოვიდ და ცხელების კლინიკის 1245 თანამშრომელმა. კოვიდის ადრეული დიაგნოსტიკის და ინფექციის კონტროლის საკითხებში მომზადდა სოფლის ექიმების 75% (974 სოფლის ექიმი) და ქალაქის ექიმების 90%, სულ 2500-მდე ექიმი.

პროგრამაში მონაწილე 29 კოვიდ კლინიკაში სამედიცინო პერსონალს ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით ჩაუტარდა ტრენინგი კრიტიკული შემთხვევების მართვაში. მაისიდან ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ადგილზე ტრენინგები და მხარდამჭერი ზედამხედველობა კოვიდის მართვის 29 და ცხელების 16 კლინიკაში.

COVID-19-ის ეპიდაფეთქების მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა ჯანდაცვის სფეროს მუშაკების დაცვა და მათი ინფიცირების პრევენცია. ინფექციის გადაცემის ჯაჭვში სამედიცინო პერსონალს ხშირ შემთხვევაში წამყვანი როლი მიუძღვის. მსოფლიოს მასშტაბით ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების ინფიცირების წყარო არის არა მარტო პაციენტი, როცა დაინფიცირებისთვის პერსონალური თავდაცვის საშუალებების დეფიციტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკფაქტორია, არამედ ოჯახური და სოციალური კონტაქტები. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების დაინფიცირების სიხშირე 5-დან 20%-მდე მერყეობს. კვლევის პერიოდში, საქართველოში ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების COVID-19–ით დაინფიცირება დადასტურებული შემთხვევების 13%-ში აღირიცხა.

სამედიცინო პერსონალის დაინფიცირების შემთხვევების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრომ ინფექციის პრევენციისა და კონტროლის საკითხებში ტრენინგებისა და პირადი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფის გარდა, კოვიდ 19-ისა და ცხელების კლინიკების მენეჯერებთან ერთად დანერგა პერსონალის 2 კვირიანი როტაციის სქემა.

სამედიცინო ქსელში ინფექციის გავრცელების აღკვეთის მიზნით, შეიზღუდა პერსონალის დასაქმება კოვიდისა და ცხელების კლინიკების გარდა სხვა კლინიკებში, რომლებიც აგრძელებდნენ სხვა სტანდარტული სერვისების მიწოდებას.

კოვიდ 19-ის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში შეიქმნა 2 კვირიანი ცვლების დროს პერსონალის სათანადოდ დასვენების პირობები. აპრილიდან სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტესტირების ალგორითმის შესაბამისად, კოვიდ 19-ის ანტისხეულებზე სწრაფი ტესტირება ჩაუტარდა კოვიდის და ცხელების კლინიკების სამედიცინო პერსონალს, ისე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ყველა თანამშრომელს. მაისიდან სამედიცინო პერსონალი ექვემდებარება რეგულარულ ტესტირებას პჯრ/RT-PCR ტესტით მაქსიმალური დიაგნოსტიკური სიზუსტის მიზნით.

საკარანტინო სივრცეებში მიმდინარე სამედიცინო მეთვალყურეობის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრომ მოახდინა 405 ექიმისა და ექთნის მობილიზება. ხაზგამსით უნდა აღინიშნოს სიცხიანი პაციენტების ტრიაჟის მიზნით გამოყოფილი სასტუმრო, რომელშიც სამედიცინო გუნდის მეთვალყურეობით რჩება

ერთდროულად 95-მდე პაციენტი, რომლებიც მსუბუქი კლინიკური მდგომარეობის გამო, არ საჭიროებენ ჰოსპიტალურ მკურნალობას, თუმცა, ოჯახური პირობების გამო, არ აქვთ ბინაზე თვითიზოლაციის შესაძლებლობა. სასტუმროში დასაქმებული სამედიცინო გუნდი აღჭურვილია პირველი დახმარების საგნებითა და მედიკამენტებით, მათ შორის პულსოქსიმეტრებით, რაც მდგომარეობის დამძიმების სწრაფად შეფასების საშუალებას იძლევა.

სტუდენტების მობილიზების მიზნით, პირველადი ჯანდაცვის 25-მა დაწესებულებამ მოიწვია სამედიცინო ფაკულტეტის მეხუთე და მეექვსე კურსის სტუდენტები, რომლებიც ჩაერთნენ ონლაინ კონსულტაციების მოდელის მართვაში. სტუდენტების მობილიზებისა და ტრენინგის პროცესი გაგრძელდება შესაძლო მეორე ტალღისთვის მოსამზადებელ პერიოდში.

### 2.3.5 სასურსათო მარაგების მართვა, ლოჯისტიკა და ფასების მონიტორინგი

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოჯისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროში შეიქმნა საგანგებო შტაბი; განისაზღვრა ძირითადი სასურსათო პროდუქტები, რომლებზეც ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა დაკვირვება, კერძოდ, იმპორტის მაჩვენებლების, ქვეყანაში არსებული მარაგების და ფასების მონიტორინგი, რომლის მიზანია არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენცია და მოსახლეობის სოციალური დაცვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პერიოდულად ახორციელებს პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების და სამედიცინო სახარჯი მასალების (პირბადე, ერთჯერადი ხელთათმანი, ერთჯერადი ხალათები, სადეზინფექციო ხსნარი) მარაგების მონიტორინგს, რომლის დროსაც ხორციელდება მსხვილი იმპორტიორებისა და ტრეიდერების გამოკითხვა.

ყოველდღიურად მიმდინარეობდა ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან სარეალიზაციოდ გასული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობრივი აღრიცხვა.

მსხვილ სავაჭრო ობიექტებში ფასების მონიტორინგი ხორციელდებოდა კრიზისული პერიოდის პირველივე დღეებიდან. კერძოდ, ქ. თბილისში ფასებზე დაკვირვება დაიწყო 17 მარტიდან, ხოლო რეგიონებში - 28 მარტიდან, მთავრობის მიერ პროდუქტისათვის განსაზღვრული სპეციფიკაციების გათვალისწინებით.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, განხორციელდა პირველად სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების პროგრამა, რომლის მიზანი იყო განსაზღვრულ პროდუქტებზე გაცვლითი კურსის ცვალებადობით გამოწვეული ფასის ცვლილების დაზღვევა სუბსიდირების გზით.

ასევე, 17 აპრილიდან დამტკიცდა ხორბლის იმპორტის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პურზე და ხორბლის ფქვილზე არსებული სარეალიზაციო ფასების შენარჩუნების მიზნით, განხორციელდა 40 000 ტონა ხორბლის იმპორტის სუბსიდირება, რათა გაძვირებული ხორბლის ფასის გამო, შემცირებული მარაგების შევსება მომხდარიყო. ხორბლის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში ქვეყანაში დამატებითი მარაგის შექმნა გახდა შესაძლებელი, ხოლო პროგრამის პირობების შესაბამისად დაფიქსირდა ფქვილის მაქსიმალური ფასი, რამაც საშუალება მისცა პურის მწარმოებლებს, რომ პურის ფასი არ გაზრდილიყო.

გლობალურად ექსპორტის შეზღუდვის რისკების შეფასებისთანავე, განხორციელდა დამატებით შაქრის ფხვნილის, მცენარეული ზეთისა და მაკარონის მარაგების შექმნა. აღნიშნული ღონისძირებების შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა ძირითადი სასურსათო პროდუქტების მარაგები და, მიუხედავად რეგიონში შექმნილი

ვითარებისა, საქართველოში სურსათის მიწოდებაში შეფერხება არ ყოფილა. ხორბლის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, ქვეყანაში დამატებითი მარაგის შექმნა გახდა შესაძლებელი. გატარებულმა ღონისძიებებმა, ერთი მხრივ, შექმნა საკმარისი სურსათის მარაგი ქვეყანაში, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვა ბაზარი ფასების სპეკულაციური ზრდისგან.

ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, შედეგად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე შესულია **39 774 ზარი და 5 750 ონლაინ კომუნიკაცია.**

### 2.3.6 საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და უსაფრთხოების კონტროლი

პოლიცია საგანგებო რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებდა. საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების აღსრულების პროცესში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 000-ზე მეტი თანამშრომელი იყო ჩართული.

ერთობლივი მონიტორინგის შედეგად პოლიცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, უზრუნველყოფდა ე.წ. კონტაქტების მოძიებას. ასევე, ხორციელდებოდა უცხო ქვეყნიდან შემოსული, კორონავირუსის გავრცელების რისკის მქონე სატვირთო სატრანსპორტო საშუალების (ეკიპაჟთან ერთად) საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით გადაადგილების მონიტორინგი. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში **ქვეყნის მასშტაბით განთავსდა 130-მდე ბლოკპოსტი.** პერიოდულად მიმდინარეობდა თვითიზოლაციაში მყოფ პირთა მონიტორინგი.

საგანგებო მდგომარეობის დროს, პოლიცია გარდა დადგენილი შეზღუდვების აღსრულებისა, ახორციელებდა მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად საქმიანობას. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იკლო რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობამ. მათ შორის შემცირდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული, ასევე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, სატრანსპორტო და ნარკოდანაშაული. კლება განპირობებულია როგორც საგანგებო მდგომარეობით, ისე ამ მდგომარეობის ფარგლებში პოლიციის მაქსიმალური მობილიზებით და გაზრილი ხილვადობით.

**საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა:**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ** გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის **8 737** ფაქტი, რისთვისაც **8 716** ფიზიკური და **21** იურიდიული პირი დაჯარიმდა. მათ შორის:

- **თვითიზოლაციის ან საკარანტინო სივრცის დატოვების ფაქტი:**
  საკარანტინო სივრცეში გადაყვანილ იქნა **382**, ხოლო დაჯარიმდა **144** პირი;
- **მგზავრთა გადაყვანის ან მგზავრობის წესის დარღვევა:**
  დაჯარიმდა **1 406** ფიზიკური პირი;
- **მსუბუქი ავტომანქანით გადაადგილება:**
  დაჯარიმდა **430** ფიზიკური პირი;
- **3 პირზე მეტის შეკრების ან ობიექტზე 2 მეტრის დისტანციის დაუცველობა და პირბადის გამოუყენებლობა:**
  დაჯარიმდა **1 850** ფიზიკური პირი;
- **კომენდანტის საათის დარღვევა:**
  დაჯარიმდა **4 820** ფიზიკური პირი;
- **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გადაადგილება:**
  დაჯარიმდა **27** ფიზიკური პირი;
- **იურიდიული პირის მიერ საგანგებო რეჟიმით აკრძალული საქმიანობის ფაქტი:**
  დაჯარიმდა **21** იურიდიული პირი;

- **ინდ. მეწარმის მიერ საგანგებო რეჟიმით აკრძალული საქმიანობის ფაქტი:** დაჯარიმდა **39** ფიზიკური პირი (ინდ.მეწარმე).

ასევე, აღსანიშნავია, რომ მთავრობის N181 დადგენილების ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ სულ შედგა **სამართალდარღვევის 202 ოქმი**.

## ქვეყნის თავდაცვის ძალები

საქართველოს თავდაცვის ძალები (4800 სამხედრო მოსამსახურე) ახალი კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებებში საწყისი ეტაპიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართულები. მათ ეფექტიანად გამოიყენეს ნატო-ს სტანდარტების სპეციალური მომზადების ფარგლებში მიღებული უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

21 მარტს თავდაცვის ძალები ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიდნენ, რამაც შეზღუდა სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე შესვლა და გასვლა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაწესებულ გამკაცრებულ შეზღუდვებს, თავდაცვის ძალები შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად 24 საათიან საგანგებო რეჟიმში აკონტროლებდნენ.

აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობებში შეიქმნა **საგანგებო მართვის ცენტრები,** სადაც დაგეგმვისა და მოქმედებების შეჯამების პროცესი ყოველდღიურად მიმდინარეობდა. ქმედითი ღონისძიებები გატარდა სამხედრო მოსამსახურეების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით. თავდაცვის ძალების ყველა სამხედრო ნაწილში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები დღემდე მოქმედებს.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სხვადასხვა ქალაქებთან განთავსებული **130-მდე ბლოკპოსტიდან 85 საკონტროლო გამშვებ პუნქტზე** თავდაცვის ძალების მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, ხორციელდებოდა მოქალაქეების გადაადგილების კონტროლი და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის პირველადი შემოწმება. **22 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით** საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებმა ქვეყნის მასშტაბით 1 718 016 ავტომანქანა დაამუშავეს სადეზინფექციო ხსნარით, ხოლო 2 532 937 ადამიანს ჩაუტარეს თერმოსკრინინგი. თერმოსკრინინგის ფარგლებში ტემპერატურა დაუფიქსირდა 161 პირს, რის შესახებაც შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდა მართვის ცენტრებსა და სამედიცინო დახმარების ცენტრს, შედეგად კი, დროულად მოხდა შესაძლო ინფიცირებულ პირთა გადაადგილების აღკვეთა და დაავადების გავრცელების პრევენცია.

### 2.3.7 საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დახმარება და სამშობლოში დაბრუნება

მსოფლიოში COVID-19-ის გლობალური პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა უცხო ქვეყნების მიერ მიღებული შეზღუდვების მიზეზით უცხოეთში დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნება და ადგილებზე დახმარების გაწევა.

ჯამში, 22 მაისისთვის სახელმწიფომ დააბრუნა **12 720** საქართველოს მოქალაქე, მათ შორის საჰაერო გზით - **7 107,** სახმელეთო გზით - **5 223** და საზღვაო გზით - **390 ადამიანი.** დაბრუნებულთა შორისაა ქრონიკული დაავადების მქონე **483** პირი, **34 - შშმ პირი**, **259 - ხანდაზმული**, **102 - ორსული**, **435 - მცირეწლოვანი**, **173 - ონკოლოგიური პაციენტი, 1 118 - ტრანზიტული მგზავრი**, **29 - მეზღვაური** და **სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე 90 პირი.** აგრეთვე, **საცხოვრებლისა და სტიპენდიის გარეშე დარჩენილი 794 სტუდენტი** (საერთო ჯამში განსაკუთრებული საჭიროების მქონე - **3 517 მოქალაქე**).

აღსანიშნავია, აშშ-ს მთავრობასთან თანამშრომლობით, აშშ-დან განხორციელებული სპეც. რეისი, რომელმაც უზრუნველყო სამშობლოში 79 ქართველი მოსწავლის და სტუდენტის და სომხეთის მოქალაქე 35 ბავშვის დაბრუნება.

გარდა ამისა, ადგილზე დახმარება გაეწია უცხოეთში მყოფ - **21 190** მოქალაქეს, მათ შორის, საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა თავშესაფრით უზრუნველყოფის, საკვების, მედიკამენტების, ასევე სხვა პირველადი და აუცილებელი საჭიროების პროდუქტების და მომსახურების მიწოდების გზით.

ასევე, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაფორმებისას, მოქალაქეები გათავისუფლდნენ საკონსულო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.

განხორციელდა **74 ავიარეისი მსოფლიოს 27 ქვეყნიდან,** მათ შორის ჩინეთი, ირანი, იტალია, გერმანია, საბერძნეთი და ა.შ. განხორციელებულ ფრენებს შორის - **33 პირდაპირი რეისი** შეასრულა ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზებმა“.

**22 მაისის მდგომარეობით,** კორონავირუსით ინფიცირებული იყო საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს 118 მოქალაქე, უმრავლეს შემთხვევებში სახეზეა დაავადების ნაკლებად მძიმე ფორმები. ინფექციით საზღვარგარეთ გარდაიცვალა საქართველოს 16 მოქალაქე (ავსტრია - 1, ესპანეთი - 4, თურქეთი - 1, ბრიტანეთი - 2, აშშ - 5, საფრანგეთი - 2, ლატვია - 1).

### 2.3.8 ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა დახმარება

კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან, მთავრობამ ნათლად განაცხადა მზადყოფნა დახმარებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა ადამიანს. მარტის დასაწყისიდან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას გაეწია დახმარება რამდენიმე მიმართულებით, რომლებიც მოიცავდა: ინფორმაციის დროულად მიწოდებას, საექსპერტო ცოდნის გაზიარებას, სამედიცინო საშუალებების ადგილზე შეტანას, გადმოყვანილი პაციენტების მკურნალობას.

ოპერატიულად ითარგმნა და გავრცელდა სათანადო მასალა აფხაზურ და ოსურ ენებზე. ინფექციონისტების მიერ ხდებოდა საჭიროებისამებრ დისტანციურად რჩევების გაცემა და გამოცდილების გაზიარება.

აფხაზეთის რეგიონს სხვადასხვა არხით არაერთხელ გადაეცა კორონავირუსისგან თავის დაცვის სხვადასხვა სამედიცინო საშუალებები, აღჭურვილობა და ჰიგიენის ნივთები. ეს პროცესი ამ დრომდე გრძელდება.

ანალოგიური დახმარება გაეწია ასევე გამყოფ ხაზებთან მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მათ შორის მრავალშვილიან ოჯახებს და შშმ ბავშვებს, რასაც კამპანიური ხასიათი აქვს.

კორონავირუსის პანდემიამდე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე სამედიცინო სერვისების მისაღებად ყოველდღიურად ათეულობით ადამიანი გადმოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის გავრცელების შემდეგ საოკუპაციო ხაზზე გადაადგილება მნიშვნელოვნად შემცირდა, პრაქტიკულად ყოველდღიურად ფიქსირდებოდა როგორც სასწრაფო, ისე გეგმიური სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირთა ნაკადი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და შესაბამისმა უწყებებებმა ერთობლივად შეიმუშავეს პაციენტების მართვის გეგმა, ხოლო ენგურის ხიდთან გაიხსნა საველე ჰოსპიტალი, სადაც ექიმები განთავსდნენ. ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ თითოეულ პაციენტს უმოწმდებოდა ცხელება და ჩივილების შესაბამისად ხდებოდა მათი გადაყვანა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ, რომელიც აშენდა გრძელვადიანი მიზნებისთვის, რაც, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის გამარტივებას ემსახურება.

აფხაზეთის მთავრობა და ჯანდაცვის სამინისტრო ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებდა კონსლუტაციებს სხვადასხვა კლინიკებთან, ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსული თითოეული პირის სამეციდიცინო შემოწმების და საჭიროების შემთხვევაში საავადმყოფოში მოთავსების მიზნით. მთლიანობაში **22 მარტი - 22 მაისის პერიოდში** კორონავირუსის გავრცელების შედეგად საქართველოს ოკუპირებული

რეგიონებიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სულ **233 პირი** გადმოვიდა, რომელთაგან კორონავირუსი მხოლოდ **ერთს დაუდასტურდა.**

ყველა ზემოაღნიშნულ პროცესში, საჭიროების შესაბამისად, აქტიურად ხდებოდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მოქმედი ცხელი ხაზის მექანიზმის გამოყენება. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ცხელი ხაზი აქტიურად გამოიყენებოდა პაციენტების გადმოყვანისას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

## 2.4. სახელმწიფო სისტემის ადაპტაცია საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმზე გადასვლა შეეხო სახელმწიფო სისტემის თითქმის ყველა მიმართულებას, რომელთა გამართული ფუნქციონირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეებისთვის. შესაბამისად, სამუშაო რეჟიმის მაქსიმალურად სრულყოფილად წარმართვის მიზნით, **თითოეული მიმართულებით დაიგეგმა არსებულ სისტემათა ადაპტაცია**.

### 2.4.1 დისტანციური სწავლება

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში **4 მარტიდან შეჩერდა სასწავლო პროცესი, დაიწყო მზადება ონლაინ სწავლების ფორმატზე გადასასვლელად** - საქართველოს საჯარო სკოლებისთვის შეიქმნა Microsoft Office 365 პლატფორმის მომხმარებლის პროფილები (**528 327 მოსწავლე და 52 124 მასწავლებელი**) და **14 მარტიდან** დაიწყო სწავლების დისტანციურ რეჟიმში ამოქმედება, ხოლო **30 მარტიდან** სასწავლო პროცესი სრულად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. სულ დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული იყო **56 327 პედაგოგი.**

დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის უწყვეტად გაგრძელების მიზნით:

- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს ინტერნეტსა და კომპიუტერზე საყოველთაო წვდომა, 30 მარტიდან დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთავრობის და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ. პროექტი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით ტელეგაკვეთილების ჩატარებას;
- მაისიდან დაიწყო საგანმანათლებლო პროექტის „ვებსკოლა“ განხორციელება. პროექტის ფარგლებში საქართველოს განათლების სამინისტრო აბიტურიენტებს სთავაზობს ვებინარებს ეროვნული გამოცდების ძირითად საგნებში;
- შეიქმნა პორტალი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და მშობელს სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლის ჩართულობის გარეშე ჰქონდეს წვდომა მოსწავლის პროფილზე;
- საქართველოს ყველა რაიონში შეიქმნა ვირტუალური საკონსულტაციო სივრცეები, სადაც „ახალი სკოლის მოდელის“ ტექნოლოგიების ექსპერტები მოხალისეობრივად ეხმარებიან მასწავლებლებს დისტანციური სწავლების დანერგვაში;
- სკოლებში დაინერგა ონლაინსწავლებისთვის პირველი ქართული ალტერნატიული პლატფორმა - Feedc Edu;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესს ახორციელებენ დისტანციურ რეჟიმში, სინქრონული და ასინქრონული მეთოდებით. სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში წარმართვისათვის სხვადასხვა პლატფორმებია გამოყენებული. ძირითადად: Zoom, Microsoft Teams, Moodle, Google Classroom. შემუშავდა გზამკვლევები, ვიდეოინსტრუქციები, გაიმართა ტრენინგები სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის. მოხდა სასწავლო გეგმების მოდიფიცირება, გადაიხედა სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები;

- უნივერსიტეტებმა მოახდინეს იმ სტუდენტთა იდენტიფიცირება, რომლებიც დარჩნენ ელექტრონული სწავლების მიღმა. უნივერსიტეტების ნაწილმა თავად უზრუნველყო სტუდენტები ინტერნეტითა და შესაბამისი ტექნიკით. სტუდენტთა ნაწილისთვის უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს ინდივიდულური სასწავლო გეგმები;
- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული არასრულწლოვნებისთვის პენიტენციურ დაწესებულებებთან თანამშრომლობით შემუშავდა ელექტრონული რესურსებისა და ტელესკოლის გამოყენებით სასწავლო პროცესის განხორციელების ალტერნატიული ფორმები.

### 2.4.2 პენიტენციური დაწესებულებების ადაპტირება

5 მარტიდან პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობები ამოქმედდა. მოცემულ პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.

გარდა ამისა, 12 მარტიდან პრობაციონერები დროებით, ერთი თვით გათავისუფლდნენ პრობაციის ბიუროებში გამოცხადებისა და რეჟიმის ვალდებულებისაგან. პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნასთან, ასევე, სასამართლოს მიერ ჩამორთმეული უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომები ტარდებოდა დისტანციურად ვიდეო-კონფერენციის საშუალებით.

13 მარტიდან ე.წ. მიმღებ ცხეებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო შემოწმება ხორციელდება პენიტენციური დაწესებულებების შენობის გარეთ, სპეციალურად მოწყობილ დროებით სამედიცინო პუნქტებში. საეჭვო სიმპტომების აღმოჩენისას ბრალდებულს დაწესებულება არ იღებს და ის თავსდება სამოქალაქო სექტორის კლინიკაში.

20 მარტიდან პენიტენციური დაწესებულებების შესასვლელში მოწყობილ დროებით სამედიცინო პუნქტებში დაიწყო სისტემის თანამშრომლებისა და დაწესებულებებში ყველა შემსვლელის სამედიცინო შემოწმება, თერმოსკრინინგი და ეპიდანამნეზის შეგროვება.

24 მარტიდან აიკრძალა პატიმრების გაყვანა სასამართლოებში და დაიწყო სასამართლო პროცესების დისტანციურად ჩატარება.

29 მარტს პენიტენციური სისტემა ე.წ. ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა. საანგარიშო პერიოდში სისტემის 780 თანამშრომელი პენიტენციურ დაწესებულებებში იმყოფებოდა გაუსვლელად. ეს აუცილებელი გახდა ქვეყანაში ვირუსის შიდა გადაცემის დაფიქსირების შემდეგ, რათა პენიტენციური სისტემა მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული ვირუსის გარედან შეტანისაგან.

16 აპრილიდან მაისის ბოლომდე ყველა პენიტენციური დაწესებულება აღიჭურვა სადეზინფექციო დერეფნით, რომელშიც დაწესებულებაში შემსვლელი ნებისმიერი პირი გადის დეზინფექციას.

17 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირობით მსჯავრდებულთათვის პრობაციის ბიუროში გამოცხადების ვალდებულებისგან გათავისუფლების ვადის გახანგრძლივების შესახებ.

ეპიდემიოლოგიური ვითარების შეფასების შედეგად, 18 მაისს პრობაციის ბიუროებში, გამოცხადების ეტაპობრივად აღდგენა ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებული პირებით დაიწყო.

### 2.4.3 ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების მონიტორინგი

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ნებადართული ეკონომიკური საქმიანობების ფუნქციონირების და შეზღუდული ეკონომიკური აქტივობების სწრაფად და უსაფრთხოდ განახლების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პრევენციის თაობაზე დეტალური რეკომენდაციები სხვადასხვა სექტორის მიხედვით, რომელთა აღსრულებას

უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი.

ინსპექტირების მიზანია ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოდ აღდგენა, ასევე, ბიზნესის ინფორმირება შესასრულებელი რეკომენდაციების შესახებ. ამ მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობს კონსულტაციები ბიზნესასოციაციებსა და დაინტერესებულ ჯგუფებთან. სარეკომენდაციო ხასიათის ინსპექტირებები გულისხმობს წინსწრებით იმ კომპანიების შემოწმებას, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს ჯანდაცვის სამინისტროს საიტზე.

**2020 წლის პირველი მაისიდან 22 მაისამდე** სულ განხორციელდა **10 479 ობიექტის შემოწმება**. **2020 წლის 22 მაისის მონაცემებით,** ეკონომიკური საქმიანობის აღდგენის მოთხოვნით, ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებულია **19 977** ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი **ობიექტი/მეწარმე სუბიექტი.**

### 2.4.4 პირბადეების და სადეზინფექციო ხსნარების წარმოება

პირბადეებთან დაკავშირებით შექმნილი გლობალური დეფიციტის პირობებში, რომელიც მოიცავდა როგორც მზა პირბადეების, ისე მასალის მკვეთრ დეფიციტს, მნიშვნელოვანი იყო ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფდა პრობლემის გადაჭრას რამდენიმე მიმართულებით: 1) მიწოდების უწყვეტობა; 2) გარე ფაქტორებზე მინიმალური დამოკიდებულება; 3) მოკლე ვადაში კრიტიკულად გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

დოლბანდის მრავალჯერადი პირბადის ადგილობრივი წარმოება წარმოადგენდა ამ გამოწვევის ოპტიმალურ გადაწყვეტას. ლუგარის ლაბორატორიის მიერ ტექნოლოგიისა და დიზაინის დადასტურების შემდეგ, განხორციელდა დოლბანდის ადგილობრივი მარაგების შესყიდვა, პარტნიორ ქვეყნებში ნედლეულის მოძიება, საქართველოში მისი იმპორტი და ადგილობრივი სამკერვალო კომპანიების დაკონტრაქტება. ჯამურად 14-მა კომპანიამ და 900-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა პირბადეების წარმოებაში. დოლბანდის პირბადის მრავალჯერადმა გამოყენებამ შექმნა კრიტიკული დეფიციტის შედარებით სწრაფად დაკმაყოფილების საშუალება. მეზობელ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური მისიების ჩართულობით განხორციელდა დოლბანდის საჭირო მარაგების მობილიზება, რამაც უზრუნველყო წარმოების პროცესის უწყვეტობა.

ჯამში, საანგარიშო პერიოდში სულ ნაწარმოებია **4,787,111** პირბადე, ხოლო დარიგებულია - **2,761,990**, აქედან, საცალო ქსელში - **1,828,850;** რეგიონებში - **474,300**; პენსიონერებისთვის - **80,500**, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის (საელჩოები) - **35,300**, კერძო სექტორისთვის (მაღაზიები, დისტრიბუცია, კომუნიკაცია) - **85,650**. ამ ეტაპისთვის წარმოებაში ჩართულია **13 საწარმო.**

ასევე, ხელი შეეწყო სადეზინფექციო სითხეების წარმოებასაც და ქართული კომპანიების წარმადობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვის მოხსნაზეც. მარტიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალი საწარმოების და დარეგისტრირებული პროდუქტების რაოდენობა. ამ პერიოდში წარმოების დასაწყებად ლუგარის ლაბორატორიას მიმართა **56**-მა კომპანიამ, **60** სხვადასხვა პროდუქტის რეგისტრაციისთვის. მარტამდე მხოლოდ **10** კომპანია აწარმოებდა რეგისტრირებულ სადეზინფექციო საშუალებებს. ამჟამინდელი წარმოების ჯამური მოცულობა დაახლოებით შეადგენს **4,000** ტონას თვეში.

### 2.4.5 სახელმწიფო სერვისების უწვეტი მიწოდება

*ჯანდაცვის სერვისები*

- სამედიცინო სერვისებზე უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა და გამოიცა რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრების, რეპროდუქციული და პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების, სტომატოლოგიური კლინიკებისა და სხვა გეგმიური

ამბულატორიული სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის ინფექციის კონტროლის გამკაცრების აუცილებლობის თაობაზე.

- სერვისების უწვეტობის მიზნით, სპეციფიკური მედიკამენტების პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებს (მათ შორის ინსულინდამოკიდებულ პირებს), ასევე ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე 70 წელს გადაცილებულ და შშმ პირებს ბინაზე მიეწოდებოდათ საჭირო მედიკამენტი (მათ შორის ინსულინი).
- ანტენატალური სერვისების მისაღებად, ორსულობის რეგისტრაცია ხორციელდება დისტანციურად.
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში აღრიცხვაზე მყოფ ბენეფიციარებს თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლის რეგიონში, საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად უწყვეტად მიეწოდათ საჭირო მედიკამენტები.
- თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერების გამო, ჰემოდიალიზის პროგრამის მოსარგებლეთა სახლიდან სამედიცინო დაწესებულებამდე და უკან ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სრულიად უფასოდ.
- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მოსარგებლეებისთვის, რომლებიც საგანგებო ვითარებისა და საქალაქთაშორისო გადაადგილების შეზღუდვის გამო ვერ ახერხებდნენ თავიანთ სამკურნალო დაწესებულებებში ვიზიტსა და წამლის აღებას, სერვისების მიწოდება დროებითი ღონისძიებების სახით, ხორციელდებოდა დისტანციური წესით „საქართველოს ფოსტის“ სერვისის გამოყენებით.

### *სოციალური სერვისები*

- შესაბამის სამიზნე ჯგუფს (პენსიონერი, კომპენსაციის მიმღები პირი, სოციალური პაკეტის მიმღები პირი) უწყვეტად უგრძელდებოდა სახელმწიფო გასაცემლის (სახელმწიფო პენსია, კომპენსაცია, სოციალური პაკეტი და ა.შ.) გაცემა.
- პენსიის/კომპენსაციის/სოციალური პაკეტის დანიშვნა/განახლება ხდებოდა ელექტრონული სერვისების გამოყენებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ვიზიტის გარეშე, კერძოდ, კი მაძიებლის მიერ სააგენტოში ელექტრონული ფორმით მოწოდებული განცხადებისა და მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლის საფუძველზე.
- მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ **100 001-ზე** ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებთან მიმართებით, უწყვეტად გრძელდებოდა ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაცემა, მიუხედავად სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით ან შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ან/და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული და/ან აღმოჩენილი (გამოვლენილი) დადასტურებული ინფორმაციისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი გადამოწმება მოთხოვნილი იყო უშუალოდ ოჯახის მიერ. **ამ ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ საარსებო შემწეობის გაცემის შეჩერებებზეც. აღნიშნული რეგულაცია შეეხო დაახლოებით 3 000 ოჯახს (8500 პირს).**
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომლის თანახმადაც საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი კლებაა, ყოველ მესამე და მომდევნო ბავშვზე ოჯახები იღებენ დახმარებას - მაღალმთიან რეგიონში - ყოველთვიურად 200 ლარის, ხოლო არამაღალმთიან რეგიონში - 150 ლარის ოდენობით, სოციალური მომსახურების სააგენტო **არ ახორციელებდა ბენეფიციარების ოჯახების ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის გადამოწმებას** (ბენეფიციარების ცხოვრების ფაქტის დადასტურების მიზნით) და იმ ოჯახებს, რომელთაც თებერვლის ჩათვლით ერიცხებოდათ ფულადი დახმარება და მარტში შეუჩერდათ დახმარების გაცემა, გაუგრძელდათ თანხის გაცემა აპრილიდან და აუნაზღაურდათ მარტის თვის

მიუღებელი თანხა. **შესაბამისად, ამ რეგულაციით დახმარების მიღება (ვიზიტის გარეშე) გაუგრძელდა დაახლოებით 7 000 ოჯახს.**

- დაფინანსება გაუგრძელდა სხვადასხვა ქვეპროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს (**ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის, დღის ცენტრების ქვეპროგრამებს** და სხვ.), **დღის ცენტრების ბენეფიციარებისთვის გაიცემოდა კვების ვაუჩერი, სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში დაინერგა დისტანციური სერვისები.**

### *იუსტიციის სახლი/საზოგადოებრივი ცენტრები*

- 30 მარტს **დაიხურაიუსტიციის ყველა სახლი და საზოგადოებრივი ცენტრი. განხორციელდა მომხმარებლების ინფორმირება** იუსტიციის სახლსა და საზოგადოებრივ ცენტრში არსებული სერვისების შესაძლო დისტანციურად სარგებლობის შესახებ.
- პროცესის დასაწყისში მზა დოკუმენტების მიღება თბილისში შესაძლებელი გახდა მხოლოდ იუსტიციის სახლის just drive-ის გამოყენებით.
- 5 მაისიდან იუსტიციის ყველა სახლი და საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა ვიზიტის მოქალაქის ერთიანი პორტალის - my.gov.ge-ის მეშვეობით წინასწარი დაჯავშნის პრინციპით.

### *სანოტარო სერვისები*

მოქალაქეთათვის სანოტარო სერვისების დროულად მიღების უზრუნველსაყოფად:

- 1 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით თბილისსა და რეგიონებში მოეწყო დროებითი სანოტარო ბიუროები;
- 5 მაისიდან ამოქმედდა ნოტარიუსთან ვიზიტის წინასწარი დაჯავშნის პრინციპი my.gov.ge-ის პორტალის გამოყენებით.

### *აღსრულების ეროვნული ბიურო*

- 23 მარტიდან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შეაჩერა გამოსახლებისა და დემონტაჟის საქმეების იძულებითი აღსრულება; იძულებითი გადახდევინების მიქცევა მოვალის აქტივებზე (ყადაღა, ინკასო); ფაქტების კონსტატაციის სერვისი (რომელიც 28 აპრილს განახლდა); აუქციონი.
- 6 აპრილიდან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაიწყო სააღსრულებო წარმოებისა და არასააღსრულებო სერვისების მოქალაქეებისთვის დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული მიმართვის საფუძველზე მიწოდება. გამონაკლისად განისაზღვრა მხოლოდ რამდენიმე სერვისი.

### *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

- 9 აპრილიდან დისტანციურად განახლდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სერვისების გაცემა. My.gov.ge პორტალზე ინტეგრირებულია საჯარო რეესტრის 150-მდე სერვისი, რომელთა ნაწილზე გამარტივებულია მომსახურების მოთხოვნისა და მიღების ფორმები; 29 სერვისის მიღება მოქალაქეებს ელფოსტითაც შეუძლიათ.
- 10 აპრილიდან თბილისში გაიხსნა საჯარო რეესტრის დროებითი სარეგისტრაციო ოფისები 3 ლოკაციაზე, სადაც, ცხელ ხაზზე 2 405-405 წინასწარი ჩაწერის გზით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა დოკუმენტების მატერიალური სახით წარდგენა. 70 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეებისთვის ამოქმედდა ბინაზე მომსახურების სერვისი.
- 27 აპრილიდან მოქმედებს საჯარო რეესტრის 23-ვე ფილიალი. ძალაში დარჩა ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის საჭიროება.

### *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

- 9 აპრილიდან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოქალაქეებისთვის დისტანციური სერვისებისა და მომსახურების მიწოდება ეტაპობრივად განაახლა. დაიწყო ყველაზე მოთხოვნადი სერვისების გაცემა და მზა დოკუმენტების საფოსტო სერვისით მიწოდება. ქვეყნის მასშტაბით სააგენტოს სერვისების მიღება 10 ლოკაციაზე გახდა შესაძლებელი.
- შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, განახევრდა ადგილზე მომსახურების საფასური, ხოლო აღნიშნულისგან სრულად თავისუფლდებიან:
  - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იმ ოჯახის წევრები, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 001-ს;
  - პირები, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეზღუდული აქვთ გადაადგილების შესაძლებლობა;
  - 70 წლის და მეტი ასაკის პირები.
- 13 აპრილიდან სრულად აღდგა დისტანციური სერვისები, უკვე მოქმედ დისტანციურ სერვისებს დაემატა ახალი, ყველაზე მოთხოვნადი მომსახურებები და მათი მოქმედების ტერიტორიული არეალი გაფართოვდა - საქართველოში მყოფი ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა ის დისტანციური სერვისები, რომლებითაც სარგებლობა ამ დრომდე მხოლოდ საზღვარგარეთ მყოფ პირებს შეეძლოთ.
- 4 მაისს მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიხსნა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები.

### *შინაგან საქმეთა სამინისტროს სერვისები*

- 14 მარტიდან ერთიანი მომსახურების ცენტრმა დაიწყო მოქალაქეებისთვის დისტანციური მომსახურების უზრუნველყოფა 50-მდე სერვისზე.
- 26 მარტიდან სასამართლო პროცესები ტარდება დისტანციურად, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან დაკავებულის გაყვანის გარეშე, იზოლატორში ამისათვის სპეციალურად მოწყობილი დისტანციური ჩართვის ოთახიდან.

### *ფინანსთა სამინისტროს სერვისები*

- შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სერვისებთან წვდომის მიზნით გამარტივდა ფიზიკური პირებისთვის ვიდეოზარით აქტივაციის პროცედურები და აღნიშნული სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ აგრეთვე იურიდიულ პირებს.
- წარმატებით ფუნქციონირებს შემოსავლების სამსახურის ხმოვანი გვერდი - voice.rs.ge. უნიკალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელსაც საქართველოში დღეს ანალოგი არ აქვს, აუდიოფორმატში შესაძლებელია ეკრანზე გამოტანილი ნებისმიერი ქართული ტექსტის გენერირება და ყურსასმენების მეშვეობით მისი მოსმენა. voice.rs.ge მხედველობადაქვეითებულ პირებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, ონლაინრეჟიმში, შეძლონ ურთიერთობა შემოსავლების სამსახურთან და ისარგებლონ სხვადასხვა სერვისებით. მათ შორის, მიიღონ ინფორმაცია კორონავირუსის გავრცელების რისკების მინიმიზაციის, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და ასევე მთავრობის მიერ მიღებული ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული კომპენსაციებისა და საგადასახადო შეღავათების შესახებ.

### *განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სერვისები*

#### განათლება:

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და აკრედიტაციის საბჭოს მიერ სხდომებზე პროგრამების განხილვა ხდება **დისტანციურად.**

- გამონაკლისია მხოლოდ ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კონკრეტულ სფეროში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა შეფასებაც საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ვერ განხორციელდება დისტანციურად. (საინჟინრო, საბუნებისმეტყველო, მედიცინა, სტომატოლოგია და სხვ.).
- მიმდინარეობს სკოლის მიღმა დარჩენილ მოსწავლეთა ფორმალურ განათლებაში ინტეგრირებისთვის ტრანზიტული პროგრამების შეთავაზება.
- პანდემიის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში გამოცხადებული კარანტინის გამო ბენეფიციარებს საგანმანათლებლო მომსახურება უწყვეტად მიეწოდებათ ალტერნატიული ფორმებით.
- საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის აქტიურად მუშაობს სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის მომსახურება.
- მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი 24-საათიან რეჟიმში ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

### *კულტურა:*

- სამინისტრომ მოახდინა აქციის - **„#კულტურა თქვენთვის #დარჩი სახლში“** ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც კულტურის საჯარო ორგანიზაციებმა არსებულ გამოწვევასთან ადაპტირებით განახორციელეს:
  - ონლაინაუდიტორიის მოზიდვა და სახლში დარჩენილი ადამიანებისთვის მრავალფეროვანი კულტურული პროგრამის შეთავაზება. მათ შორის: სპექტაკლების, კონცერტების, ფილმებისა და სამუზეუმო ტურების შემეცნებითი და სახალისო აქტივობების შეთავაზება და უფასო ონლაინტრანსლიაცია;
  - **800 -ზე მეტი** ონლაინაქტივობა;
  - ყოველდღიურად მინიმუმ **4** კულტურული ონლაინაქტივობა.

  მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სამინისტრომ შეინარჩუნა კულტურის სფეროში დაანონსებული ყველა - **12 დარგობრივი კონკურსი**. მიმდინარე კონკურსების ფარგლებში განაცხადების მიღების ვადები გახანგრძლივდა და საკონკურსო პირობები არსებულ გამოწვევებთან ადაპტირდა. ასევე, ამოქმედდა საკონკურსო განაცხადების მიღების ონლაინმექანიზმი. კონკურსების ფარგლებში კულტურის ორგანიზაციებზე გასაცემი გრანტის მოცულობა განისაზღვრება **5 000 - დან 25 000 ლარამდე**. მოპოვებული გრანტით ისარგებლებს - **150 - ზე** მეტი შემოქმედებითი ორგანიზაცია და მასში დასაქმებული პირები.

### *თბილისის მუნიციპალიტეტის სერვისები*

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო მოქალაქეთათვის დისტანციური მომსახურების შეთავაზება. შეიქმნა პორტალი my.municipal.gov.ge, რომლის მეშვეობითაც მერიას სახლიდან გაუსვლელად განცხადებით მომართა 10 000-მდე მოქალაქემ, ხოლო მუნიციპალური ცხელი ხაზი მოემსახურა 300 000-მდე მოქალაქეს.

### 2.4.7 STOPCOV ფონდი

კოვიდ19-თან ბრძოლაში, საქართველოში მოქმედი კომპანიების ნაწილმა გამოთქვა სახელმწიფოსთან სოლიდარული თანამშრომლობისა და ფინანსური რესურსის გამოყოფის სურვილი.

კერძო სექტორის ამ ინიციატივის განხორციელების მიზნით, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში შეიქმნა შესაბამისი პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც დაარსდა **STOPCOV ფონდი,** სადაც,

როგორც ყველა კომპანიას, ისე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ვირუსთან ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანა.

StopCoV ფონდში მობილიზებული თანხები მიემართება ყველაზე კრიტიკული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თანხის გადანაწილების პროცესი იქნება გამჭვირვალე და თანხა დაიხარჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

StopCov ფონდში, 2020 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ჩარიცხულია 133 121 907 ლარი. შემოწირულობა განახორციელა ჯამში 6 968 სუბიექტმა, მათ შორისაა 1 673 ფიზიკური პირი; 1 410 კერძო კომპანია; 660 საჯარო დაწესებულება და სსიპ ; 125 ააიპ  და 3 100 სხვა შემომწირველი. StopCov ფონდში 1 მილიონი ან მეტი ლარი შემოწირულობა განახორციელეს: 1. ბიძინა ივანიშვილი - 100 მლნ ლარი; 2. მაგთიკომი - 3 მლნ ლარი; 3. სილქნეტი - 1,4 მლნ ლარი; 4. დავით ხიდაშელი - 1,2 მლნ ლარი; 5.  არ ემ ჯი - 1 მლნ ლარი; 6. კავკასუს ონლაინი - 1 მლნ ლარი; 7.  ირაკლი გილაური - 1 მლნ ლარი; 8.  შოთა შალელაშვილი - 1 მლნ ლარი.

## 2.5 საგანგებო მდგომარეობა და ანგარიშვალდებულება

### 2.5.1 საზოგადოების ინფორმირებულობა

საზოგადოებისთვის დეტალური ინფორმაციის დროულად მიწოდება მთავრობისა და საკოორდინაციო საბჭოს პრიორიტეტად განისაზღვრა:

- საბჭოს ჩამოყალიბების დღიდანვე დაიწყო **ყოველდღიური ბრიფინგები,** რომლებშიც დარგის სპეციალისტებსა და მინისტრებთან ერთად, პრემიერ-მინისტრიც უშუალოდ მონაწილეობდა. ბრიფინგებზე ჟურნალისტთა ფართო სპექტრს მუდმივად ჰქონდა კითხვების ღია ეთერში დასმის შესაძლებლობა. კორონავირუსთან ბრძოლის თითოეულ ეტაპზე დაწესებული შეზღუდვებისა და დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ საზოგადოებას წინასწარ წარედგინებოდა ინფორმაცია;
- შეიქმნა **სპეციალური საინფორმაციო ვებგვერდი** - www.StopCov.ge, სადაც განთავსდა კორონავირუსთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. ვებგვერდი კორონავირუსით ინფიცირებულთა შესახებ სტატისტიკის პირველწყაროდ ჩამოყალიბდა. ამავე ვებგვერდზე განთავსდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები, აგრეთვე, ხშირად დასმული კითხვების ვრცელი ჩამონათვალი დეტალური პასუხების მითითებით. StopCov.ge ხელმისაწვდომია ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- მოქალაქეებისთვის ინფორმაციის უწყვეტად მიწოდებას უზრუნველყოფდა ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზი - 144;
- მთავრობა მუდმივად უზრუნველყოფს CDC-ს, WHO-სა და სხვა საერთაშორისო მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო/**საინფორმაციო მასალების** (მათ შორის, ვიდეორგოლები) შექმნას და ფართო საზოგადოებაში გავრცელებას. ამასთან, აღნიშნული მასალები ითარგმნება **აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე** და უზრუნველყოფილია მათი სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით გავრცელება. ყველა რელევანტური ინფორმაცია ქვეყანაში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიურ ენაზეა ხელმისაწვდომი. ასევე, უწყვეტ რეჟიმში მზადდება ვიზუალური მასალა, საგანმანათლებლო პოსტები, ინფოგრაფიკები, ვიდეომასალები, რომლებიც ვრცელდება სოციალური ქსელით;
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე უზრუნველყოფს Covid-19-თან დაკავშირებული ნორმატიული და რელევანტური ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობას ნებისმიერი პირისთვის. მეტი თვალსაჩინოებისთვის, საკანონმდებლო მაცნეზე აღნიშნული სამართლებრივი აქტების მარტივად მოსაძიებლად, ელექტრონული პლატფორმის პირველივე გვერდზე შეიქმნა სპეციალური ბლოკი - StopCov, სადაც ყველა ეს აქტი მომხმარებლისთვის ერთიანადაა თავმოყრილი;
- განხორციელდა მოსახლეობის მასიური ინფორმირება SMS სისტემის მეშვეობით (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის);

- მოსახლეობის პროაქტიური ინფორმირების მიზნით, პლატფორმა „ტელეგრამზე“ შეიქმნა ოფიციალური საკომუნიკაციო არხი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის თითოეული პასუხისმგებელი უწყებებიდან განისაზღვრა პრესსპიკერი (მათ შორის, უშუალოდ ე.წ. კოვიდკლინიკების მედპერსონალი) და მედიას კოორდინირებულ რეჟიმში მიეწოდება სრული ინფორმაცია.
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე ონლაინ რეჟიმში უტარდებათ ექიმ-ინფექციონისტების კონსულტაცია;
- მთავრობამ შექმნა **სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საკომუნიკაციოდ** რამდენიმე საკოორდინაციო პლატფორმა, მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების განხილვის მიზნით. მათ არაერთხელ წარედგინათ დეტალური ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე, მიეცათ შესაძლებლობა დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები და წარმოედგინათ რეკომენდაციები. მათ შორის, გაიმართა შეხვედრები **ეკონომიკური მიმართულების საკონსულტაციო ორგანიზაციებთან,** რომლებთაც კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის აღდგენის შესახებ მთავრობის ხედვა წარედგინათ. ასევე, განხილულ იქნა მათი მოსაზრებები და რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებულია ანტიკრიზისული გეგმის შემუშავებისას;
- ხელისუფლებამ შეიმუშავა და პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით **ღია ეთერში საზოგადოებას დეტალურად წარუდგინა ქვეყნის ეკონომიკური ანტიკრიზისული და შეზღუდვების მოხსნის გეგმა. ასევე,** ამავე ფორმატში საზოგადოებას წარედგინა ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, განათლების და დეველოპერულის სექტორის მხარდაჭერის ანტიკრიზისული გეგმები.

### 2.5.2 სახელმწიფო შესყიდვები

**2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განსახორციელებლად, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან და ორგანიზაციიდან შევიდა **1 646 მომართვა,** საიდანაც თანხმობა გაიცა **1 477 მომართვაზე.** საგულისხმოა, რომ მთლიანი მომართვების **90%** შეეხებოდა ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების - COVID-19-ის გავრცელების აღკვეთის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიების ფარგლებში, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების გათვალისწინებით, შესაბამისი საქონლისა და მომსახურების შესყიდვას (სახის დამცავი პირბადეები, სადეზინფექციო ხსნარები, სპეციალური ეკიპირებისთვის საჭირო კომბინიზონები, თერმოსკრინინგისთვის აუცილებელი მოწყობილობები, მედიკამენტები, შენობის დეზინფექციის მომსახურება, საკარანტინო სივრცეში გადასაყვანად საჭირო ტრანსპორტის დაქირავების მომსახურება, კვებითი მომსახურება და სხვ. - ჯამური ღირებულება **94 562 594 ლარი).**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, შემსყიდველი ორგანიზაციებისგან გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებით უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, სხვადასხვა ინსტრუმენტების, მათ შორის, სააგენტოს ძალისხმევით შექმნილ ელექტრონულ პლატფორმაში (SMP მოდული) ინტეგრირებული კითხვარის მეშვეობით უზრუნველყო, რომ თითოეული ეს შესყიდვა ყოფილიყო მიზნობრივი, აუცილებელ საჭიროებაზე ორიენტირებული და პრაქტიკულად გამორიცხულიყო არასაჭირო შესყიდვები. ხაზგასასმელია ისიც, რომ ზემოღნიშნული პლატფორმა განაპირობებს შესყიდვის პროცესის სრულ გამჭვირვალობას და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, საჯაროდ გამოთქვას თავისი შენიშვნები და მოსაზრებები ამა თუ იმ გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის გაცემის შემდეგ, რელევანტური მიმწოდებლების შერჩევას, ისევე როგორც საჭირო თანხების რაციონალურად ხარჯვას, შემსყიდველი ორგანიზაციები თავად უზრუნველყოფენ.

## 2.6 საგანგებო მდგომარეობა და ადამიანის უფლებები

გლობალური პანდემიის შედეგად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, არაერთი ქვეყნის მსგავსად (ესტონეთი, ლატვია, მოლდოვა, რუმინეთი, სომხეთი) საგანგებო მდგომარეობისას საქართველომ აამოქმედა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლი, რაც გულისხმობს კონვენციიდან გადახვევას და საგანგებო მდგომარეობის მართვის მიზნით გარკვეული უფლებების შეზღუდვას.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მიერ არ იქნა სრულად გამოყენებული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლით დაშვებული გადახვევები და პრეზიდენტის დეკრეტით საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით **შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მხოლოდ ის უფლებები, რომელთა შეზღუდვა პირდაპირ კორელაციაში იყო ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვასთან.**

**კრიზისის დაწყებისთანავე, საქართველოს მთავრობა პროაქტიულ ზომებს იღებდა მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობების სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებების დასაცავად,** მათ შორის უზრუნველყოფდა შშმ პირთა, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების, ასაკოვანი მოსახლეობის, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური და სხვა უმცირესობების **წვდომას ინფორმაციაზე, სერვისებზე, ძირითად საარსებო მხარდაჭერაზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე.**

კრიზისის მიუხედავად, **სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების გატარება.** არაერთი ქვეყნის (მაგ.: საფრანგეთი და ესპანეთი), მაგალითმა ცხადყო, რომ კრიზისისას იმატა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკმა. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებების საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა **COVID-19-ის კრიზისის დროს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია** და პარტნიორებთან ერთად პროაქტიულად აღასრულებდა მას კრიზისის მიმდინარეობისას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო უწყვეტად განაგრძობდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის მონაცემებთან შედარებით კრიზისის დროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მომართვიანობა არ გაზრდილა, **შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო განსაკუთრებული ზომები, ოჯახში ძალადობის გამოვლენასა და მასზე რეაგირების მიმართულებით.**

**კრიზისის მიმდინარეობისას, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს უწყეტ რეჟიმში მიეწოდებოდათ სახელმწიფოში არსებული უფასო სერვისები.** სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ კრიზისის დაწყებისთანავე მოახდინა ქვეყანაში არსებული ათი თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის სერვისების მოდელის რესტრუქტურიზაცია. ვირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოფილია ახალშესახლებულები მოქალაქეების დროებით განცალკევებით განთავსება. ამასთანავე, სერვისების ნაწილი ხორციელდება დისტანციურად. პერსონალს კი მუდმივ რეჟიმში მიეწოდება ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვის საშუალებები.

**მსგავსი მოდელი ამოქმედდა ქვეყანაში არსებულ დიდი ზომის თავშესაფრებშიც.** თავშესაფარების ნაწილში (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფრებში) ბენეფიციარების დაცვის მიზნით,

დაწესდა პერსონალის გრძელვადიანი მორიგეობა, რათა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი გარე პირების შესვლა თავშესაფრებში.

**კრიზისით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებისა და სოციალური უფლებების დაცვის მიზნით,** საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, დედაქალაქსა და რეგიონებში რეგულარულად ხორციელდებოდა ძირითად საარსებო საშუალებებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. **განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოწყვლად ჯგუფებს.**

ვირუსთან ბრძოლის ყველა ეტაპზე მთავრობის პრიორიტეტად განისაზღვრა **ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა.** მთავრობა მუდმივად უზრუნველყოფს კორონავირუსთან დაკავშირებული **საინფორმაციო მასალების თარგმნას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე** და მათ ელექტრონულ გავრცელებას. იგივე ენებზე ვრცელდება ვიდეო-რგოლები კორონავირუსთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ. მარტიდან სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და კარდაკარ ვრცელდება სხვადასხვა სახის ბეჭდური საინფორმაციო მასალა, **ჯამში 529 100 ერთეული.** გარდა ამისა, COVID-19-თან დაკავშირებული სამთავრობო ვებ-პორტალი სრულად ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

პანდემიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა დროული წვდომის უზრუნველსაყოფად, **სამთავრობო ბრიფინგების ტრანსლაცია მიმდინარეობს ჟესტური ენის გამოყენებით,** ხოლო სმენადაქვეითებული იმ ადამიანებისთვის, რომელთაც არ იციან ჟესტური ენა, ბრიფინგების დასრულებისთანავე, ტექსტი იტვირთება მთავრობის სოციალური მედიის გვერდზე.

COVID-19-თან დაკავშირებულ საკითხებზე, კრიზისის მიმდინარეობისას, **ადამიანის უფლებათა საბჭოს ეგიდით რეგულარულად იმართებოდა დახურული და ღია (დისტანციური) შეხვედრები** არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოწყვლად ჯგუფებთან, შშმ პირთა თემთან, ეთნიკური, სექსუალური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან.

COVID-19-ის კრიზისით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შერბილების მიზნით, სახელმწიფოს ანტიკრიზისული გეგმა ითვალისწინებს მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვას და აწესებს ბენეფიტებს მოწყვლადი ჯგუფებისათვის. გარდა ამისა, **საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, შესაბამისი უწყებების მიერ მიმდინარეობს დამატებითი პროგრამების შემუშავება განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დასაცავად.**

## 3. პანდემიის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად შემცირდა ტურიზმი, ვაჭრობა, კლება დაფიქსირდა მთელ რიგ ინდუსტრიებში. შოკი შეეხო როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხარეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბაზისო სცენარით, **2020 წელს მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკის 3%-იანი კლება, ხოლო ნეგატიური სცენარის შემთხვევაში, ეკონომიკის კლება 5%-ს აჭარბებს.**

აღსანიშნავია, რომ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი/შოკი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა აქამდე ცნობილი ეკონომიკური კრიზისებისგან, რომლებიც ძირითადად ამა თუ იმ ეკონომიკურ ფაქტორთან ან ეკონომიკის გარკვეულ სექტორში არსებულ შოკთან იყო დაკავშირებული. კორონავირუსის „შოკის“ სპეციფიკა და, შესაბამისად, სახელმწიფოთა პრიორიტეტი ამ შემთხვევაში უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას.

რა თქმა უნდა, **კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე,** რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. ვირუსის გავრცელებამ შეაფერხა იმ პოზიტიური ტენდენციების გაგრძელება, რომელიც წინა წელს დაფიქსირდა

ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებით. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა - 5.1%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა შეადგინა 3.3 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა - 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა - 1.5 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%). აღნიშნულის შედეგად, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და მშპ-ის 5.1% შეადგინა. მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდისა და საგარეო სექტორის მონაცემების გაუმჯობესებამ განაპირობა საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილზე მეტად ზრდა, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა კაპიტალურმა ინვესტიციებმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს და მშპ-ის 8% შეადგინა. შენარჩუნდა საგარეო ვალის მდგრადობა, უზრუნველყოფილი იყო საკრედიტო პორტფელის ზრდა და ვადაგადაცილებული სესხების შემცირებული მაჩვენებლები.

მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური ეკონომიკური მაჩვენებლებისა, ახალი კორონავირუსის პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა 2020 წლის განმავლობაში. მოსალოდნელია, რომ საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შენელება ნეგატიურ გავლენას მოახდენს ქვეყნის ექსპორტსა და ფულადი გზავნილების მაჩვენებლებზე, ხოლო პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური გაურკვევლობის გაგრძელებასთან ერთად, შემცირდება კაპიტალის შემოდინება ან/და ეკონომიკაში დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელება. **ეკონომიკური აქტივობის შემცირების ფონზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა 2020 წლის განმავლობაში 4%-ით შემცირდება, თუმცა 2020 წლის მე-4 კვარტლიდან მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში დაფიქსირდება ეკონომიკის 4%-იანი ზრდა.**

ყველაზე მნიშვნელოვანი არხი, რომლითაც პანდემიის შედეგად ხდება ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა არის ტურიზმი. 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები წინა წელთან შედარებით შემცირდა **26%-ით.** ჯამში, 2020 წელს მოსალოდნელია მომსახურების ექსპორტის 55%-იანი კლება, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ვიზიტორებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება დაახლოებით **70%**-ით. ტურიზმის შემცირება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის სხვა სექტორებზე, მათ შორის, მშენებლობაზე და უძრავი ქონებით ვაჭრობაზე.

გლობალურად შეინიშნება საგარეო ვაჭრობის შესუსტება და უკვე 2020 წლის აპრილში, საქართველოს ექსპორტი შემცირდა 28%-ით, ხოლო იმპორტი შემცირდა 39%-ით. ექსპორტის შემცირებაზე პანდემიით განპირობებული შემცირებული მოთხოვნის გარდა, ასევე გავლენას ახდენს ნავთობის ფასების ვარდნა, რაც ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების შემოსავლებს და, შესაბამისად, მათ მოთხოვნას კიდევ უფრო ამცირებს. ექსპორტის შემცირება, თავის მხრივ, ზრდის ზეწოლას გაცვლით კურსზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2020 წელს, მოსალოდნელია ექსპორტის შემცირება 24.2%-ით, ხოლო იმპორტი შემცირდება 21.1%-ით.

გლობალური საგარეო მოთხოვნის შემცირება და ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად აისახება ფულადი გზავნილების მოცულობაზეც. ფულადი გზავნილები შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვანი კომპონენტია და, შესაბამისად, მისი შემცირება უარყოფით გავლენას ახდენს შიდა მოხმარებაზე. 2020 წლის აპრილის მონაცემებით, ფულადი გზავნილების ჩარიცხვის მაჩვენებელი შემცირდა 42.3%-ით, მათ შორის, კლება შეინიშნება ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა რუსეთი (-61.8%), იტალია (-27.5%), საბერძნეთი (-37.9%), აშშ (-33.6%), ისრაელი (-48.4%).

საგარეო ფაქტორებიდან შემოსავლების კლება უარყოფითად აისახება შიდა მოთხოვნაზე. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა არაპირველადი მოხმარების საგნებსა თუ მომსახურებაზე მოთხოვნა. ამავე დროს, შოკის პერიოდში მნიშვნელოვნად სუსტდება საინვესტიციო აქტივობაც.

ეკონომიკის შემცირება, ასევე პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა, პირდაპირ აისახება როგორც ბიუჯეტის შემოსავლების, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავლების, ისე

ხარჯების მოცულობაზე. 2020 წელს ნაერთ ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლები, საერთაშორისო პარტნიორების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და კრედიტების გარეშე დაგეგმილი იყო 13.7 მლრდ. ლარის ოდენობით, რაც განახლებული პროგნოზების მიხედვით მცირდება 1.8 მლრდ. ლარით.

წარმოქმნილი დეფიციტის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, მიმდინარე წლის მარტიდან მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. დაგეგმილია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირება დაახლოებით 600 მლნ ლარის ოდენობით.

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის. აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო ხარჯები 3 მლრდ. ლარზე მეტს შეადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია გლობალურად ზუსტი პროგნოზის გაკეთება პანდემიის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, დიდია გაურკვევლობა ეკონომიკაზე მისი გავლენების შესახებ. შესაბამისად, აუცილებელია ბიუჯეტში გარკვეული რეზერვების შექმნა იმისათვის, რომ უფრო პესიმისტური და მძიმე სცენარების განვითარების შემთხვევაშიც არ წარმოიქმნას ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების პრობლემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ აქტიური მოლაპარაკებები აწარმოა საერთაშორისო პარტნიორებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც პანდემიის პირობებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან გაზრდილი დაფინანსება მიიღო (მიმდინარე პროგრამის ფარგლებში). სავალუტო ფონდთან წარმატებულმა მოლაპარაკებებმა, საშუალება მისცა ქვეყანას სხვა დონორებისგანაც მოეზიდა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები. შედეგად, ჯამში მოზიდულ იქნა, **1.5 მლრდ. აშშ დოლარი საბიუჯეტი დახმარება, მათ შორის:**

- IMF – 200.0 მლნ. აშშ დოლარი;
- ADB – 400.0 მლნ. აშშ დოლარი;
- WB – 250.0 მლნ. აშშ დოლარი;
- AFD - 200.0 მლნ. აშშ დოლარი;
- KfW – 250.0 მლნ. აშშ დოლარი;
- EU – 200.0 მლნ. აშშ დოლარი;
- AIIB – 100.0 მლნ. აშშ დოლარი.

**გარდა ამისა, 1.5 მლრდ. აშშ დოლარის ფინანსური რესურსი ხელმისაწვდომი გახდა კერძო სექტორისთვის.**

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმები და ფისკალური დისციპლინა იყო ის აუცილებელი წინაპირობა, რომელიც საჭირო იყო პანდემიის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციის მიზნით საერთაშორისო პარტნიორებისგან სათანადო რესურსების მოსაზიდად.

## 3.1 მთავრობის ანტიკრიზისული პოლიტიკა

პანდემიის დაწყების დღიდან, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ერთი მხრივ, გულისხმობდა ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას და ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარმართვას, ხოლო მეორე მხრივ, ვირუსის გავრცელებით განპირობებული უარყოფითი გავლენის შემცირებას და ამ მიზნით, კერძო სექტორისა და მოქალაქეების მხარდაჭერას. შესაბამისად, ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა ბალანსის დაცვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასა და ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენის შემცირებას შორის.

მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის ამოსავალი პრინციპია **არსებული შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური მოცვა,** რათა სახელმწიფოს დახმარება შეძლებისდაგვარად მიიღოს ყველამ, ვინც პანდემიის შედეგად დაზარალდა.

ვინაიდან შექმნილმა ვითარებამ გავლენა იქონია როგორც ქვეყნის მოქალაქეების დიდ ნაწილზე, ისე კომპანიებზე, სახელმწიფომ შეიმუშავა ანტიკრიზისული პაკეტი, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია არსებულ გამოწვევებზე. ანტიკრიზისული პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებები 2 ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი იყო გადაუდებელი დახმარება, რომლის განხორციელება მარტში (ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობამდე) დაიწყო, ხოლო მეორე ეტაპი უფრო მასშტაბურ ღონისძიებებს მოიცავს და მისი წარდგენა აპრილში მოხდა.

ე.წ. ჰორიზონტალური ღონისძიებების გარდა, ასევე შემუშავდა და საზოგადოებას წარედგინა სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და დეველოპერული მიმართულებების აღდგენისა და განვითარების კონკრეტული გეგმები, რომელთა მიხედვით მთავრობა აღნიშნულ სექტორებში არსებულ კომპანიებს და დასაქმებულებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას სთავაზობს. გარდა ამისა, წარმოდგენილ იქნა კონკრეტული ღონისძიებები განათლების მიმართულებით (დანართი 6).

ეფექტიანი ანტიკრიზისული და პოსტკრიზისული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს მთავრობის მიზანია ეკონომიკის სწრაფი აღდგენის პროცესის მხარდაჭერა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა, მთავრობის მიერ გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების ხელშეწყობით 4%-ით გაიზრდება.

### 3.1.1 ზრუნვა მოქალაქეებზე

***I ეტაპი***

პირველი ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებები წარმოადგენდა ერთგვარ გადაუდებელ დახმარებას, რომლის მიზანი პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეფექტების მინიმიზაცია იყო. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- **მოქალაქეებს დაუფინანსდათ 3 თვის კომუნალური გადასახადი** - დახმარება შეეხო იმ აბონენტებს, რომელთა მიერ ელექტროენერგიის ყოველთვიური მოხმარება 200 კილოვატზე ნაკლებია, ხოლო ბუნებრივი აირის ყოველთვიური მოხმარება - 200 მ3-ზე ნაკლები. დაფინანსება აგრეთვე მოიცავს დასუფთავების და წყლის გადასახადსაც. სუბსიდირების აღნიშნული მექანიზმი სხვა ალტერნატივებთან შედარებით ყველაზე სამართლიანი და მიზნობრივია. ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ საშუალოდ 3 თვის განმავლობაში **1.2 მილიონზე მეტი აბონენტი შეადგინა,** ხოლო ბუნებრივი აირის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ საშუალოდ 3 თვის განმავლობაში - **670 ათასზე მეტი აბონენტი.** პროგრამის ბიუჯეტი **170 მლნ. ლარია.**

- **სახელმწიფომ დააზღვია, რომ არ მომხდარიყო გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასების მნიშვნელოვანი ზრდა 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე** - გაცვლითი კურსის გაუფასურებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების შერბილების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც კრიზისის საწყის ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფლაციური რისკები, ხელი შეუწყო პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების მერყეობის შემცირებას. ყველა იმ იმპორტიორი კომპანიისთვის, რომელმაც 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით, მოახდინა 9 ძირითადი პროდუქტის შესყიდვა, სახელმწიფოს მიერ მოხდა სავალუტო კურსის სხვაობის სუბსიდირება განსაზღვრული პირობებით. **პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ. ლარია.**

- **სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს სესხის გადახდის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ** - გადახდასთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაბამისი ჯარიმების თავიდან აცილების მიზნით, ყველა ფიზიკურ პირს მიეცა სესხის მომსახურების 3 თვით გადავადების შესაძლებლობა, რითაც ისარგებლა **600 000-მდე მსესხებელმა.**

*II ეტაპი*

ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპი ითვალისწინებს პირდაპირ ფინანსურ დახმარებას მოქალაქეების სხვადასხვა კატეგორიებისთვის. მხარდაჭერა ეხებათ როგორც დაქირავებით დასაქმებულებს, ისე თვითდასაქმებულებს და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს. კერძოდ:

- **დაქირავებით დასაქმებული პირები,** რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან გაუშვეს უხელფასო შვებულებაში, დახმარების სახით მიიღებენ **1200 ლარს 6 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარს.** დახმარებით სარგებლობა შეეძლება დაახლოებით 350 000 მოქალაქეს. **პროგრამის ბიუჯეტი 450 მლნ. ლარამდეა.**
- **სხვადასხვა კატეგორიის თვითდასაქმებულები** მიიღებენ ერთჯერად დახმარებას **300 ლარს.** პირების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული იქნება მოქალაქის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდება, რომ ეპიდემიამდე აღნიშნულ მოქალაქეს ჰქონდა შემოსავალი. პროგრამის ბიუჯეტი 75 მლნ. ლარს შეადგენს.
- **სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით, დამსაქმებელი მიიღებს საგადასახადო შეღავათს** - 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. 1500 ლარამდე ხელფასი კი, 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. პროგრამის ბიუჯეტი 250 მლნ. ლარია.
- გარდა ამისა:
  - **ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000 ქულის ჩათვლითაა** - თითო ოჯახზე მიიღებენ საშუალოდ 600 ლარიან დახმარებას, 6 თვეში. აღსანიშნავია, რომ დღეს ეს ოჯახები იღებენ მხოლოდ 16 წლამდე ბავშვებზე არსებულ სოციალურ დახმარებას. **პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 190 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (70 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 50 მლნ. ლარი.**
  - **ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000 ქულის ფარგლებშია და ჰყავთ 3 და მეტი 16 წლამდე ასაკის შვილი** - მიიღებენ ოჯახზე საშუალოდ ჯამურ 600 ლარიან დახმარებას, 6 თვეში. **პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 130 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (22 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 13 მლნ. ლარი.**
  - **მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე შშმ ბავშვები** მიიღებენ ჯამურ 600 ლარიან დახმარებას, 6 თვეში. **ბენეფიციართა რაოდენობა 40 ათასამდე ფიზიკური პირია, ხოლო ბიუჯეტი - 25 მლნ. ლარი.**
- **ზემოაღნიშნულის გარდა, ძალაში დარჩა 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის** 1 ივლისიდან პენსიის დამატებით 30 ლარით დაგეგმილი ზრდა, რომლითაც ისარგებლებს დაახლოებით 410 ათასზე მეტი პენსიონერი.

ამასთან, იგეგმება პენსიების ინდექსაციის წესის შემოღება 2021 წლის იანვრიდან, რომლის მიხედვით:

- ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა, ანუ ფასების ზრდა გავლენას ვეღარ მოახდენს რეალური პენსიის მოცულობაზე;
- 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის ინფლაციას დაემატება რეალური ეკონომიკური ზრდის 80%, ანუ პენსიის ყოველწლიური ზრდა იქნება ინფლაციაზე მაღალი;
- მიუხედავად ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის პარამეტრებისა, პენსიის ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, ხოლო 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის 25 ლარზე ნაკლები.

ასევე, ეპიდემიის დასრულების შემდგომ, იგეგმება სოციალური დახმარებების სისტემის გადახედვა, როგორც ქულების მინიჭების, ისე ფინანსური დახმარების ოდენობის მიმართულებით.

### 3.1.2 ზრუნვა ბიზნესზე

*I ეტაპი*

მოქალაქეებზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპის მსგავსად, ბიზნესზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა გადაუდებელ ღონისძიებებს, პანდემიით გამოწვეული პირველადი ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად. კერძოდ:

- **ბიზნესსუბიექტებს 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი** გადაუვადდათ 2020 წლის 1-ელ ნოემბრამდე - პროგრამის ბიუჯეტი 171 მლნ. ლარს შეადგენს. **გადასახადი უკვე გადაუვადდა 6000-ზე მეტ ეკონომიკურ სუბიექტს.**
- **მცირე სასტუმროებს მიეცათ შესაძლებლობა საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებით ესარგებლათ** - 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები 2020 წლის 1 აპრილიდან იღებენ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას. **პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ. ლარია.**
- **ავტოიმპორტიორებს ავტომობილების განბაჟების გადასახადის** 90-დღიანი ვადა მიმდინარე წლის 1-ელ სექტემბრამდე გადაუვადდათ - **პროგრამის ბიუჯეტი 50 მლნ. ლარია, ხოლო სარგებელი მიიღო 38 000 იმპორტიორმა.**
- **იურიდიულ პირებს, რომლებსაც შეექმნა საბანკო სესხის მომსახურების პრობლემა, შესაძლებლობა მიეცათ მოახდინონ სესხის გამარტივებული რესტრუქტურიზაცია - შესაძლებლობით უკვე ისარგებლა 7 000 იურიდიულმა პირმა.**

*II ეტაპი*

- **ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდება დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება** - წელს ბიზნესი დამატებით მიიღებს **600 მლნ. ლარს.**
- **330 მლნ. ლარი გამოიყოფა საკრედიტო-საგარანტიო სქემის უზრუნველსაყოფად** - აღნიშნული გამოიყენება, როგორც კონტრციკლური მექანიზმი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ლიკვიდობის მართვის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ განაწილებას სახელმწიფოს, კომერციულ ბანკსა და მსესხებლებს შორის. კრიზისის პერიოდში, როდესაც საბანკო სექტორის მხრიდან შემცირებულია რისკის მიმართ ტოლერანტობის ხარისხი. საკრედიტო-საგარანტიო სქემის გამოყენების მთავარი მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სესხის რესტრუქტურიზაციისთვის ან ახალი სესხისთვის, მათ შორის საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისთვის. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მიმართულებები, რომელთაც უშუალოდ შეეხო კრიზისი და ამასთან აქვთ კრიზისის შემდგომ, საშუალოვადიან პერიოდში ოპერირების შედარებით სწრაფი აღდგენის პოტენციალი. სქემის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პირობები კერძო სექტორისთვის, რაც მოიცავს გარანტიის დაფარვის დონის ზრდას როგორც ინდივიდუალური სესხის, ასევე პორტფელის დონეზე, საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს შემცირებას, სესხის მოცულობის ზედა ზღვრის ზრდას და გარანტიის მეტად გამოყენების შესაძლებლობას საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. **სქემის ფარგლებში 2020 წელს გამოყოფილი გარანტიის ოდენობა შეადგენს 330 მლნ. ლარს, რაც რეალურად უზრუნველყოფს დაახლოებით 2 მილიარდის ოდენობის საკრედიტო პორტფელის გარანტიას სახელმწიფოს მხრიდან.**
- **განხორციელდა ცვლილება „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს:**
    - სესხის/(ლიზინგის) თანადაფინანსების პერიოდის **24-დან 36 თვემდე** გაზრდას;
    - საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმის ცვლილებას;
    - საქმიანობის სახეობათა ზრდას;

- სესხის/(ლიზინგის) მინიმალური ზღვრის დაწევას;
- საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას (80%-მდე).

- **ცვლილებები მცირე მეწარმეობის განვითარების საგრანტო კომპონენტში** - გრანტის მოცულობის მაქსიმალური ზღვარი იზრდება 20 000-ლარიდან 30 000-ლარამდე, ხოლო ბენეფიციარის მხრიდან თანადაფინანსების მოთხოვნა მცირდება 20%-დან 10%-მდე.
- **კომერციულ ბანკებს მიეწოდებათ 600 მლნ. ლარის გრძელვადიანი რესურსი** - ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად, მიზანს წარმოადგენს გრძელვადიანი ლარის რესურსის გაჩენა საბანკო სექტორში. ამისათვის, ფინანსთა სამინისტრო გამოუშვებს დამატებით 600 მლნ. ლარის ღირებულების ფასიან ქაღალდებს და მიღებულ თანხას კომერციულ ბანკებში განათავსებს გრძელვადიანი დეპოზიტების სახით.

**საბოლოო ჯამში, COVID-19-თან ბრძოლის ანტიკრიზისული გეგმის 1-ლი და მე-2 ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებების ბიუჯეტი 2020 წლის განმავლობაში მოიცავს:**

- მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური მხარდაჭერა - **1.04 მლრდ. ლარი**
- ეკონომიკაზე ზრუნვა და მეწარმეთა მხარდაჭერა - **1.76 მლრდ. ლარი**
- ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და პანდემიასთან ბრძოლა - **350 მლნ. ლარი.**

როგორც უკვე აღინიშნა, როგორც 2020 წლის ბიუჯეტის, ასევე მომდევნო წლის ბიუჯეტის ფარგლებში ანტიკრიზისულ გეგმაში წარმოდგენილ ჰორიზონტალურ ღონისძიებებთან ერთად, შემუშავებულია და ხორციელდება მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამები ცალკეულ სექტორებში, მათ შორის ტურიზმის **(დანართი 4),** სოფლის მეურნეობის **(დანართი 5)** და დეველოპერული **(დანართი 7)** სექტორების მიმართულებით. ამ ღონისძიებების მიზანია, როგორც მიმდინარე, ასევე მომდევნო წლის განმავლობაში ხელი შეუწყოს სექტორების კრიზისიდან სწრაფად გამოსვლას და გაჯანსაღებას, სექტორებში მოქმედი კომპანიებისა და დასაქმებული ადამიანების მხარდაჭერას.

გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის საფინანსო სექტორზე პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, **საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა დროებითი საზედამხედველო გეგმა და გაატარა მნიშვნელოვანი ფულად-საკრედიტო ღონისძიებები,** რომლებიც სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის და სხვა წამყვანი ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციებთან. ღონისძიებები დეტალურად წარმოდგენილია ანგარიშის **მე-8 დანართში.**

## 4. შეზღუდვების მოხსნა და ეკონომიკის ამოქმედება

ანტიკრიზისული გეგმის განხორციელების პარალელურად, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დაწესებული შეზღუდვების მოხსნისა და ეკონომიკის ეტაპობრივად ამოქმედების გეგმა.

აღნიშნული გეგმა შედგება 6 ეტაპისგან, რომელთა შორის შეზღუდვების მოხსნის შუალედად მოაზრებულ იქნა საშუალოდ 2 კვირა, ხოლო ახალ ეტაპზე გადასვლის ძირითად კრიტერიუმად კი - ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შეფასება. გეგმის ლოგიკის მიხედვით, ხელსაყრელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება შეზღუდვების დაჩქარებულად მოხსნა, ხოლო, თუ ცალკეული ეტაპის შემდეგ, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა უარესდება, უნდა მოხდეს მოხსნილი შეზღუდვების ხელახლა შემოღება ან გადავადდეს ახალ ეტაპზე გადასვლა.

ცალკეული ეტაპით გათვალისწინებული შეზღუდვების მოხსნისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა კი, ვირუსის გავრცელების პრევენცია. შესაბამისად, საწყის ეტაპზე

გათვალისწინებულ იქნა იმ საქმიანობებზე შეზღუდვების მოხსნა, რომლებიც ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით ნაკლებ რისკიანია (მაგ.: საქმიანობები, რომლებიც ხორციელდება ღია სივრცეში).

ზემოაღნიშნული ფაქტორის გარდა, მხედველობაში მიიღება სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, კერძოდ, ცალკეულ სექტორში დასაქმების მაჩვენებლები და საქმიანობის სოციალური სენსიტიურობა (მაგ.: აგრარული ბაზრები), ასევე სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკაში.

შეზღუდვების მოხსნის 6 ეტაპიანი გეგმა განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. **პირველ ეტაპზე** დაიშვება **მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, ტაქსების ოპერირება;** ასევე დაიშვება **ყველა ტიპის საბითუმო და საცალო ონლაინვაჭრობა, მიტანის მომსახურება ნებისმიერ პროდუქტზე, აგრეთვე იმ ღია ტიპის აგრარული ბაზრების** ფუნქციონირება, რომლებსაც გავლილი აქვთ შემოწმება და აკმაყოფილებენ ჯანდაცვის სამინისტროსა და სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს;

2. **მეორე ეტაპზე** დაიშვება **მშენებლობა, სამშენებლო ზედამხედველობასთან დაკავშირებული საქმიანობა და სამშენებლო მასალების წარმოება, ავტოსამრეცხაოების და ავტოსერვისების საქმიანობა სრულად, კომპიუტერების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი**. ასევე, შეზღუდვები იხსნება **სარეკრეაციო სივრცეების ფუნქციონირებაზე;**

3. **მესამე ეტაპზე** დაიშვება **ყველა ტიპის საცალო და საბითუმო მაღაზიების ოპერირება** (მოლების გარდა), რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან, **ყველა ტიპის ღია ბაზრობის** საქმიანობა, **ყველა ტიპის წარმოება და საგამომცემლო საქმიანობა;**

4. **მეოთხე ეტაპზე** დაიშვება **სავაჭრო მოლების** და **ღია ტიპის კვების ობიექტების ფუნქციონირება,** სადაც ასევე უკვე დაშვებული იქნება **ადგილზე მომსახურება; ასევე ყველა ტიპის საფინანსო მომსახურება, სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების** მომსახურება;

5. **მეხუთე ეტაპზე** დაიშვება **დახურული ტიპის ბაზრები და ბაზრობები,** ასევე **ყველა ტიპის რესტორნები და კვების ობიექტები**, სადაც უკვე შესაძლებელი იქნება **ადგილზე მომსახურება;**

6. **მეექვსე ეტაპზე,** დაიშვება შემდეგი საქმიანობები: **ყველა ტიპის გასართობი/სპორტულ-გამაჯანსაღებელი/შემოქმედებითი საქმიანობა/ობიექტები, მათ შორის კინოთეატრები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, მუზეუმები, ღამის კლუბები, სპორტული დარბაზები, აუზები, დაბადების დღის ცენტრები, საბავშვო გასართობი ცენტრები, სათამაშო ბიზნესი** და სხვ. ასევე დაიშვება **სასტუმროების ფუნქციონირება, საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება** და **ყველა სხვა საქმიანობა არადისტანციურ რეჟიმში.**

გეგმის განხორციელება დაიწყო 27 აპრილიდან. აღსანიშნავია, რომ ხელსაყრელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოხდა შეზღუდვების დაჩქარებულად მოხსნა და ცალკეული ეტაპების განხორციელების დროში გადმოწევა.

შეზღუდვების მოხსნის პარალელურად, ძალაში რჩება ვირუსის პრევენციისა და გავრცელების რისკების მინიმიზაციისთვის დადგენილი ისეთი წესები, როგორიცაა სოციალური დისტანცირება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადის ტარების ვალდებულება. ამასთან, აუცილებელია, რომ ყველა იურიდიულმა პირმა, საქმიანობის დაწყებასთან ერთად, უზრუნველყოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი გაიდლაინების შესრულება (შეზღუდვების მოხსნის დეტალური ქრონოლოგია იხილეთ ანგარიშის 1.4 თავში - „მეოთხე ეტაპი - ეტაპობრივი შემსუბუქება და ადაპტაცია“).

# 5. დანართები

## დანართი 1: მიმდინარე სტატისტიკა: 01-03 ივნისი, 2020

1. Covid 19 - უახლესი მონაცემები

| | | |
|---|---|---|
| COVID-19 | ახალი დადასტურებული შემთხვევა | 4 |
| | გარდაცვლილი | 13 |
| | სულ დადასტურებული | 800 |
| | მათ შორის გამოჯანმრთელებული | 640 |
| | სტაციონარში | 304 |
| | კარანტინში | 2 650 |
| | 2 ივნისს კარანტინი დაუსრულდა | 250 |
| | სულ კარანტინი დაუსრულდა | 21 997 |

2. 2 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პირების განთავსება

| | დაუდგინდა COVID 19 | იმყოფება საავადმყოფოში | ბოლო 24 სთ. | იმყოფება თვითიზოლაციაში | ბოლო 24 სთ. | გადაყვანილია საკარანტინო ზონაში | ბოლო 24 სთ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთი | 1 | 97 | 2 | 42 | 1 | 127 | 4 |
| ცხინვალის რეგიონი | 0 | 15 | 0 | 1 | 0 | 10 | 0 |
| სულ | 1 | 112 | 2 | 43 | 1 | 137 | 4 |

3. 3 ივნისის დილის მდგომარეობით, კარანტინიდან და საზღვრიდან დადგენილი Covid 19 - ის შემთხვევები

| კარანტინი | რაოდენობა | საზღვრიდან ჰოსპიტლებში გადაყვანილი ინფიცირებულები |
|---|---|---|
| საქართველოში დაბრუნებული პირები[36] | 98 | 10 |
| შიდა შემთხვევები | 79 | |
| სულ: | 177 | |
| ბოლო 24 საათი | 4 | 0 |

4. 2 ივნისის მდგომარეობით, საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების სტატისტიკა[37]

| საქართველოში შემოსვლის სახე | სულ შემოვიდა | სასაზღვრო პუნქტი | მოქალაქეთა რაოდენობა | შენიშვნა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | რეგულარული რეისი | ჩარტერული რეისი | ავია კომპანია |
| საჰაერო გზით | 7 313 | ქ. თბილისის აეროპორტი | 6 151 | 1 218 | 4933 | „აირზენა“ „ლოტი“ |
| | | ქ. ბათუმის აეროპორტი | 1 162 | 167 | 995 | „აირზენა“ |
| | | | | 1 385 | 5928 | |
| | 5 901 | სარფის სასაზღვრო პუნქტი | 1 495 | საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების/ საკონსულო დეპარტამენტის დახმარებით | | |

[36] საზღვრიდან კარანტინში, პრევენციის მიზნით გადაყვანილი პირები, რომელთაც მოგვიანებით დაუდასტურდათ COVID-19
[37] საგარეო საქმეთა სამინისტრო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახმელეთო გზით | | სადახლოს სასაზღვრო პუნქტი | 2 735 | საელჩოს და საკონსულო დეპარტამენტის კოორდინირებით, ხდება მოქალაქეთა სხვადასხვა ქვეყნებიდან ქ. მინსკში ჩაყვანა და ბელარუსის ავიახაზებით „ბელავია“ გამგზავრება ქ. ერევანში, საიდანაც საქართველოში მოქალაქეთა გადმოყვანა ხდება ავტობუსებით, სომხეთის რესპუბლიკასთან შეთანხმებული კორიდორის გამოყენებით. |
| | | დარიალის სასაზღვრო პუნქტი | 1 113 | საქართველოს ინტერესთა სექციის / საკონსულო დეპარტამენტის დახმარებით |
| | | წითელი ხიდის სასაზღვრო პუნქტი | 558 | საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების/ საკონსულო დეპარტამენტის დახმარებით |
| საზღვაო გზით | 395 | ქ. ბათუმის პორტი | 335 | საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების/ საკონსულო დეპარტამენტის დახმარებით |
| | | ქ. ფოთის პორტი | 60 | საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების/ საკონსულო დეპარტამენტის დახმარებით |
| | | ჯამში: 13 609 მოქალაქე | | |










5. 1 ივნისის დილის მდგომარეობით, საქართველოში არსებული მარაგები

| საქართველოში დამზადებული პირბადეების განაწილება | | |
|---|---|---|
| სულ დამზადებული | 4 787 111 | |
| დარიგებული<br>2 761 990 | პენსიონერები | 80 500 |
| | საცალო ქსელი | 1 828 850 |
| | რეგიონები | 474 300 |
| | საგარეო | 35 300 |
| | კერძო სექტორი | 85 650 |
| თავისუფალი ნაშთი | 2 025 121 | |

6. 2 ივნისს, 144-ზე განხორციელებული ზარები

| 144 | შემოსული ზარები | პასუხგაცემული |
|---|---|---|
| საკონსულტაციო | 3798 | 3736 |
| რეგიონები | 689 | 620 |
| სულ: | **4 487** | **4 356** |

7. 2 ივნისის <u>14:00 საათის მდგომარეობით,</u> 112-დან ოჯახის ექიმთან გადამისამართებული პირების რაოდენობა

| 112-დან ოჯახის ექიმთან გადამისამართებული პირების რაოდენობა | საყურადღებო შემთხვევები | | | ოჯახის ექიმის მონიტორინგის ქვეშ | | არ ესაჭიროება ოჯახის ექიმის მონიტორინგი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გაიგზავნა სასწრაფო | სტაციონარში გადაიყვანეს | | პირების რაოდენობა | აქედან 70 წლის და ზევით | პირების რაოდენობა | აქედან 70 წლის და ზევით |
| | | < 70 | 70 > | | | | |
| 156 | 15 | **10** | | 134 | 12 | 12 | 4 |
| | | **10** | **0** | | | | |

## დანართი 2: შედარებითი მონაცემები ავტომანქანების ნაკადების შესახებ შეზღუდვამდე და შემდეგ პერიოდში

ავტომანქანების ნაკადების შესახებ ინფორმაცია (24 საათის განმავლობაში)




| | შეზღუდვამდე საშ. | 16 მარტი | 17 მარტი | 18 მარტი | 19 მარტი | 20 მარტი | 21 მარტი | 22 მარტი | 23 მარტი | 24 მარტი | 25 მარტი | 26 მარტი | 27 მარტი | 28 მარტი | 29 მარტი | 30 მარტი | 31 მარტი | 1 აპრილი | 2 აპრილი | 3 აპრილი | 4 აპრილი | 5 აპრილი | 6 აპრილი | 7 აპრილი | 8 აპრილი | 9 აპრილი | 10 აპრილი | 11 აპრილი | 12 აპრილი | 13 აპრილი | 14 აპრილი | 15 აპრილი | 16 აპრილი | 17 აპრილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ რუსთაველი | 31336 | 22087 | 16655 | 10800 | 8087 | 7751 | 6633 | 5298 | 5811 | 5707 | 5933 | 6001 | 5988 | 4969 | 4627 | 5555 | 4741 | 4769 | 4581 | 4709 | 4068 | 3733 | 4641 | 5126 | 4893 | 4488 | 4046 | 3004 | 3422 | 4994 | 4946 | 5175 | 4727 | 2126 |
| ▪ ვაჟა-ფშაველა | 13679 | 11540 | 10042 | 10170 | 9805 | 9520 | 7082 | 5097 | 7459 | 7298 | 7220 | 7225 | 7280 | 6065 | 4701 | 7310 | 7089 | 6862 | 6535 | 6839 | 4626 | 4555 | 7027 | 6277 | 6579 | 5580 | 6731 | 5481 | 5281 | 6832 | 6616 | 7050 | 6613 | 3150 |
| ▪ წერეთელი | 24907 | 23732 | 19239 | 20151 | 19457 | 19414 | 15677 | 10885 | 14686 | 14308 | 13913 | 13848 | 14307 | 11899 | 9424 | 14423 | 13911 | 12720 | 12977 | 12846 | 11314 | 9688 | 13765 | 12094 | 12770 | 11627 | 13161 | 11338 | 10732 | 13668 | 13707 | 15442 | 13420 | 5691 |




| | 18 აპრილი | 19 აპრილი | 20 აპრილი | 21 აპრილი | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ რუსთაველი | 1244 | 874 | 951 | 1510 | 2024 | 1979 | 2127 | 1500 | 1095 | 7093 | 7211 | 5580 | 7027 | 7324 | 5550 | 4573 | 6741 | 7561 | 7641 | 7085 | 6185 | 6377 | 4712 | 7757 | 7629 | 8352 | 10106 | 8777 | 6468 | 5604 | 7792 | 7659 | 8166 |
| ▪ ვაჟა-ფშაველა | 1277 | 825 | 1046 | 1978 | 2544 | 2743 | 2735 | 1970 | 1319 | 8292 | 8389 | 8407 | 8117 | 7633 | 6720 | 5554 | 8013 | 8184 | 8158 | 8296 | 8288 | 6727 | 5444 | 8966 | 7823 | 8805 | 9310 | 9427 | 7896 | 6049 | 9884 | 9362 | 9618 |
| ▪ წერეთელი | 2055 | 1221 | 1385 | 2760 | 3579 | 3922 | 4025 | 3083 | 2185 | 16841 | 15964 | 15068 | 14476 | 14585 | 13373 | 11315 | 15656 | 15693 | 14920 | 15502 | 15689 | 13296 | 10949 | 19565 | 17950 | 20639 | 19651 | 20194 | 18059 | 14781 | 21987 | 21015 | 21218 |

# ავტომანქანების ნაკადების შესახებ ინფორმაცია (24 საათის განმავლობაში) II

## ქუთაისი / ბათუმი



| | შეზღუდვამდე საშ | 16 მარტი | 17 მარტი | 18 მარტი | 19 მარტი | 20 მარტი | 21 მარტი | 22 მარტი | 23 მარტი | 24 მარტი | 25 მარტი | 26 მარტი | 27 მარტი | 28 მარტი | 29 მარტი | 30 მარტი | 31 მარტი | 1 აპრილი | 2 აპრილი | 3 აპრილი | 4 აპრილი | 5 აპრილი | 6 აპრილი | 7 აპრილი | 8 აპრილი | 9 აპრილი | 10 აპრილი | 11 აპრილი | 12 აპრილი | 13 აპრილი | 14 აპრილი | 15 აპრილი | 16 აპრილი | 17 აპრილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ ქუთაისი (რუსთაველის გამზ.) | 17194 | 14721 | 13193 | 12737 | 12231 | 12278 | 9843 | 7896 | 10325 | 10324 | 10270 | 10350 | 10182 | 8630 | 7468 | 10083 | 9076 | 8922 | 8600 | 9149 | 7384 | 6493 | 9237 | 8429 | 7721 | 7191 | 9837 | 7523 | 6162 | 9372 | 10281 | 12692 | 7537 | 3789 |
| ▪ ბათუმი (გორგილაძის ქუჩა) | 8036 | 7155 | 6328 | 6142 | 5798 | 5546 | 4405 | 3731 | 4783 | 4052 | 4285 | 4098 | 4514 | 3698 | 2949 | 3930 | 3832 | 3417 | 3480 | 3584 | 3191 | 2827 | 4062 | 3702 | 4119 | 3367 | 4022 | 3683 | 3169 | 4359 | 4388 | 4650 | 3562 | 1562 |

## ქუთაისი / ბათუმი



| | 18 აპრილი | 19 აპრილი | 20 აპრილი | 21 აპრილი | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ ქუთაისი (რუსთაველის გამზ.) | 1572 | 975 | 1160 | 2247 | 2854 | 2945 | 3053 | 2470 | 1693 | 13228 | 11588 | 8569 | 9122 | 9846 | 8280 | 6837 | 10600 | 12044 | 10526 | 11012 | 11613 | 9563 | 8670 | 12971 | 10918 | 13798 | 13062 | 13455 | 11368 | 10181 | 14644 | 14100 | 14177 |
| ▪ ბათუმი (გორგილაძის ქუჩა) | 596 | 360 | 422 | 845 | 1034 | 1213 | 1262 | 977 | 695 | 5133 | 5015 | 4737 | 4653 | 4954 | 4606 | 4212 | 4932 | 5309 | 4884 | 5531 | 5052 | 4539 | 4224 | 6337 | 5984 | 6274 | 6374 | 6636 | 5458 | 5265 | 6859 | 6776 | 7284 |

StopCoV.ge

# ჩაკეტილ ქალაქებში ავტოტრანსპორტის შესვლა-გასვლის სტატისტიკური მონაცემები

StopCoV.ge

## თბილისი

| | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსვლა | 12066 | 12845 | 13033 | 10581 | 7242 | 56140 | 57013 | 25146 | 26723 | 28576 | 25049 | 21635 | 32368 | 32510 | 30212 | 30425 | 30360 | 25008 | 18813 | 48461 | 43600 | 49090 | 51821 | 53583 | 51894 | 44336 | 50735 | 56168 | 59350 |
| გასვლა | 11622 | 12161 | 12816 | 10321 | 6774 | 48820 | 48187 | 22466 | 23409 | 25663 | 23393 | 18424 | 27888 | 29152 | 27619 | 27076 | 28117 | 24588 | 15546 | 42666 | 40698 | 43587 | 48391 | 53275 | 55224 | 39469 | 44793 | 48475 | 54481 |

## რუსთავი

| | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსვლა | 2938 | 3020 | 3124 | 2348 | 1786 | 11385 | 12570 | 4527 | 4683 | 5212 | 4304 | 3456 | 5954 | 6067 | 5920 | 5661 | 6334 | 4474 | 3566 | 7501 | 6144 | 7533 | 15272 | 15725 | 13055 | 11518 | 16410 | 15196 | 15762 |
| გასვლა | 2194 | 2453 | 2370 | 1775 | 1354 | 9673 | 11222 | 3340 | 3707 | 4196 | 3351 | 2672 | 4801 | 5001 | 4685 | 4697 | 5238 | 3662 | 2955 | 6367 | 4767 | 6174 | 13178 | 13852 | 11465 | 9667 | 14256 | 13355 | 13523 |

## ქუთაისი



| | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსვლა | 3185 | 3395 | 3657 | 2812 | 2290 | 13909 | 14239 | 5920 | 6396 | 7077 | 7527 | 6516 | 7036 | 12257 | 10599 | 13173 | 14680 | 12256 | 10556 | 14746 | 13497 | 15631 | 13590 | 14139 | 13470 | 14085 | 13859 | 14834 | 13342 |
| გასვლა | 5947 | 6240 | 6214 | 5444 | 3933 | 24627 | 26845 | 11383 | 12328 | 13917 | 12515 | 11091 | 13699 | 21994 | 19840 | 20589 | 22191 | 20350 | 17677 | 24263 | 23648 | 27288 | 26903 | 28281 | 27919 | 25647 | 26988 | 26955 | 26183 |

## ბათუმი



| | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსვლა | 2816 | 2927 | 2842 | 2487 | 1860 | 11529 | 12981 | 5473 | 5752 | 6139 | 5631 | 5252 | 6383 | 10327 | 9749 | 10529 | 9452 | 10236 | 9812 | 11716 | 11802 | 12461 | 12402 | 13016 | 12620 | 12023 | 13060 | 13372 | 13456 |
| გასვლა | 2888 | 2820 | 2864 | 2649 | 1828 | 11774 | 12569 | 5634 | 6189 | 6388 | 6117 | 5316 | 6677 | 10522 | 9592 | 10533 | 9994 | 10807 | 9446 | 11875 | 11759 | 12308 | 12384 | 12808 | 13072 | 11573 | 12726 | 13167 | 13545 |

StopCoV.ge

## კომენდანტის საათის პერიოდში ავტომანქანების ნაკადების შესახებ ინფორმაცია I




| | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ რუსთაველი | 201 | 263 | 229 | 244 | 251 | 333 | 169 | 149 | 263 | 259 | 232 | 249 | 206 | 244 | 156 | 250 | 200 | 272 | 208 | 242 | 198 | 223 | 230 | 263 | 275 |
| ▪ ვაჟა-ფშაველა | 89 | 147 | 181 | 173 | 153 | 148 | 99 | 107 | 190 | 136 | 156 | 149 | 152 | 128 | 82 | 180 | 157 | 178 | 155 | 203 | 120 | 167 | 151 | 191 | 170 |
| ▪ წერეთელი | 105 | 131 | 132 | 132 | 119 | 134 | 112 | 113 | 145 | 131 | 128 | 116 | 104 | 112 | 120 | 102 | 125 | 129 | 171 | 132 | 126 | 134 | 180 | 164 | 132 |




| | 31 მარტი | 1 აპრილი | 2 აპრილი | 3 აპრილი | 4 აპრილი | 5 აპრილი | 6 აპრილი | 7 აპრილი | 8 აპრილი | 9 აპრილი | 10 აპრილი | 11 აპრილი | 12 აპრილი | 13 აპრილი | 14 აპრილი | 15 აპრილი | 16 აპრილი | 17 აპრილი | 18 აპრილი | 19 აპრილი | 20 აპრილი | 21 აპრილი | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ რუსთაველი | 281 | 316 | 266 | 298 | 154 | 225 | 250 | 285 | 239 | 240 | 237 | 188 | 151 | 244 | 234 | 218 | 243 | 199 | 259 | 154 | 180 | 213 | 258 | 254 | 231 | 214 |
| ▪ ვაჟა-ფშაველა | 119 | 149 | 131 | 150 | 76 | 99 | 123 | 127 | 129 | 142 | 164 | 106 | 70 | 165 | 156 | 153 | 166 | 151 | 138 | 118 | 86 | 166 | 155 | 142 | 151 | 138 |
| ▪ წერეთელი | 141 | 147 | 134 | 152 | 114 | 215 | 97 | 119 | 148 | 137 | 97 | 119 | 103 | 141 | 103 | 107 | 119 | 146 | 149 | 97 | 114 | 119 | 101 | 140 | 123 | 109 |

# კომენდანტის საათის პერიოდში ავტომანქანების ნაკადების შესახებ ინფორმაცია II

## ქუთაისი / ბათუმი



| | 26 აპრილი | 27 აპრილი | 28 აპრილი | 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი | 6 მაისი | 7 მაისი | 8 მაისი | 9 მაისი | 10 მაისი | 11 მაისი | 12 მაისი | 13 მაისი | 14 მაისი | 15 მაისი | 16 მაისი | 17 მაისი | 18 მაისი | 19 მაისი | 20 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ ქუთაისი (რუსთაველის გამზ.) | 100 | 89 | 122 | 123 | 112 | 124 | 137 | 109 | 123 | 125 | 110 | 129 | 110 | 132 | 78 | 149 | 148 | 146 | 179 | 139 | 152 | 132 | 138 | 142 | 146 |
| ▪ ბათუმი (გორგილაძის ქუჩა) | 28 | 36 | 43 | 50 | 40 | 36 | 32 | 38 | 41 | 48 | 41 | 48 | 35 | 44 | 47 | 68 | 64 | 46 | 48 | 49 | 46 | 54 | 52 | 55 | 57 |

## ქუთაისი / ბათუმი



| | 31 მარტი | 1 აპრილი | 2 აპრილი | 3 აპრილი | 4 აპრილი | 5 აპრილი | 6 აპრილი | 7 აპრილი | 8 აპრილი | 9 აპრილი | 10 აპრილი | 11 აპრილი | 12 აპრილი | 13 აპრილი | 14 აპრილი | 15 აპრილი | 16 აპრილი | 17 აპრილი | 18 აპრილი | 19 აპრილი | 20 აპრილი | 21 აპრილი | 22 აპრილი | 23 აპრილი | 24 აპრილი | 25 აპრილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ▪ ქუთაისი (რუსთაველის გამზ.) | 101 | 130 | 140 | 99 | 129 | 102 | 109 | 123 | 147 | 104 | 107 | 101 | 103 | 145 | 121 | 94 | 110 | 114 | 144 | 94 | 113 | 92 | 135 | 95 | 114 | 105 |
| ▪ ბათუმი (გორგილაძის ქუჩა) | 44 | 49 | 49 | 40 | 34 | 41 | 32 | 44 | 60 | 40 | 41 | 32 | 37 | 28 | 42 | 30 | 40 | 21 | 28 | 23 | 29 | 25 | 31 | 27 | 52 | 49 |

## დანართი 3: ქალაქებში ავტომობილების შესვლა/გასვლის სტატისტიკა

| ქალაქებში ავტომობილების შესვლა/გასვლის სტატისტიკა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქალაქი | საშუალოდ 24 საათში ჩაკეტვამდე | | საშუალოდ 24 საათში ჩაკეტვის შემდგომ | |
| | შემოსვლა | გასვლა | შემოსვლა | გასვლა |
| თბილისი | 54521 | 55400 | 12185 | 11250 |
| რუსთავი | 17550 | 12750 | 2830 | 2199 |
| ქუთაისი | 13477 | 14420 | 3288 | 3150 |
| ბათუმი | 7700 | 7520 | 2780 | 2777 |

| ავტომანქანების ნაკადების შესახებ ინფორმაცია თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ცენტრალურ ქუჩებზე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პერიოდი | თბილისი | | | ქუთაისი | ბათუმი |
| | რუსთაველი | ვაჟა ფშაველა | წერეთელი | რუსთაველის გამზირი | გორგილაძის ქუჩა |
| საგნამგებომდე | 31336 | 13679 | 24907 | 17194 | 8036 |
| საგანგებოს (კომენდანტის საათის) დროს | 5267 | 6455 | 13113 | 8923 | 4180 |
| 17-27 აპრილი (საშუალო) | 1543 | 1959 | 2991 | 2276 | 897 |

## დანართი 4: ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა

პანდემიამდე პერიოდში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორი იყო, რომლის წილიც მშპ-ში 11.5%-ს შეადგენდა, ხოლო ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა 150 ათას ადამიანს აჭარბებდა (2019 წლის მონაცემებით).

პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად სწორედ ეს სექტორი დაზარალდა. შესაბამისად, ტურიზმის მხარდასაჭერად მთავრობის მიერ საგანგებოდ შემუშავდა მიზნობრივი ღონისძიებები, რომელთა მიზანია დაეხმაროს ინდუსტრიას კრიზისის გადალახვასა და აღდგენაში. კერძოდ:

- ტურიზმის ინდუსტრიის სუბიექტები 2020 წელს სრულად თავისუფლდებიან ქონების გადასახადისაგან, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გადავადება ხდება წლის ბოლომდე. ამ მიზნით, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისთვის გამოყოფილია 45 მლნ. ლარი, ხოლო, ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპის ღონისძიებით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების და გადავადებისთვის - 90 მლნ. ლარი.
- მთავრობა 6 თვის განმავლობაში მოახდენს სესხის პროცენტის 80%-ის სუბსიდირებას 20 მილიონზე ნაკლები ბრუნვის მქონე სასტუმროებისთვის, რაც წარმოადგენს ქართული სასტუმრო ინდუსტრიის უდიდეს ნაწილს. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 60 მლნ. ლარს და პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერა შეეხება 3 000 სასტუმროს.
- კვების ობიექტები ჩაერთვებიან საკრედიტო-საგარანტიო სქემაში, რითაც მათ საშუალება მიეცემათ მოაგვარონ ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემები და დააფინანსონ ოპერაციული ხარჯები.
- ტურისტული კომპანიებისთვის/ტუროპერატორებისთვის მთავრობა მოახდენს საბანკო გარანტიის პროცენტის სუბსიდირებას 6 თვის განმავლობაში.
- მთავრობა ასევე განახორციელებს სპეციალურ აქტივობებს გიდებისა და სხვა პროფესიული ტურისტული სერვისების სწრაფი აღდგენის უზრუნველსაყოფად. საქართველოს მთავრობა მოახდენს ტურისტულ გამოფენებზე თანამონაწილეობის თანხების სუბსიდირებას. ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერისთვის გამოყოფილია 5 მლნ ლარი.

ჯამში, ზემოაღნიშნული ღონისძიებების ჯამური ბიუჯეტი 200 მლნ. ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, უკვე განისაზღვრა ტურიზმის ინდუსტრიის ამოქმედების 3-ეტაპიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება ინდუსტრიის მომზადება ახალ პირობებში ოპერირებისთვის. 15 ივნისიდან მოხდება შიდა ტურიზმის აღდგენა, ხოლო 1 ივლისიდან დაგეგმილია საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლის აღდგენა.

## დანართი 5: სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელზეც ქვეყანაში დასაქმებული მოსახლეობის 39% მოდის (2018 წლის მონაცემებით). შესაბამისად, მნიშვნელოვანია პანდემიის გამოწვევების გასამკლავებლად დარგის სახელმწიფო მხარდაჭერა.

პანდემიის საპასუხოდ შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა - ფერმერების დახმარების უპრეცედენტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლისთვის გათვალისწინებულია ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. მთავრობის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს ის ზიანი, რომელიც ქვეყანაში გლობალურმა კრიზისმა შექმნა.

აღნიშნული მიზნებისთვის მოხდა 300 მლნ. ლარის (საბანკო სექტორის მიერ გაცემული 50 მლნ. ლარი სასესხო პორტფელის ჩათვლით იხ. ქვემოთ) ღირებულების მხარდაჭერის პაკეტის ფორმირება, რათა პანდემიით შექმნილ კრიზისულ ვითარებაში სოფლის მეურნეობაში ჩართულმა თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს სახელმწიფოსაგან დახმარება. კერძოდ:

- მობილიზებულია 37 მლნ. ლარი, რითაც ფერმერები შეიძენენ სასუქებს, მცენარეთა დაცვისა და მოვლის საშუალებებს, სათესლე და სარგავ მასალებს, გადაიხდიან ხვნის სამუშაოების საფასურს.
    - იწყება ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა ფიზიკურ და იურიდიული პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით). პროექტის ფარგლებში, არა უმეტეს 10 ჰექტრისა ერთიანი მიწის ნაკვეთებისთვის სუბსიდია შეადგენს მაქსიმუმ 2000 ლარს. პროგრამით ისარგებლებს 200,000-მდე ფერმერი, ხოლო პროგრამის ბიუჯეტი 37 მლნ. ლარია.
    - სახელმწიფო ეხმარება იმ პირებს, ვინც ფლობს 0.25-10.0ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწას და მისი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ან დაარეგისტრირებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის წახალისების მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები, ახალი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად იყიდიან, ხოლო საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. აღნიშნული შეღავათით ისარგებლებს 200,000-მდე ფერმერი, რომლებსაც 40 მლნ. ლარამდე თანხა დაეზოგებათ.
- ფერმერებს სრულად ჩამოეწერებათ 8 მლნ. ლარის ოდენობის ის დავალიანებები, რომლებიც სამელიორაციო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო 2012-2019 წლებში დაუგროვდათ. მიმდინარე წელს, ფერმერების მიერ სამელიორაციო მომსახურების 1 ჰექტარზე 75 ლარამდე საფასურს სახელმწიფო გადაიხდის - ჯამში 5 მლნ. ლარს.
- გარდა ამისა, სახელმწიფო უზრუნველყოფს გაზრდილ ფინანსურ თანამონაწილეობას დარგის განვითარებისთვის შემუშავებულ სახელმწიფო პროგრამებში. ვინაიდან კრიზისული ვითარების დროს რთულდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ფერმერებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნის მიზნით „შეღავათიანი აგროკრედიტის“ სახელმწიფო პროგრამას დაემატა შემდეგი ახალი კომპონენტები:
    - **მემცენარეობის საბრუნავი საშუალებების დაფინანსების მიზნით დაიწყება** სესხების გაცემა 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო **სახელმწიფო მოახდენს 6 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში,**

არაუზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში კი - წლიური 17%-ის მოცულობით. აღნიშნული მეტ სტიმულს მისცემს ფერმერებს, რათა დაამუშაონ მიწები და მოიყვანონ ერთწლოვანი კულტურები. **პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 50 მლნ. ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო თანხა შეადგენს 4.5 მლნ. ლარს. პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს 5,000 პოტენციურ ბენეფიციარს.**

- ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი. არსებული წლიური **8%-ის** ნაცვლად სახელმწიფო ფერმერს დაუფინანსებს **11%-ს** 48 თვის განმავლობაში. იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც - ნაცვლად არსებული **9%-ისა,** იქნება **12%.** ძირითადი საშუალებების კომპონენტსა და მის ყველა ქვეკომპონენტში იზრდება ბანკებისთვის დაწესებული პროცენტის ზედა ზღვარი - ნაცვლად **15%-ისა,** იქნება **18%.** ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება **25 მლნ. ლარი.** 2 წლის განმავლობაში წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო ჯამური თანხაა **4 მლნ. ლარი**.
- **შეიქმნა მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი ხორცის წარმოების მიმართულების მეცხოველეობისა და მეთხილეობისთვის საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემულ სესხებზე.** კომპონენტის ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არა უმეტეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სახელმწიფოს მიერ სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 18 თვის განმავლობაში.
- **იწყება სასურსათო მრეწველობის დაფინანსება**. სესხი გაიცემა 1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, რომლის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სახელმწიფო მოახდენს წლიური 10%-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. არსებულ მიზნობრიობებს ემატება ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების, პურისა და პურპროდუქტების წარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება. პროექტს ემატება აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება 12% იქნება 24 თვის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში, ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება **20 მლნ.** ლარი. **0.5 მლნ. ლარის ბიუჯეტის ოდენობით ანაზღაურდება მეორადი უზრუნველყოფის ფარგლებში.**

- პირველადი წარმოების ხელშეწყობის მიზნით, განახლდება „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის და ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა/მონტაჟის თანადაფინანსებას, ასევე ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ან/და არსებული სასათბურე მეურნეობის გაფართოება/მოდერნიზებისთვის საჭირო შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენას. სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 50%-ს, მაგრამ არა უმეტეს 50,000 ლარისა. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10 მლნ. ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.
- იწყება სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართათვის ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიანი ქართული აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას. პროგრამის ბიუჯეტი 1.5 მლნ. ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ თანადაფინანსებას სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების მიმართულებით.
- აგროდაზღვევის პროგრამაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, პროგრამა სამწლიანი გახდა. შესაბამისად, მრავალწლოვანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დააზღვიონ საკუთარი მოსავალი 3 კალენდარული წლის განმავლობაში. სადაზღვევო პოლისი ფარავს ისეთ სადაზღვევო რისკებს, როგორიცაა: სეტყვა, წყალდიდობა,

ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტი შეადგენს 9 მლნ. ლარს. მიმდინარე წელს იგეგმება 15,000-ზე მეტი სადაზღვევო პოლისის გაცემა და 12,000 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზღვევა.

- იწყება „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება. ინიციატივის მიზანია დივერსიფიცირებული და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბება და განვითარება შესაბამისი ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია სოფლად რძის მცირე წარმოების განვითარების ხელშეწყობა - ახალი სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა. დაფინანსება განხორციელდება პროექტის ღირებულების 40%-დან 80%-მდე თანადაფინანსებით, ხოლო თანხობრივი ლიმიტები მერყეობს 8000 ლარიდან 195 000 ლარამდე. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 42 მლნ. ლარს.
- პრიორიტეტული ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. ამოქმედდა პროგრამა, რომლითაც  სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დაუფინანსდებათ აღჭურვილობა, რომლის საშუალებით წარმოებული პროდუქცია დამზადდება ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სარეალიზაციო ფორმით. პროგრამა ასევე დაეხმარება კოოპერატივებს სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და წარმოებული პროდუქციის  ბრენდირების მიმართულებითაც.
- სოფლის ბაზრისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაჩქარდება მიწის სისტემური რეგისტრაცია -  2020-2022 წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოხდება 1.2 მლნ. მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია.

## დანართი 6: განათლების ანტიკრიზისული გეგმა

პანდემიის შედეგად განათლების სექტორს დიდი გამოწვევები აქვს გლობალურ დონეზე. ამ ფონზე, ეკონომიკის მსგავსად, კრიზისს ასევე შეუძლია გრძელვადიანი ნეგატიური შედეგების მოტანა განათლების სექტორისთვისაც. საქართველო არის ერთი-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც პრევენციის მიზნით ადრეული პასუხი გასცა პანდემიასთან ბრძოლას და პირველივე ეტაპზე შეაჩერა საგანმანათლებლო პროცესი.

ამ ვითარებაში, მთავრობის მთავარი მიზანი იყო განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის. შესაბამისად, განათლების პროცესის უწყვეტობის მიზნით, მთავრობამ დანერგა დისტანციური მეთოდებით სწავლება, ხოლო შედეგად, სემესტრი შედგა და მოსწავლეები მომდევნო კლასებში გადავლენ.

**დისტანციური სწავლების განვითარების კუთხით** უზრუნველყოფილია შემდეგი ღონისძიებები:

- 30 მარტიდან მთავრობამ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად დაიწყო პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც მოიცავს **ტელეგაკვეთილებს ყველა საგანში I-XII კლასების მოსწავლეებისთვის**. ამ პროექტით საქართველოს განათლების სისტემამ იზრუნა დისტანციური სწავლების საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ტელეგაკვეთილებს ატარებენ სხვადასხვა საგნის გამოცდილი პედაგოგები როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან, ხოლო სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციებით, გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესები.

- „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შეიქმნა Microsoft Office 365-ის **600 000** სამომხმარებლო ანგარიში **საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლის, მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლისთვის.** აღნიშნულ პლატფორმაზე შექმნილია ვირტუალური საკლასო ოთახი, სადაც ყველა სკოლისა და ყველა კლასის მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს თანაკლასელებთან ერთად ჩართული იყოს სასწავლო პროცესში.

- ერთ-ერთ ალტერნატიულ საკომუნიკაციო საშუალებად საჯარო სკოლებში დაინერგა ქართული პლატფორმა “Feedc Edu”.

- პროფესიული განათლების კუთხით, ჩამოყალიბდა 17 დარგობრივი ქსელი, ონლაინპლატფორმები, რომლებშიც გაერთიანდნენ ერთი პროფესიის მასწავლებლები (მაგ., სოფლის მეურნეობის ქსელი, ტურიზმის ქსელი, სამშენებლო პროფესიათა ქსელი და სხვ.). მათ მიერ მიმდინარეობს პროგრამების იმ კომპონენტების ანალიზი, რომელთა მიწოდებაც შესაძლებელია დისტანციურ რეჟიმში.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ონლაინსწავლებასთან შესაბამისობის მიზნით, მოხდა სასწავლო გეგმების მოდიფიცირება, გადაიხედა სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები.
- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესს ახორციელებენ სრულად დისტანციურ რეჟიმში, სინქრონული და ასინქრონული მეთოდებით** და ხელმძღვანელობენ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციისა (ENQA) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა დისტანციურ სწავლებას განიხილავს როგორც სწავლების შეუფერხებლად გაგრძელების საშუალებას. ამისთვის, შემუშავდა განათლების ყველა საფეხურის მოსწავლისთვის 2019-2020 სასწავლო წლის შეფასების ახალი მოდელი, რომელიც გულისხმობს

თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს აკადემიური სტანდარტის შენარჩუნებასა და დაცვას. ახალი მოდელის საფუძველზე მოხდება მოსწავლეების შეფასება და წლიური ქულის განსაზღვრა.

პროფესიული განათლების ფარგლებში, კოლეჯების ადმინისტრაციები დისტანციურად ემზადებიან საშემოდგომო მიღებისთვის, ამუშავებენ პროგრამებს და გადიან ონლაინავტორიზაციას ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანგებოდ შექმნილი მექანიზმის მეშვეობით.

პროფესიულ სასწავლებლებში გრძელვადიან პროგრამებზე მიღება დაიწყო 20 მაისიდან, ხოლო სწავლა დაიწყება 12 ოქტომბრიდან. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდისთვის მთავრობა უზრუნველყოფს ჩარიცხვის წესის ცვლილებას ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით. იგეგმება 8 700-მდე ადგილის შეთავაზება.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აბიტურიენტთა ინტერესების გათვალისწინებით, **30 აპრილამდე გახანგრძლივდა რეგისტრაციის ვადა ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და სტუდენტთა საგრანტო გამოცდებისთვის.**

მთავრობა აქტიურად მუშაობს საგამოცდო პროცესის უსაფრთხოდ ჩატარების გეგმაზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების თარიღების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება ქვეყნის ეპიდმდგომარეობა.

უნივერსიტეტებში ფინალური გამოცდების არადისტანციურად ჩატარების შემთხვევაში, საგამოცდო სივრცეები მოეწყობა უსაფრთხოდ, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილი არიან პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები ჩაატარონ არადისტანციურ რეჟიმში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული უსაფრთხოების რეკომენდაციების შესაბამისად.

**გადავადდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადები.**

უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს შესაბამისი გზამკვლევები და ვიდეოინსტრუქციები სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. შუალედური და ფინალური შეფასებების მექანიზმი განსაზღვრულია უნივერსიტეტების მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადი გადავადებულია ან შეთავაზებულია გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი. **მთავრობა სრულად უზრუნველყოფს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის განსაზღვრული გრანტების, სტიპენდიებისა და პროგრამების დაფინანსებას.**

აღსანიშნავია, რომ პანდემიის ფარგლებში განათლების უწყვეტობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები აღიარებულ იქნა საერთაშორისო დონეზე, მათ შორის კორპორაცია „მაიკროსოფტის“ (Microsoft) განათლების მიმართულების ვიცე-პრეზიდენტის და UNICEF-ის საქართველოს წარმოამდგენლობის მიერ. ხოლო, **OECD-ის მიერ COVID-19-ით შექმნილი გამოწვევების დაძლევის კუთხით, საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის შეფასებული.**

აგრეთვე, პანდემიის პირობებში ქვეყნის **სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუციებმა და მთლიანად მეცნიერებამ როგორც დარგმა, მოახერხა გადაწყობა და COVID-19 პრევენციული ღონისძიებებისთვის საჭირო პროდუქციის წარმოებაში ჩართვა.** კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ

ყოფილი „ანალიზხელსაწყოს“ ბაზაზე მოეწყო პირბადეების წარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა შესაბამისი ტექნოლოგიური ხაზი და დაიწყო წარმოება. სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს კვლევებში, რომლებიც დაკავშირებულია პირველადი სამედიცინო და ჰიგიენური დაცვის აქსესუარებით, ეფექტური სადეზინფექციო საშუალებებით უზრუნველყოფასთან, ვირუსის დესტრუქციასთან. აგრეთვე, ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ჩაერთო პანდემიის პრევენციის პლატფორმის მიერ მხარდაჭერილ საერთაშორისო ინტერდისციპლინურ პროექტში „საქართველოს რეალობა: სამეცნიერო კვლევების მდგრადობა პანდემიის COVID-19 დროს“, რომლის მიზანია მსოფლიო სამეცნიერო წრეების კონსოლიდირებული ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა.

## დანართი 7: დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის გეგმა

დეველოპერული სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია, რომლის პირდაპირი და ირიბი წილი მშპ-ში **9%**-ს შეადგენს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 120 ათას ადამიანს აჭარბებს (2019 წლის მონაცემებით). გარდა ამისა, დეველოპერული სექტორი ხასიათდება მაღალი გადადინებითი ეფექტით ეკონომიკის სხვა სექტორებზეც.

სექტორზე გაცემული საბანკო სესხების პორტფელის მოცულობა შეადგენს 1.2 მლრდ. ლარს, ხოლო საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საბანკო სესხების პორტფელი - თითქმის 8 მლრდ. ლარს. საერთო ჯამში, სექტორზე გაცემული სესხებისა და იპოთეკური სესხების პორტფელის მოცულობა შეადგენს 9.2 მლრდ. ლარს (მშპ-ის 18%-ს).

პანდემიის შედეგად შემცირებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ, ასევე ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლების გაუარესებამ გამოიწვია სექტორის წინასწარი გაყიდვების მნიშვნელოვანი კლება (მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობის შემცირების შედეგად), გაიზარდა სამშენებლო პროექტების დასრულების რისკები, შემცირებული გაყიდვების შესაბამისად, ასევე საკრედიტო რისკების ზრდის პარალელურად, სექტორის წარმომადგენლებს შეუმცირდათ წვდომა კაპიტალზე. შესაბამისად, გაიზარდა უძრავ ქონებაზე ფასების მნიშვნელოვანი მერყეობის რისკები. აღნიშნულმა. თავის მხრივ, შესაძლოა შექმნას საბანკო პორტფელის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესების რისკები, რაც სისტემურ საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორს პორტფელის მნიშვნელოვანი მოცულობიდან გამომდინარე.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ, ეროვნულ ბანკთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავა დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის ღონისძიებები, რომელიც, ერთი მხრივ, მიმართულია საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სტიმულირებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სექტორისთვის კრიზისის პერიოდში ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. კერძოდ:

- **სახელმწიფო ასუბსიდირებს იპოთეკური სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნომინალური საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 4%-ისა** - სახელმწიფოს მიერ სუბსიდიის მოცულობა შემცირდება რეფინანსირების განაკვეთის შემცირების მოცულობით. სუბსიდია გაგრძელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში და ამ პერიოდში შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ რეფინანსირების განაკვეთი განისაზღვრა 5%-ზე ნაკლები ოდენობით.
- **სახელმწიფო გარანტია იპოთეკური სესხების პორტფელზე 01/06/2020 – 01/01/2021 პერიოდში გაცემულ იპოთეკურ სესხზე** - სესხის დეფოლტის გარანტია განისაზღვრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის მოცულობის 20%-ზე და გრძელდება 5 წლის განმავლობაში. გარანტია გავრცელდება ისეთ სესხებზე, რომლებზეც მსესხებლის თანამონაწილეობა არის არანაკლებ 10%-ისა. მნიშვნელოვანია, რომ სესხის დეფოლტის შემთხვევაში, სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის შემდეგ, პირველ რიგში დაკმაყოფილდება კომერციული ბანკის მოთხოვნა კრედიტორი ფიზიკური პირის მიმართ. მხოლოდ უზრუნველყოფის სარეალიზაციო ღირებულებასა და ვალდებულებას შორის არსებული ზედმეტობის შემთხვევაში კმაყოფილდება სახელმწიფოს საგარანტიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნა.
- **სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი უძრავი ქონების ერთჯერადი შესყიდვა**, რაც გულისხმობს 150 მლნ. ლარის ღირებულების საცხოვრებელი უძრავი ქონების შესყიდვას 01/06/2020 – 01/01/2021 პერიოდში. აღნიშნული შესყიდვა განხორციელდება აუქციონის წესით. სახელმწიფო შესყიდულ ქონებას გამოიყენებს დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პროგრამის ფარგლებში.
- **საცხოვრებელი უძრავი ქონების პროექტის დასრულების სახელმწიფო საგარანტიო სქემის შექმნა,** რომლის ფარგლებშიც შეიქმნება 200 მლნ. ლარის ბიუჯეტის მქონე სპეციალური სახელმწიფო

პროგრამა და ამით სახელმწიფო დააზღვევს მიმდინარე სამშენებლო პროექტების დასრულების რისკებს.

## დანართი 8: დროებითი საზედამხედველო გეგმა და ფულად-საკრედიტო ღონისძიებები

1. **კაპიტალის ღონისძიებები (ზრდის გადავადება; pillar 2-ის შემცირება)**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში - სებ) დროებით გადაავადა მარტში დაგეგმილი პირველადი კაპიტალის ზრდა (საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერისთვის) საბანკო სისტემისთვის, რაც დაახლოებით პირველადი კაპიტალის დამატებით 274 მლნ. ლარით ზრდას გულისხმობდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საზედამხედველო გეგმის თანახმად, კომერციულ ბანკებს შეუმსუბუქდათ კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2,5%-ის ოდენობით) და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას. აღნიშნულმა საბანკო სექტორს გამოუთავისუფლა 1,6 მლრდ. ლარის ოდენობის კაპიტალი, რაც შეიძლება მიმართული იქნეს პოტენციური ზარალების გასანეიტრალებლად ან ეკონომიკის 16 მლრდ. ლარით დასაკრედიტებლად.

დღეის მდგომარეობით, ჯამურად საბანკო სექტორს მინიმალური მოთხოვნების ზევით აქვს 3.4 მლრდ. ლარის კაპიტალის ბუფერი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება სრულად გამოთავისუფლდეს.

ეროვნული ბანკის მიერ კაპიტალის მოთხოვნების შემსუბუქება გამოყენებული უნდა იქნეს მოსალოდნელი ზარალის გასანეიტრალებლად და ეკონომიკის დასაკრედიტებლად. ბანკებს აეკრძალათ ამ კაპიტალის გამოყენება დივიდენდის, აქციების გამოსყიდვის, წილობრივი ინვესტიციების, მენეჯმენტის ბონუსების ზრდის ან სხვა ისეთი გადახდების განხორციელება, რომლებიც ბანკის კაპიტალს შეამცირებს.

2. **მსხვილი რისკების Tier 1-ზე დათვლის ლიმიტის გადავადება**

2020 წლის ივნისში ასამოქმედებელი „რისკის პოზიციების **კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების** შესახებ დებულება“ გადავადდა 1 წლით. აღნიშნული საშუალებას მისცემს ბანკებს, არ შეწყვიტონ რეალური ეკონომიკის დაკრედიტება მკაცრი ლიმიტებით და განაგრძონ აქამდე არსებული წესების ფარგლებში მუშაობა. აღსანიშნავია, რომ დებულების ივნისში ამოქმედებისა და, შესაბამისად, ლიმიტების საზედამხედველო კაპიტალის ნაცვლად პირველად კაპიტალზე გაანგარიშების შემთხვევაში, 5 ბანკს ერღვეოდა ტოპ 1 მსესხებელთა ჯგუფის 25%-იანი ლიმიტი, რაც ჯამურად თანხაში 109 მლნ. ლარია.

3. **საცალო დაკრედიტების შემსუბუქება**

საცალო დაკრედიტების დებულებაში ცვლილებები კოვიდ-19-მდე იყო დაგეგმილი, თუმცა, დღეს ეს ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული გამოწვევების საპასუხოდ. დაგეგმილ ცვლილებებთან ერთად, დაემატა რამდენიმე ახალი ცვლილება COVID-19-ის შოკის გათვალისწინებით.

***ცვლილებების მიზანი***

- მოთხოვნების გამარტივება, სესხის გამცემი ორგანიზაციებისათვის საოპერაციო ეფექტიანობის ზრდის მიზნით.
- ბიუროკრატიული ტვირთის შემსუბუქება.

- წესებზე დაფუძნებული მოთხოვნებიდან პრინციპებზე დაფუძნებულ მოთხოვნებზე გადასვლა. ნაკლები ჩარევა სესხის გამცემი ორგანიზაციების მიკრომენეჯმენტში, რაც გაზრდის მათ მოქნილობას, გააუმჯობესებს რისკების მართვის ფუნქციის როლს და მოსახლეობის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას.

*ძირითადი ცვლილებები*

- მსესხებლის შემოსავლების შესწავლა კვლავ სავალდებულოდ რჩება, თუმცა შემოსავლის დადგენის პრაქტიკა აღარ იქნება წესად გაწერილი (მაგ., არაფორმალური დასაქმებისას, ადგილზე ვიზიტი) და სესხის გამცემ სუბიექტს თავად შეეძლება შემოსავლის დადგენა შიდა პროცედურებით. სებ განახორციელებს პროცედურების მონიტორინგს.
- სესხის მომსახურების კოეფიციენტების (PTI) ზღვრების რაოდენობა 4-დან 2-მდე შემცირდა. მაქსიმალურ და საკონტრაქტო ვადაზე ინდივიდუალური PTI ლიმიტების ნაცვლად PTI დაითვლება საკონტრაქტო ან იმ მაქსიმალურ ვადაზე, რომელზეც კონტრაქტით შეიძლება სესხის პროლონგაცია.
- სესხის მაქსიმალური ვადიანობა 15-წლიდან 20-წლამდე გაიზარდა ყველა ლარში გაცემული იპოთეკური სესხისათვის და ასევე, იმ იპოთეკური სესხებისათვის, როდესაც მსესხებლის შემოსავალი და სესხი ერთსა და იმავე ვალუტაშია; COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, დამატებით, მაქსიმალური ვადიანობა იპოთეკური სესხებისათვის გახანგრძლივდა 12 თვით, ხოლო სხვა დანარჩენი საცალო სესხებისათვის - 6 თვით.
- საზღვარგარეთიდან შემოსავლის შემთხვევაში, ბინის შეძენისას LTV მოთხოვნა შემსუბუქდა 60%-დან 70%-მდე.
- რეგულაცია აღარ ვრცელდება, თუ სესხის მოცულობა 1 მლნ. ლარზე მეტია (ნაცვლად 2 მლნ. ლარისა) ან მსესხებელი გათვითცნობიერებული ინვესტორია;
- გამკაცრდა სესხზე საშეღავათო პერიოდის დაწესების პრინციპი - დასაშვებია ისევ ჯამურად მაქსიმუმ ექვსი თვით, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული განპირობებულია მსესხებლის ხარჯების დაგეგმვის საჭიროებით. COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, დამატებით, სამომხმარებლო სესხებისათვის საშეღავათო პერიოდი გახანგრძლივდა 3 თვით.
- დებულების ახალ რედაქციაში დაემატა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრინციპები. ეს ხელს უწყობს დებულების პრაქტიკაში აღსრულებას და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულების განსაზღვრას, თავად ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ისეთი პრინციპების დაცვას, როგორიცაა: ადეკვატური შიდა პოლიტიკა-პროცედურების არსებობა, რისკების მართვის ფუნქციისა და შიდა აუდიტის სამსახურის ჩართულობა, თანამშრომლებისათვის შესაბამისი სწავლებები, ახალი პროდუქტის განვითარებისას დებულების პრინციპების გათვალისწინება და სხვ.

**4. სესხებზე საშეღავათო პერიოდის წახალისება**

კომერციული ბანკების მიერ სესხების გადახდის 3-თვიანი გადავადების დაწესება განაპირობა COVID-19-ის ეკონომიკურმა შედეგებმა, რომელიც ნეგატიურად აისახა მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე. ვინაიდან კორონავირუსს უარყოფითი გავლენა აქვს თითქმის ყველა მსესხებელზე, ბანკებმა დაიწყეს დროებითი საშეღავათო პერიოდების მიცემა მსესხებლების უმეტესობისთვის. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ მიხედვით ასეთი სესხი რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში, როგორც წესი, კლასიფიცირდება ნეგატიურად და იწვევს სარეზერვო ხარჯს. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ასეთი სესხები ავტომატურად არ დაკლასიფიცირებულიყო ნეგატიურ სესხებად და შემდგომში თუ უპრობლემოდ გაგრძელდება გადახდები, ამ სესხებს შეუნარჩუნდებათ სტანდარტული კატეგორია. აღნიშნული მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკებისათვის საზედამხედველო ტვირთს. ამასთან,

აღნიშნული მიდგომის სიცხადისათვის გამოიცა მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო.

გარდა აღნიშნულისა, ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს ნება დართო:

- გაახანგრძლივონ დებულებით განსაზღვრული მაქსიმალური ვადიანობა 12 თვით და მაქსიმალური საშეღავათო პერიოდი 6 თვით;
- ამ გადავადებით გამოწვეული PTI-ს მაქსიმალური ზღვარის გადაცდენა არ ჩათვლილიყო დარღვევად;
- იმ სესხებისათვის, რომელთაც დაუწესდათ საშეღავათო პერიოდი არ არის აუცილებელი უძრავი ქონების გადაფასება;
- არ განეხორციელებინათ უძრავი ქონების ადგილზე შემოწმება;
- ,,ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის'' გარკვეული მოთხოვნები შეასრულონ განსხვავებულად.
- აღნიშნული საშეღავათო პერიოდები არ დაეკლასიფიცირებინათ ვადაგადაცილებად საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში

5. **ლარის ლიკვიდობის მიწოდება ბანკებისთვის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის სვოპებით**
   - სავალუტო სვოპების ფარგლებში მოხდება ბანკებისთვის 200 მლნ. აშშ დოლარის და **მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის** 200 მლნ. აშშ დოლარის მიწოდება. მათ შეეძლებათ 1-თვიანი სვოპების აღება ყოველთვიური რეფინანსირების პირობით შემდეგი 1 წლის განმავლობაში. დამატებით, ამოქმედდა შეუზღუდავი მუდმივმოქმედი სვოპის ინსტრუმენტი, რაც ბანკებს, საჭიროების შემთხვევაში, საშუალებას აძლევს დამატებით მიიღონ ლარის ლიკვიდობა საჯარიმო საპროცენტო განაკვეთით (ამ ეტაპზე 0.75%).
   - ეროვნული ბანკი განახორციელებს 200 მლნ. აშშ დოლარის სავალუტო სვოპს EBRD-სთან. სვოპი გაზრდის ეროვნული ბანკი სავალუტო რეზერვებს, ხოლო EBRD მიღებული ლარის რესურსით დააფინანსებს სხვადასხვა პროექტს. ლარით დაფინანსება EBRD-ის ბენეფიციარებს სავალუტო რისკს თავიდან ააცილებს.
   - ლარის ლიკვიდობის ზრდის კუთხით:
     a. სებ-მა გააუქმა LCR-ის მოთხოვნა ლარში, თუმცა იგივე ჯამური მოთხოვნა დატოვა უცვლელი;
     b. გაიზარდა რეფინანსირების სესხებისთვის გირაოს ბაზა - კერძოდ გირაოს ბაზას დაემატა მცირე და საშუალო საწარმოებზე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული სესხების პორტფელი.

6. **დისტანციური მომსახურების წახალისება** (მ.შ.: POS განაღდება, დისტანციური იდენტიფიკაცია და ა.შ.)
   - შემუშავდა და დამტკიცდა ახალი წესი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს თანხა ბანკომატის გარდა გაანაღდოს სავაჭრო ობიექტების (აფთიაქი, სასურსათო მაღაზია) POS ტერმინალებიდანაც.
   - სებ-მა დაიწყო მომხმარებლების დისტანციური იდენტიფიცირების პროცედურებზე ბანკებისთვის თანხმობების გაცემა. მიმდინარე ეტაპზე სამ ბანკს სხვადასხვა პროდუქტის მიზნებისთვის მიეცათ თანხმობა დისტანციური იდენტიფიცირების გამოყენებაზე.
   - ამასთან, ზოგიერთი პროდუქტების ციფრულ ტრანსფორმაციაზე ხორციელდება კომუნიკაცია რამდენიმე ბანკსა და ფინანსურ ტექნოლოგიურ კომპანიასთან. ამ უკანასკნელი მიმართულებით ძირითადად ყურადღება გამახვილებულია კიბერრისკებზე (საინფორმაციო სისტემების აუდიტი, შეღწევადობის ტესტირება) და ტრადიციულ საოპერაციო რისკებზე.

7. **საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებები**

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის კიდევ ერთი მიმოხილვა წარმატებით დასრულდა და მისიის დონეზე მიღწეულ იქნა შეთანხმება არსებული პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ.
- სავალუტო ფონდის მისიასთან მიღწეული შეთანხმება პროგრამის ფარგლებში დაფინანსების დამატებით დაახლოებით **375 მლნ. აშშ დოლარით** გაზრდას ითვალისწინებს, რაც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებებსა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს მოხმარდება.

**8. რეპორტინგის გადავადება, მეტი დროის მიცემა**

- სტრესტესტების წარმოდგენის ვადამ გადაიწია 3 თვემდე - მაქსიმუმ 2020 წლის 15 ივნისამდე.
- 6 თვით გადავადდა პილარ 3-ის საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული გამჭვირვალობის ანგარიშგება. მათი წარმოდგენა ბანკებს უწევდათ აპრილის თვიდან.
- სესხის გამცემ სუბიექტებს, საკრედიტო კავშირებს და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ანგარიშგების წარმოდგენის ვადა გადაეწია 30 აპრილამდე.

**9. ადგილზე შემოწმებების გაჩერება**

ეროვნულმა ბანკმა შეაჩერა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების ადგილზე შემოწმება (გარდა ფულის გათეთრების კუთხით მიმდინარე შემოწმებებისა, რომლებიც ამ ეტაპზე დისტანციურად მიმდინარეობს).

**10. დისტანციური დაკრედიტების ხელშეწყობა**

გამარტივდა დაკრედიტების პროცედურები, რის მიხედვითაც დროებით არ მოითხოვება უძრავი ქონების შეფასება ადგილზე მისვლის გზით. შერბილდა მოთხოვნა ფინანსური უწყისების განახლებასთან დაკავშირებით.

**11. საზედამხედველო რეფორმებზე მორატორიუმი**

ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე გამოცხადდა დროებითი მორატორიუმი, რათა ბანკებს საშუალება ჰქონდეთ რესურსების მაქსიმალური მობილიზება არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ გააკეთონ.

**12. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პრუდენციული მოთხოვნების გადახედვა**

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის და ლიკვიდობის კოეფიციენტები გადაიხედება ცალკეული შემთხვევის მიხედვით. განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც სამთვიანი გადავადების აქციაში ჩაერთნენ და ამავდროულად არ შეუჩერებიათ სესხების გაცემა.

**13. ჯარიმებზე დროებითი მორატორიუმი**

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ლიმიტების დარღვევა მოხდება მიმდინარე შოკის გავლენიდან გამომდინარე (მაგ., კურსის გაუფასურება, რეზერვები/ზარალი), სებ-ი არ გამოიყენებს საჯარიმო სანქციებს. აღნიშნული ეხება მხოლოდ ეკონომიკური ლიმიტების (კოეფიციენტების) დარღვევას და არ ეხება სხვა ტიპის საკანონმდებლო დარღვევებს.

**14. ლიკვიდობის მიწოდებაზე სრული მზაობა**

ეროვნულმა ბანკმა საჯაროდ გამოთქვა მზაობა სრული მხარდაჭერა გაუწიოს საფინანსო სექტორს ლიკვიდობის დახმარების კუთხით. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა (მაგ., ლარი-დოლარის სვოპები). გარდა ამისა, ივნისიდან კომერციულ ბანკები შეძლებენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხებისა და მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების გირავნობით ეროვნული

ბანკიდან მიიღონ დამატებითი ლიკვიდობა, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორის დაკრედიტების პროცესის გააქტიურებას. თუმცა, დამატებით სებ-ი საჭიროების შემთხვევაში ფაქტობრივად ულიმიტო ლარის ლიკვიდობას მიაწვდის ბაზარს, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებული საერთაშორისო რეზერვების გათვალისწინებით იმდენს, რამდენსაც ბაზარი მოითხოვს.

**15. Bmatch პლატფორმა**

სებ-ის ინიციატივით ამოქმედდა სავალუტო ვაჭრობის ახალი მექანიზმი ბლუმბერგის Bmatch პლატფორმა, სადაც პირველ ეტაპზე ხდება ბანკთაშორისი ვაჭრობები, ხოლო მალევე მოხდება არასაბანკო კერძო სუბიექტების ჩართვაც, რაც საშუალებას მისცემს მათ პირდაპირი წვდომა ჰქონდეთ სავალუტო რესურსებთან. ეს პლატფორმა ბაზარს გახდის უფრო დივერსიფიცირებულს, კონკურენტუნარიანს და ლიკვიდურს. მიმდინარე წლის მარტიდან ყოველთვიურად იზრდება აქტიურობა Bmatch პლატფორმაზე, ასევე ამით ინტერესდებიან ახალი მიკროსაფინასო ორგანიზაციები და კომპანიები. ამ პლატფორმაზე ასევე ჩართულია ერთი არარეზიდენტი საფინანსო კომპანია.

**16. სავალუტო ბაზარზე გააქტიურება**

ლიკვიდობის ხელშესაწყობად და ზედმეტი მერყეობების თავიდან აცილების მიზნით, გარდა ტრადიციული სავალუტო აუქციონებისა, სებ-მა დაიწყო პირდაპირი მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე შედარებით მცირე ზომის ინტერვენციებით Bmatch პლატფორმაზე, და მიუხედავად მცირე მოცულობებისა, ბაზრის მონაწილეების მხრიდანაც საკმაოდ პოზიტიურად იქნა აღქმული.